

**კოზა ნოსტრა ისევ ღონიერია**

სიცილიიდან დიდი გუნდისკენ

»»» 3


# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 205 (12 580) 2 სექტემბერი შაბათი 2008 ფასი 50 თეთრი


**მერამდენეა, დემე?**



»»» 3


საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველო ერთიანია!



ალექსანდრე კოტრამშვილის ფოტო

## დილით უზურთოდ, საღამოს სრული დატვირთვით



»»» 4

## სკანდალი



## ჩააწყო



**თუ არა მალაიზიელმა მაფიოზმა მუნდიალის მატჩი?**

»»» 6

ლეგიონერები

# ქებაძემ კვიპროსი გახსნა, დვალიშვილი ბომბარდირობისთვის იბრძვის

კვიპროსის ჩემპიონატში ახალ სეზონში პირველი გოლის ავტორი **ლევან ქებაძეა**. 33 წლის ქართველი ლეგიონერი მესამე წელია ახნასის „ეთნიკოსის" ღირსებას იცავს. ერთ-ერთი ცნობილი ბანკის სპონსორად გახდომის შემდეგ კვიპროსის პირველ დივიზიონს „მარფინ ლაიკი" ლიგა ეწოდა. პირველ ტურში ქებაძის „ეთნიკოსი" „ატრომიტოსს" ეწვია. სტუმრებს არაფერი გამოსდიოდათ, სანამ მწვრთნელმა მოედანზე გამოცდილი ქებაძე არ შეუშვა (61 წთ.). 78-ე წუთზე ქართველმა გამარჯვების გოლი გაიტანა და ლტოლვილთა სოფლის გუნდს პირველი სამი ქულა მოუტანა. ლიმასოლში კი ქალაქის დერბით გაიხსნა პირველობა. 30 წლის **ლევან მაღრაძის** ამჟამინდელმა გუნდმა, „აპოლონმა", ძველს, აელ-ს უმასპინძლა და 1:3 დამარცხდა. ამ მატჩშიც გამოიჩინა თავი ჩვენებურმა, ოღონდ, წითელი ბარათის მიღებით – მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე მაღრაძე გააძევეს (ლევანმა უხეშობისთვის მეორე ყვითელი ბარათი მიიღო). ამ პატარა ქვეყანაში საოცრად დაძაბულად მიმდინარეობს მატჩები, მაგალითად აპოპ-ის და აეკ-ის შეხვედრა მე-10 წუთზევე ჩაიშალა, როცა ანგარიში უკვე 1:1 იყო. „მარფინ ლაიკ" ლიგაში სამი ქართველი ლეგიონერია: ლევან მაღრაძე, ლევან ქებაძე და **კლიმენტი წიტაიშვილი** („ანორთოსისი"). მეორე დივიზიონის არადიპუს „ომონიაში" ირიცხება **კოტე დარსანია**.

სხვები თუ იწყებენ, ბელარუსის უმაღლესი ლიგა გადამწყვეტ ფაზაში შედის, 9 ტურიც და სეზონი დასრულდება. ჩემპიონობისთვის რეალურად ორი კლუბი იბრძვის, **გივი კვარაცხელიას** „მტზ-რიპო", რომელიც 45 ქულით ლიდერობს და „ბატე", რომელსაც 44 ქულა დაუგროვდა, მაგრამ კონკურენტზე ერთით ნაკლები მატჩი აქვს გამართული. „მტზ-რიპოში" კვარაცხელიას გარდა 20 წლის **ირაკლი მაისურაძეც** ირიცხება.

საფეხბურთო კლუბ ბრესტის „დინამოში" ქართველი აღარ თამაშობს, თუ **გია თოდუა** საქართველოში მობრუნდა, **რომან გოგინაშვილმა** კლუბი ზაფხულის სტარანსფერო ფანჯრისას შეცვალა – სოლიგორსკის „შახტიორში" გადავიდა, სადაც 24-ნომრიანი მაისურა მისცეს. „ნაფტანის" 3:0 ძლევაში რომანს წვლილი არ მიუძღვის. „შახტიორი" 39 ქულით მესამე ადგილზეა და ჩემპიონობის მცირე შანსს ინარჩუნებს. გოლკიპერ **ვლადიმერ ზუხბაიას** „ლოკომოტივი" შინ 0:4 განადგურდა „ნემანთან", ქართველ მეკარეს არ უთამაშია. მინსკის „ლოკომოტივი" 16 ქულით გასავარდნ ზონაშია. „ლოკომოტივს" სულ ერთი ქულით უსწრებს და თავადაც გასავარდნ ზონაშია **დიმიტრი გერგიშვილის** „სავიტი". **გიორგი ჭედიას** ჟოდინოს „ტორპედო" 22 ქულით მე-11 ადგილზეა.

ლატვიის ვირსლიგაში მე-20 ტურის მატჩები გაიმართა. გუნდები უკვე ორ ჯგუფად არიან გაყოფილები, პირველი ექვსეული ჩემპიონობისთვის განაგრძობს ბრძოლას, დანარჩენი ოთხი გუნდი კი – ლიგაში დარჩენისთვის. ლიდერი „ვენტსპილსი" შინ 2:2 დაუზავდა „სკონტოს", რომელსაც 7 ქულით უსწრებს. მასპინძელთა რიგებში 77-ე წუთამდე ითამაშა **ზურაბ მენთეშაშვილმა**, რომელიც პირველ ტაიმში გააფრთხილეს. მეორე ტაიმის დასაწყისში მენთეშაშვილმა **ანდრეის ბუტრიკსი** მეკარესთან პირისპირ გაიყვანა და ანგარიში გაახსნევინა. 90-90 წუთი ითამაშეს სკონტოელებმა **დავით გამეზარდაშვილმა** და **ვლადიმერ დვალიშვილმა**. დვალიშვილმა 54-ე წუთზე ანგარიში 1:1 გახადა. მისი გოლი მართლაც საოცარი იყო – დვალიშვილმა მარცხენა ფლანგზე მოულოდნელად „იფეთქა", იქიდან ცენტრში გადავიდა და 23 მეტრიდან „ცხრიანში" გაიტანა. ეს ქართველი ფორვარდის მე-6 გოლია ლიგაში, დვალიშვილი ბომბარდირთა დავაში დაწინაურებულებს მხოლოდ ორი გოლით ჩამორჩება. გუშინ **თამაზ პერტიას** „დინაბურგი" „მეტალურგსს" ეწვია და 1:3 დამარცხდა. მწვრთნელმა თანამემამულე **პავლე დათუნაიშვილი** 67-ე წუთზე შეცვალა. „დინაბურგი" 35 ქულით მეოთხე ადგილზეა. ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის **ირაკლი ქორთუას** „ბლაზმა", თუმცა არცთუ წარმატებულად – რეზეკნელებმა შინ 0:1 დათმეს „ვინდავასთან". ჩვენებურმა მცველმა შეუცვლელად ითამაშა.

ლიტვის A ლიგაში ჩემპიონობისთვის ორი გუნდი იბრძვის **ნუკრი მანჩხავას** და **აკაკი ხუბუტიას** „კაუნასი" და „ეკრანასი". კაუნასმა" სტუმრად 2:1 დაამარცხა „ატლანტასი", თუმცა „ეკრანასს" კვლავ ქულით ჩამორჩება.

კიშინოვის „დაჩია", რომელსაც მცირე გაუგებრობის შემდეგ ისევ დაუბრუნდნენ ქართველები, მოლდოვის ნაციონალური დივიზიონის ერთ-ერთი პოტენციური ლიდერია. „დაჩიას" 8 ტურიდან 18 ქულა აქვს და ორი ქულით ჩამორჩება „ზიმბრუს", თუმცა ამ უკანასკნელს ორი მატჩით მეტი აქვს გამართული. **ჯაბა დვალმა** წინა ტურში დუბლს კიდევ ერთი გოლი მიაყოლა, ამჯერად სამ ქულას ესეც ეყო – „დაჩიამ" სტუმრად „ისკრა" სწორედ ჯაბას გოლის წყალობით დაამარცხა – 1:0. **ლევან კორღალიძე** და ჯაბა დვალი სასტარტოში იყვნენ. დნესტრისპირეთში ტირასპოლის დერბი გაიმართა – „შერიფმა" „ტირასპოლი" 2:1 დაამარცხა. **ვაჟა თარხნიშვილმა** შეუცვლელად ითამაშა გამარჯვებულთა შორის. „შერიფი" 18 ქულით მესამე ადგილზეა.

ჩვენს სამეზობლოში უკვე 17 ქართველი ლეგიონერი ირიცხება, ეს ქართველთა ყველაზე დიდი დესანტია. აზერბაიჯანის ჩემპიონატის დაწყებიდან 4 ტური გავიდა და საინგილოს ქალაქ ზაქათალის „სიმურგი" და „ბაქი" 10-10 ქულით ლიდერობენ. „ბაქიმ" სტუმრად აჯობა „ყარაბახს" ამ შეხვედრაში **ამირან მუჯირმა** შორეული დარტყმით გაიტანა უცნაური გოლი – ბურთმა ბოლო მომენტში ტრაექტორია მკვეთრად შეიცვალა. შემდეგი ტურიდან ქართულ ლეგიონს **გიორგი დემეტრაძე** დაემატება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ლადო დვალიშვილი და ზურაბ მენთეშაშვილი



რევაზ ბარაბაძე და დავით დევდარიანი

# დევდარიანმა ორჰუსი გაიფორმა

საქართველოს ახლგაზრდული ნაკრების პლეიმეიკერი **დავით დევდარიანი**, რომელსაც ორჯერ ეროვნულ გუნდშიც უთამაშია, დანიის პირველი დივიზიონის „ორჰუსში" ჩაირიცხა - კონტრაქტს გუშინ მოაწერა ხელი.

დევდარიანი „ორჰუსში" „ფონდ არველაძის" დახმარებით მივიდა გასინჯვაზე და იქაურებს თავი მოაწონა. მერე თბილისში დაბრუნდა და პირველი ლიგის „თბილისში" ვარჯიშობდა. „ორჰუსამდე" დევდარიანი რუსთავის „ოლიმპის" ფეხბურთელი იყო.

აწოწილი, რბილი მანერით მოთამაშე გამთამაშებელი, კლასიკურ ათ ნომერს წააგავს, გამჭრიახია და ტექნიკაც არ დაეწუნება.

„ორჰუსი" არ არის ისეთი გუნდი, მაღალ მიზნებს რომ ისახავს, ამ კლუბს სხვა გეზი აქვს -- აწარმოოს კარგი სელექცია, გაყიდოს ფეხბურთელი დანიაზე გაცილებით ძლიერ და ფულიან ლიგაში. დევდარიანის „ორჰუსში" გადასვლას აგენტი **ივან ბენეში** წარმართავდა.

პირველი დივიზიონი დანიაში რანგით უმაღლესი ლიგაა. თორმეტგუნდიან ჩემპიონატში ექვსი ტურის შემდეგ „ორჰუსი" მეცხრე ადგილზეა. ეს კლუბი მეცხრამეტე საუკუნეში შეიქმნა, პროფესიული საფეხბურთო გუნდი კი ოთხმოციანი წლების ბოლოს ჩამოაყალიბა. „ორჰუსს" დანიაში მნიშვნელოვანი წარმატებები არ ჰქონია.

**მიხეილ აშვეთიასა** და **გიორგი ფოფხაძის** გარდა დანიის უმაღლეს ლიგაში ქართველთაგან არავის უთამაშია, მესამე დევდარიანი უნდა იყოს.

„ორჰუსს" **კრისტოფ პოპზინსკი** წვრთნის. კლუბის სტადიონი 4 500 მაყურებელს იტევს. ორჰუსი საპორტო ქალაქია და ქვეყანაში სიდიდით მეორეა.

დევდარიანი დღეს დაბრუნდება თბილისში და მალე, რა თქმა უნდა, ისევ გაემგზავრება დანიაში.

**დავით თავართქილაძე**

ტრანსფერი

# ბურდული ტავრიაში გადავიდა

ცოტა ხნის წინათ ნახევარმცველი **ლადო ბურდული** უკრაინაში დაბრუნდა და სიმფეროპოლის „ტავრიასთან" აწარმოებდა მოლაპარაკებას. სიმფეროპოლელთა კლუბთან ბურდული დღეს 2-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. შეგახსენებთ, რომ უკრაინაში ბოლოს ჩატარებულ ტურში „ტავრია" „ჩერნომორეცთან" შინ 1:3 წააგო.

**დავით ცაბაძე**

საფეხბურთო აკადემია „ოლიმპი" აცხადებს 1997, 1998, 1999, 2001, 2001 და 2002 წლებში დაბადებული ბავშვების მიღებას.

ვარჯიშები დაიწყება დილის 8:00 საათიდან.

სკოლა უზრუნველყოფს უმაღლესი დონის სავარჯიშო და მოსამზადებელ პირობებს.

მისამართი: ჯიქიას ქუჩა 3 (მაგთის ოფისის წინ).

დეტალური ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: (899) 70 70 85, 32 03 82

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; რედაქტორები: დავით თავართქილაძე, გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი შალვა ბიბილაშვილი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 42 32 73; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოზა ნოსტრა ისევ ღონიერია

## მჭედლიძემ სიცილიიდან დიდი გუნდი უნდა გამოჭედოს



ლევან მჭედლიძე

„იუვენტუსი“, „ინტერი“, „ბაიერნი“... 18 წლის **ლევან მჭედლიძეზე** ერთი ამბავი ატყდა, სერია B-ში ჩაქვეითებული „ემპოლიდან“ დიდ გუნდში გადადისო. მჭედლიძეს ისეთი მონაცემები აქვს, ვინძლო მართლა იმსახურებდა რომელიმე გრანდში გადასვლას, მაგრამ მხოლოდ ნიჭითა და ეროვნულ ნაკრებში კარგად ნათამაშევი ერთი-ორი მატჩით ძალიან ძნელია, ალბათ, შეუძლებელიცაა, დიდ გუნდში მოხვედრა. მჭედლიძეს „ემპოლში“ ერთი შეხვედრაც კი არ უთამაშია, შესაბამისად, გოლსაც ვერ გაიტანდა.

ლევანის აგენტი **დევიდე ტორკია** გახლავთ, ერთობ გაქნილი კაცი, **ლუკა ტონის** „ბაიერნში“ გადამყვანი და კიდევ ბევრი მყვირალა ტრანსფერის გამჩარხავი. მჭედლიძე რომ სერია A-ს გუნდში გადავიდა, ეს უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია, პალერმოდან“ კი „იუვენტუსი“ თუ „ინტერი“ ხელის განვდენაზეა. ლევანს ჯერ კიდევ შარშან ჰქონდა შემოთავაზება „ვოლფსბურგიდან“, წლეულს კი მისით ბუნდესლიგის კიდევ ერთი გუნდი „ჰოფენჰაიმიც“ დაინტერესდა, მაგრამ ყველას და ყველაფერს იტალიამ და „პალერმომ“ გადაწონეს, სადაც მჭედლიძე „ემპოლიმ“ იჯარით გაუშვა.

და, რა გუნდია „პალერმო“? ვარდისფერსა და შავში გამოწყობილ „როსანეროს“, ემბლემად არწივი აურჩევია.

ზუსტად არ არის ცნობილი, თუ როდის შეიქმნა „პალერმო“. როგორც უნდა იყოს, მის „დაბადების დღედ“ 1900 წელი მიიჩნევა.

1973 წლამდე „პალერმოს“ საქმეები ალმა-დალმა მისდიოდა. მერე კი გუნდი 31 წელიწადი ელოდა სერია A-ში დაბრუნებას.

1974 და 1979 წლებში „პალერმო“ იტალიის თასის ფინალში გავიდა. 80-იან წლებში ფინანსურად დაბეჩავებული „პალერმო“ სერია C-ში გადაეშვა.

„პალერმო“ სერია A-ში რიხით დაბრუნდა. 2004-05 წლების სეზონში მეექვსე ადგილზე გავიდა და უეფას თასის საგზური მოიპოვა. სწორედ მაშინ გაიცნო ევროპამ ლუკა ტონი, რომელმაც 2004-05 წლების სერია A-ში 20 გოლი გაიტანა, წინა სეზონში სერია B-ში „პალერმოსთვის“ 30 გოლი შეაგდო. სიცილიელებს ტონი 2005 წლის ზაფხულში დაემშვიდობა და „ფიორენტინაში“ გადავიდა.

ამას აქეთ „პალერმო“ სერია A-დან არ გავარდნილა, მეტიც, კიდევ ორჯერ ითამაშა უეფას თასზე, 2006 წლის მუნდიალზე კი იტალია მეოთხედ რომ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, სამი პალერმოელი ჰყავდა - **ანდრეა ბარძალი, კრისტიან ძაკარდო** და **ფაბიო გროსო**, რომლებიც ახლა „პალერმოში“ აღარ თამაშობენ. ბარძალი, ძაკარდო და ბრაზილიელი თავდამსხმელი **ამაური** წლევანდელ ზაფხულს გაყიდა „პალერმომ“. ამაური ბოლო წლებში სიცილიელთა საუკეთესო შემტევი იყო. ჯერ რთულია იმის თქმა, პალერმო“ მჭედლიძეს ამაურის შემცვლელად მოიაზრებს თუ არა. ცნობისთვის: ამაური „იუვენტუსმა“ იყიდა.

მჭედლიძის გარდა „პალერმომ“ ახალი სეზონისთვის კიდევ სამი ფეხბურთელი დაიმატა: მეკარე **მარკო ამელია,** ვინც იტალიის ნაკრებში გამოძახებულია 10 სექტემბერს საქართველოსთან მატჩისთვის; ნახევარმცველი **ფაბიო ლივერანი** (სამი მატჩი უთამაშია ნაკრებში) და ასევე შუახაზელი **ანტონიო ნოკერინო**, რომელიც 23 წლისაა და ეროვნულ გუნდში ერთხელ ითამაშა **რობერტო დონადონის** მწვრთნელობისას.

„პალერმოს“ 2007 წლიდან წვრთნის **სტეფანო კოლანტუონო**, ვისაც სახელიან გუნდებში არასდროს უმუშავია. „პერუჯას“ სერია B-ში გაამარჯვებინა, ხოლო „ატალანტას“ 2006-07 წლების სეზონში მისთვის საპატიო მე-7 ადგილი დააკავებინა სერია-A-ში.

მიმდინარე სერია A-ს პირველ ტურში „პალერმომ“ სტუმრად „უდინეზესთან“ 1:3 წააგო. თავდასხმაში სიცილიელებს ურუგვაელი **ედისონ კავანი** და იტალიის ნაკრების ყოფილი ფორვარდი **ფაბრიციო მიკოლი** ჰყავდათ.

რაც შეეხება პალერმოსა და სიცილიურ მაფიას, ნუ გგონიათ, რომ კოზა ნოსტრა ბოლომდე დამარცხებულია. მაფია ისევ ერთ-ერთ უმსხვილეს ბიზნეს-სინდიკატად რჩება იტალიაში, რომლის წლიური ბრუნვა 120 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ თანამედროვე სიცილიური მაფია პრემიერ-მინისტრ **სილვიო ბერლუსკონის** პარტია „ფორცა იტალიასთან“ არის გარიგებული და უწინდელ, სასტიკ მეთოდებს ნაკლებად მიმართავს.

**დავით თავართქილაძე**

ტრანსფერი

# რეკორდსმენი დემე

საზაფხულო სატრანსფერო პერიოდის ბოლოს კიდევ ორი ქართველი ფეხბურთელი გადავიდა აზერბაიჯანში: ორი დღის წინ „სტანდარდთან“ გააფორმა კონტრაქტი **ლევან სილაგაძემ**, გუშინ კი „ბაქომ“ კიდევ ერთი ქართველი ვეტერანი გადაიბირა - **გიორგი დემეტრაძე**. ადრეც აღვნიშნეთ, რომ აზერბაიჯანში ლეგიონერებზე ლიმიტი გაუქმებულია და კლუბების ხელმძღვანელებსაც ხელ-ფეხი გახსნილი აქვთ. ოღონდ, ყველა ვერ ხეირობს - ერთი ლეგიონერის დამატება 25 000 დოლარი ღირს და მხოლოდ შეძლებულ კლუბებს აქვთ ასეთი ფუფუნება. სილაგაძისა და დემეტრაძის მისვლით აზერბაიჯანში ქართველ ლეგიონერთა რიცხვმა ორ ათეულს გადააჭარბა. ეგ კი არა, მარტო ამ სეზონში მათ გარდა კიდევ ცხრა ქართველ ფეხბურთელს ჰქონდა დებიუტი აზერბაიჯანის ჩემპიონატში: **მიხეილ მახვილაძეს, გრიგოლ დოლიძეს** (ორივე - „სიმურგი“), **გიორგი ჭელიძეს** („ნეფთჩი“), **დავით ჭიჭველიშვილს, მიხეილ ალავიძეს, ბაჩანა ცხადაძეს** (სამივე - „სტანდარდი“), **მიხეილ ხუციშვილს, რევაზ გეწაძეს** (ორივე - „ოლიმპიკი“), **დავით ქოქიაშვილს** („ბაქილი“). მკითხველიც დაგვეთანხმება თუ ვიტყვით, რომ ამათგან ყველაზე ტიტულოვანი გიორგი დემეტრაძეა - საქართველოს ნაკრების ფორვარდისთვის „ბაქი“... მეთოთხმეტე კლუბია კარიერაში! „დემე“, საერთოდაც, აზერბაიჯანის ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი და სახელიანი ფეხბურთელია და მასზე დიდ იმედს ამყარებს „ბაქის“ მწვრთნელი **ჯოკიჩა ხაჯიევსკი**. მაკედონიელი სპეციალისტი ქართველი ფორვარდის კარიერას გასცნობია, რამდენიმე მატჩის ვიდეოფირიც უნახავს და იმწუთას მიხვედრილა: ჩვენს ლელ ფეხბურთელად ითვლებოდა.

...საქართველოს ჩემპიონატში „დემეს“ დებიუტი საკმაოდ ადრეულ ასაკში შედგა - 16 წლის ჭაბუკი თელავის „კახეთიდან“ გავიცანით. იმ დროს თელაველთა გუნდის მთავარი მწვრთნელი **თემურ მახარაძე** იყო და პერსპექტიულ ფორვარდსაც ხშირად აძლევდა თავის გამოჩენის შანსს. ადრეც გავიხსენეთ „დემეს“ სადებიუტო შეხვედრა - „კახეთი“ თბილისის „დინამოს“ მასპინძლობდა და მატჩის მიწურულს მოედანზე ყველასთვის უცნობი პატარა ბიჭი გამოჩნდა. „დინამო“ უპრობლემოდ იგებდა შეხვედრას და როცა მასპინძლებმა ანგარიშში სხვაობა შეამცირეს (2:3), მაშინაც არავის შეჰპარვია ეჭვი თბილისელთა გამარჯვებაში. მაგრამ იმ პატარა და უცნობმა ბიჭმა მოხდენილი სლალომით „დინამოს“ მცველებს რომ ჩაურბინ-ჩამოურბინა და ამას მერე ზუსტი დარტყმაც მოაყოლა, ტრიბუნების გამოცოცხლება მაშინ უნდა გენახათ! აი, ასე გამოჩნდა „დემე“ - სულ მალე თბილისის „დინამოს“ შეტევების ლიდერი რომ გახდა. არადა, მას და **ალექსანდრე იაშვილს** ურთულესი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ უხდებოდათ თამაში - ტყუპი **არველაძეების** სრულფასოვანი შეცვლა როგორი საქმე იყო?.. თუმცა, ორივე ახალგაზრდა თავდამსხმელმა ღირსეულად შეცვალეს სახელოვანი წინამორბედნი და „დინამოს“ მეტოქეებს ახლა უკვე დემეტრაძე-იაშვილის „დუეტის“ განეიტრალებაზე უწევდათ ფიქრი. „დემემ“ სამი სეზონის განმავლობაში ყველა აქაური ტიტული მოიგო „დინამოსთან“ ერთად; 1996-97 წლების სეზონში კი საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. აი, ამის მერე კი მისი საზღვარგარეთული კარიერა დაასეც მოხდა - კიევის „დინამოს“ უკრაინაში ხომ არ ჰყავდა კონკურენტი, ამას გარდა სისტემატურად უწევდა ჩემპიონთა ლიგაშიც თამაში. დემეტრაძის კიევური კარიერა არაერთგვაროვნად უნდა შეფასდეს: ერთი მხრივ, თავის საქმეს პირნათლად ასრულებდა და გოლებიც მრავლად გაჰქონდა (მათ შორის, ჩემპიონთა ლიგაშიც); თუმცა, მეორე მხრივ, კიევში „დემეს“, არც მეტი, არც ნაკლები, **ანდრეი შევჩენკოს** ღირსეულ შემცვლელად მოიაზრებდნენ...

სამწუხაროდ, დემეტრაძისა და ლეგენდარული მწვრთნელის **ვალერი ლობანოვსკის** ურთიერთობა მხოლოდ ერთ წელიწადს გაგრძელდა და ამის მერე იყო „რეალ-სოსიედადი“. სხვათა შორის, გიორგი დემეტრაძე პირველი ქართველი ფეხბურთელი იყო, პრიმერა-დივიზიონში რომ ითამაშა. „სოსიედადს“ ისევ რუსეთში დაბრუნება მოჰყვა - ჯერ „ლოკომოტივი“, მერე კი „ალანია“. აღსანიშნავია, რომ 2005 წელს დემეტრაძე კიდევ ერთხელ დაბრუნდა ვლადიკავკაზში, თუმცა მანამდე ერთობ შედეგიანი ორი სეზონი ჩაატარა უკრაინაში - დონეცკის „მეტალურგში“ ქართველ ფორვარდს „მეორე სუნთქვა“ გაეხსნა და ბომბარდირული თვისებებითაც ყველას შეგვახსენა თავი. მერე იყო ისრაელი, ისევ დონეცკის „მეტალურგი“, ბოლოს კი კიევის „არსენალი“, სადაც რამდენჯერმე მოუხდა დაპირისპირება გუნდისა თუ კლუბის ხელმძღვანელებთან. და აი, „სატრანსფერო ფანჯრის“ ფაქტობრივად ბოლო დღეს ახალი გამოწვევაც მიიღო.

...1996 წლის 8 მაისს საქართველოს ნაკრებში ჰქონდა დებიუტი - 19 წლის ჭაბუკმა პირველი შეხვედრა საბერძნეთის ნაკრების წინააღმდეგ ჩაატარა. ამის მერე წლევანდლამდე მისი სანაკრებო პერსპექტივა საკამათო არასდროს ყოფილა,



გიორგი დემეტრაძე

გუნდს ყველაზე ძალიან რომ სჭირდებოდა (სწრაფი თავდამსხმელი), ის შევიძინეთო. სხვების არ ვიცით, მაგრამ, ჩვენი აზრით, დემეტრაძისთვისაც არ უნდა იყოს ურიგო ვარიანტი; მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ მის ბოლოდროინდელ წარუმატებელ საკლუბო კარიერას - სხვადასხვა მიზეზის გამო, ფაქტობრივად, წელიწადია სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობა ჰქონდა კიევის „არსენალში“. მიზეზი სხვადასხვაა, ვთქვით და აღარ დავკონკრეტდებით - უბრალოდ ვიტყვით, რომ უფრო არასაფეხბურთო იყო. სამწუხაროდ, ამის გამოც დაკარგა ადგილი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში, სადაც თერთმეტი წლის განმავლობაში თითქმის შეუცვლელი იყო, დღემდე რომ გრძელდება. ჯერ „ფეიენოორდი“ იყო - სამწუხაროდ, 21 წლის დემეტრაძისთვის ჰოლანდიური კარიერა წარმატებული ვერ გამოდგა. სამაგიეროდ, მომდევნო ორმა სეზონმა ტრიუმფით ჩაიარა - რუსეთის ჩემპიონატში, კერძოდ ვლადიკავკაზში ყოფნის დროს დემეტრაძის შესაძლებლობები ნათლად გამოჩნდა. თანაც, იშვიათზე მეტი რომ ჰქვია, ისეთი გოლიადორული თვისებებიც დაგვანახვა და უკვე აღარავის გაუკვირდა ის ფაქტი, 1999 წელს რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი რომ გახდა. ასეთი წარმატებული და შთამბეჭდავი სეზონების მერე ველოდით, რომ უფრო მაღალ დონეზე გააგრძელებდა თამაშს. თანაც ყველა მწვრთნელი ენდობოდა: **ჩივაძეც, ყიფიანი-ძოძუაშვილის** „**ტანდემიც**“, **შუშაკიც, გუცაევიც, ჟირესიც, დარსაძეც, ტოპმიოლერიც**. ამ ხნის განმავლობაში 56 მატჩი ჩაატარა და 12 გოლი გაიტანა (სამ შეხვედრაში დუბლიც შეასრულა) და არავისთვის მიუცია საბაბი, ეთქვათ - ნაკრებში ბოლომდე არ იხარჯებაო; ეგ არის მხოლოდ, რომ ხანდახან ზოგი მწვრთნელი მისთვის უჩვეულო პოზიციას ანდობდა. აბა, ნახევარდაცვაში დემეს ხილვა შეიძლება? მისი სტიქია ხომ შეტევაა - ფლანგზე თავბრუდამხვევი დრიბლინგითა თუ ეფექტური გოლებით...

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

U 21. ინტერვიუ პეტარ შეგრტთან

# მეც ერთი რიგითი ქართველი ჯარისკაცი ვარ

## მინსკში, მოსაგებად. შეგრტი პრობლემებზე, კუპერის გუნდსა და რუსებზე



პეტარ შეგრტი — დავით ცაბაძის ფოტო

**გუშინ საქართველოს ქალაქებსა და მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში ჩვენი სახელმწიფოს მხარდასაჭერი აქცია ჩატარდა. ცოცხალ ჯაჭვში სპორტული სამყაროც იყო ჩაბმული, მათ შორის, ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი პეტარ შეგრტიც. მოგეხსენებათ, საქართველოს 21-წლამდელებს შესარჩევ ციკლში ორი მატჩილა დარჩათ ჩასატარებელი: 5 სექტემბერს მინსკში, რუსეთთან, ხოლო 10-ში პოლონეთთან. ხორვატ სპეციალისტს აქციის შემდეგ გავესაუბრეთ.**

- გუნდი უკვე შევკრიბე და მზადებასაც შევუდექით. სამწუხაროდ, დიდი პრობლემების წინაშე აღმოვჩნდით. ტრავმების გამო მერებაშვილი, ფანცხავა, კანკავა და მჭედლიშვილი გვაკლია. აგერ, ბოლოს ბარაბაძეც დაშავდა და ამ ორ მატჩში მასაც ვერ გამოვიყენებთ. გუშინ უბურთო ვარჯიში გვქონდა. გადავწვიტე, ფეხბურთელებისთვის ნელ-ნელა მიმეცა დატვირთვები, მაგრამ სირბილისას ბარაბაძემ მუხლი იტკინა და... მოკლედ, რა გაეწყობა, ასეთია რეალობა. მთავარია ეროვნული ნაკრები და ვალდებულნი ვართ, ქვეყნის მთავარ გუნდს ცვლა მოვუმზადოთ. ამიტომაც არაფერს ვამბობ ახალგაზრდულის იმ ცხრა ფეხბურთელზე, ეროვნულ გუნდში რომ მიიწვიეს. ერთი სიტყვით, ხსენებულ ცხრა ფეხბურთელს დავამატოთ ხუთი ტრავმირებული, პლუს მირზა ბჟალავა, რომელიც დისკვალიფიკაცირებულია. აი, ასეთი სიტუაციაა. მხოლოდ ხუთი ფეხბურთელი მყავს ისეთი, ახალგაზრდულ ნაკრებში ბევრჯერ რომ უთამაშიათ. ისინი წამყვან ფიგურებად შეიძლება ჩაითვალონ. ივანიშვილი, კობახიძე, ფოფხაძე, სანაია სამშაბათს შემოგვიერთდებიან, ისევე, როგორც დევდარიანი, რომელიც დანიაშია და ახალ გუნდთან აფორმებს კონტრაქტს. ჯერჯერობით, არ ვიცი, თუ რა მდგომარეობაში არიან ისინი. იმედია ჯანმრთელები ჩამოვლენ. ამ პრობლემების მიუხედავად, ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ რუსეთთან წარმატებას მივაღწიოთ.

**- მეტოქეზე რას იტყოდით?**

- რუსეთმა ბოლო ორი მატჩი წააგო: ჯერ თბილისში, მერე კი შინ, ესპანეთთან დამარცხდა. რუსებს ახლაც კარგი შანსი აქვთ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასასვლელად. ჩვენთან ჯერ არ დაწყებულა ეროვნული პირველობა, რუსეთში კი ჩემპიონატი პიკზეა, შესაბამისად, მეტოქის ფეხბურთელები ოპტიმალურ ფორმაში არიან. ამ ორიოდ დღის წინათ ახალგაზრდულ ნაკრებში ნათამაშები ფეხბურთელების სია შევაჯერე და აღმოჩნდა, რომ 21-წლამდელთა სამი ნაკრები გვყავს: მაკარიძე, ლობჟანიძე, ყენია, მჭედლიძე, კლიმიაშვილი, კანკავა, ღვინიანიძე, გოცირიძე რომ გვყავდეს, სიტყვას გაძლევთ, რუსეთს მინსკში კი არა მოსკოვშიც კი მოვუგებდით. თუმცა მესმის, რომ ჩვენი ფეხბურთელები ეროვნულ გუნდს სჭირდება... აი, სხვა დროს რომ ყოფილიყო ეს თამაში, ამ მოთამაშეებს გამოვიყენებდით და მოვიგებდით კიდეც. ახლა კი გადახალისებული შემადგენლობით მოგვიწევს თამაში. მოვიწვიეთ ის ფეხბურთელები, რომლებიც დაბალ ასაკობრივ ნაკრებებში თამაშობენ. მაგალითად - მირცხულავა, შონია, შეყილაძე, ბეგლარიშვილი... მჯერა, ეს ბიჭებიც მაქსიმუმს გაიღებენ და თავს გადადებენ რუსეთთან გამარჯვებისთვის.

**- ის ფაქტი, რომ რუსეთთან არა მოსკოვში, არამედ მინსკში გვიწევს თამაში, მეტოქეზე ფსიქოლოგიურად რამდენად იმოქმედებს? ან შანსები რამდენად იცვლება?**

- საქართველოსა და რუსეთს შორის ომია და ჩვენ ამიტომაც ვთქვით რუსეთში თამაშზე უარი. უეფამ აბსოლუტურად სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო, როცა ნეიტრალურ მოედანზე დანიშნა თამაში. რაც შეეხება კითხვას... ბელარუსი რუსეთიდან შორს არაა. ჯერ არ ვიცი, როგორ, რა განწყობით დაგვხვდებიან იქაურები. ამას გარდა, რუსეთის ნაკრებში რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელია და მათთვის დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, მოსკოვში ითამაშებენ თუ მინსკში. ვფიქრობ, რუსებს მინსკშიც არ მოაკლდებათ ქომაგი.

**- რუსებს თბილისში მოვუგეთ. ევროპის ჩემპიონატზე გასასვლელად მათი დამარცხება სტუმრადაც უნდა მოვახერხოთ. არსებული პრობლემების გათვალისწინებით რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს?**

- თბილისში ძლიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული მეტოქე დავამარცხეთ. ამჯერად, ჩვენ ბევრად რთულ ვითარებაში ვართ. სამ-ოთხ დღეში უნდა შევძლოთ და დარჩენილი კონტინგენტისგან ახალი გუნდი შევკრათ. ჩვენ შიში არ გვაქვს, ბოლომდე ვიბრძოლებთ, ფეხბურთში ყველაფერი შესაძლებელია. რუსულმა აგრესიამ ქართველი ფეხბურთელები კიდევ უფრო გაახელა და მჯერა, ისინი თავს გადადებენ.

**- ყველგან ასეა, ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებთა თავკაცები მჭიდროდ თანამშრომლობენ. მოასწარით კუპერთან საქმიანი კონტაქტის დამყარება?**

- უელსში თბილისიდან 13 ფეხბურთელი ჩავიყვანე. სუონსიმდე ბაქოში სამი დღის განმავლობაში ვამზადებდი გუნდს. კუპერმა ეს ბიჭები ვარჯიშზე რომ ნახა, მადლობა მითხრა... აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მე და კუპერი უკვე მჭიდროდ ვთანამშრომლობთ. კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო - უმთავრესი ეროვნული ნაკრებია და სულაც არ მწყდება გული, რომ ჩემი ცხრა ფეხბურთელი კუპერის გუნდშია, პირიქით, ამის გამო ვამაყობ კიდეც. ძალიან მინდა, მთავარმა ნაკრებმა ირლანდიას მოუგოს და 3 ქულით დაიწყოს შესარჩევი ციკლი. ეროვნულამდე კი ჩვენი თამაშია და ჩვენც ძალიან გვინდა, რუსეთი დავამარცხოთ, სენსაცია გამოვაცხოთ და ქვეყნის უპირველეს წარმატებული ფონი შევუქმნათ.

**- დღეს საქართველოს მხარდასაჭერ აქციაში მონაწილეობდით...**

- უკვე ორ წელზე მეტია, რაც საქართველოში ვმუშაობ. ქართული ფეხბურთის წარმატებისთვის ვილვწვი და შეიძლება ითქვას, რიგითი ქართველი ჯარისკაცი ვარ. ჩვენი საომარი არეალი მწვანე მინდორია, ჩვენ აქ ვიცავთ საქართველოს ღირსებას და წარმატებებით ქვეყნის იმიჯს ვამაღლებთ. როცა ამ აქციის შესახებ გავიგე, არც კი დავფიქრებულვარ, უმალ ვთხოვე გელა შეყილაძესა და ლევან რამიშვილს, დაეზუსტებინათ, თუ როგორ უნდა ჩავრთულიყავით ამ აქციაში და სად უნდა ვმდგარიყავით. ამ აქციაში მონაწილეობით ჩემი პოზიცია გამოვხატე და ხმამაღლა ვთქვი - რუსეთის ჯარმა უნდა დატოვოს საქართველო. ამ ქვეყანაში მშვიდობა უნდა დამყარდეს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგეს.

მეტოქე

# რუსებს საქართველოსთან სამი ფეხბურთელი დააკლდებათ

რუსეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა, საქართველოსთან 5 სექტემბრის მატჩისთვის მზადება მოსკოვთან ახლოს მდებარე სპორტკომპლექს „ბორში“ დანაკლისით დაიწყო, რუსებს ორი წამყვანი ფეხბურთელი გამოაკლდათ. მოსკოვის „სპარტაკის“ ფორვარდი **არტემ ძიუბა** და ცსკა-ს ნახევარმცველი **ალან ძაგოევი**. ისინი საქართველოსა და ესპანეთის წინააღმდეგ თამაშს ვერ შეძლებენ. ტრავმირებულთა ნაცვლად, რუსეთის 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა **ბორის სტუკალოვმა** ორი ფორვარდი გამოიძახა - „ამკარიდან“ **ნიკოლაი ჟილიაევი** და „კრილიადან“ **ალექსანდრ სალუგინი**.

ალსანიშნავია ისიც, რომ დისკვალიფიკაციის გამო რუსებს მინსკში სამი გამორჩეულ ფეხბურთელი არ ეყოლებათ. ესენი არიან: მოსკოვის „დინამოდან“ **კირილ კომბაროვი** და **ვლადიმირ გრანატი**, „კრილიადან“ კი **ივან ტარანოვი**.

რუსეთის 21-წლამდელები მინსკში 4 სექტემბერს ჩაფრინდებიან.

რუსეთი-საქართველო

# პეტარ შეგრტმა ხომერიკი დაიმატა

## ახალგაზრდულში რვა ფეხბურთელს დღეს ელიან

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა რუსეთთან მატჩისთვის მზადება უკვე დაიწყო. **პეტარ შეგრტმა** გუშინ, საგურამოში, „ამერის“ ბაზაზე 18 საათზე ავარჯიშა გუნდი. წვრთნაში 24 ფეხბურთელი მონაწილეობდა. 21-წლამდელთა ნაკრებში 8 ფეხბურთელს დღეს გამთენიისას ელოდებიან: **სანდრო კობახიძე** (დნეპრი, უკრაინა), **ამირან სანაია** (ლე მანი, საფრანგეთი), **ბაქარ მირცხულავა** (ბენფიკა, პორტუგალია), **გიორგი ფოფხაძე** (ვიბორგი, დანია), **გიორგი ივანიშვილი** (ციურიხი, შვეიცარია), **ირაკლი შეყილაძე** (ემპოლი, იტალია) და მეკარე **სოსო ხომერიკი** (ალ კაჰარი, საუდის არაბეთი).

შეგრტმა გამოძახებულთა სიას საუდის არაბეთში მოასპარეზე გოლკიპერი ხომერიკი დაამატა.

დღეს ახალგაზრდული ნაკრები ორ ვარჯიშს ჩაატარებს. ორივე წვრთნა საგურამოში „ამერის“ ბაზაზე გაიმართება.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ნაკრები. საქართველო-ირლანდია

# დილით უბურთოდ, საღამოს სრული დატვირთვით



ექტორ კუპერი

მაინცში, დაბინავებულმა საქართველოს ნაკრებმა გუშინ ორი ვარჯიში გამართა. **ექტორ კუპერმა** „მაინცის“ დუბლშემადგენლობის მშობლიურ არენაზე ჩაატარა წვრთნები. დილის ვარჯიშში არგენტინელმა მხოლოდ ფიზიკურ მომზადებაზე გააკეთა აქცენტი და უბურთოდ ავარჯიშა გუნდი. საღამოს კი ჩვეულებრივი საწვრთნელი პროცესი ჩატარდა.

გუშინდელ ვარჯიშებში საქართველოდან ჩასულ 11 ფეხბურთელს სამი ლეგიონერი დაემატა. „შალკეს“ ნახევარმცველებმა **ლევან კობიაშვილმა** და **ლევან ყენიამ** და „კარლსრუეს“ ფორვარდმა **ალექსანდრე იაშვილმა** გუნდთან ერთად ივარჯიშეს.

დანარჩენ ლეგიონერებს მაინცში გვიან ელოდნენ. წესით კუპერმა ნაკრები დღეს სრული შემადგენლობით უნდა ავარჯიშოს.

მზადება ირლანდიამაც დაიწყო. **ჯოვანი ტრაპატონის** გუნდში დანაკლისია. ბი-ბი-სი-ს ცნობით „ვიგანის“ ნახევარმცველი **კევინ კილბეინი** „ჰალ სიტისთან“ მატჩში დაშავდა და უკვე გადაწყვეტილია, რომ საქართველოს წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. კილბეინის შემცვლელად „ბირმინგემის“ მცველი **სტივენ კილი** მოიაზრება.

მეტოქე

# ფილიპოვიჩმა შეარჩია

6 სექტემბერს ჩვენი ჯგუფის მეტოქეებიდან ჩერნოგორია ბულგარეთს პოდგორიცაში დაუხვდება, 10 სექტემბერს კი ირლანდიას უმასპინძლებს. ჩერნოგორიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზორან ფილიპოვიჩმა ბულგარეთსა და ირლანდიასთან თამაშებისთვის ნაკრების შემადგენლობა დაასახელა:

მეკარეები: **ვუკაშინ პოლეკშიჩი** (დენრეცენი), **მლადენ ბოჟოვიჩი** (პარტიზანი)

მცველები: **სავო პავიჩევიჩი** (კოტბუსი), **მილან იოვანოვიჩი** (კლუჟი), **ლუკა პეიოვიჩი** (მოგრენი), **რადოსლავ ბატაკი** (ანკარა), **იოვან ტანასიევიჩი** (დინამო მ), **ვლადო იეკშიჩი** (ვეჰენი), **ელსად ზვეროტიჩი** (ლუცერნი).

ნახევარმცველები: **ბრანკო ბოშკოვიჩი** (რაპიდი, ავსტრია), **ნიკოლა დრინჩიჩი**, **მიტარ ნოვაკოვიჩი** (ორივე ამკარი), **ვლადიმირ ბოჟოვიჩი** (რაპიდი, რუმინეთი), **მილორად პეკოვიჩი** (მაინცი), **სიმონ ვიკშევიჩი** (სპორტინგი), **იგორ ბურჟანოვიჩი** (ცრვენა ზვეზდა).

თავდამსხმელები: **მირკო ვუჩინიჩი** (რომა), **სტივენ იოვეტიჩი** (ფიორენტინა), **რადომირ დალოვიჩი** (რაპიდი, რუმინეთი), **დეიან დემიანოვიჩი** (სეული), **დრაგან ბოგავაცი** (მაინცი).



ზორან ფილიპოვიჩი

გვერდი მოამზადა

**დავით ცაბაძემ**

# კვარაცხელია თვის ფეხბურთელია

მინსკის "მტზ-რიპოში" გადასულმა **გია კვარაცხელიამ** სეზონი საუკეთესოდ დაიწყო და უკვე გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ყალიბდება. ეს გუნდი ბელარუსის ჩემპიონატის ლიდერია, რომლის წარმომადგენელი "ბატეც" ახლახან ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ბულგარეთის ჩემპიონ "ლევსკის" ძლევით მოხვდა.

მოკლედ, ბელარუსის ჩემპიონატი ხელწამოსაკრავი ნამდვილად აღარ ჩანს, ისევე როგორც, ამ ჩემპიონატზე გუნდის ლიდერობა არაა პატარა საქმე. გიამ ბოლო სამ ტურში თავი ბომბარდირობითაც გამოიჩინა. ბოლო ორ ტურში ორი ბურთი გაიტანა (ჟდანოვიჩის "დარიდასთან" და ჟოდინოს "ტორპედოსთან"). ქართველმა ნახევარმცველმა შაბათს მოგილოვის "დნეპრთანაც" ივაჟკაცა და საგოლე ანგარიში სამამდე გაზარდა.

მინსკელებმა "დნეპრს" უმასპინძლეს და 0:1 აგებდნენ, მაგრამ 43-ე წუთზე კვარაცხელიამ ანგარიში გაათანაბრა, ბორდაჩოვმა და ბარსელონელი გლების ძმამ კიდევ ორი დაამატეს და საბოლოოდ მასპინძლებმა 3:1 მოიგეს.

"მტზ-რიპოს" ოფიციალურ ვებგვერდზე კი ტარდება გამოკითხვა, ვინ არის კლუბის საუკეთესო ფეხბურთელი და კვარაცხელია 31 აგვისტოსთვის უკონკურენტო იყო – მას უპირატესობა მიანიჭა გულშემატკივართა 38.7-მა პროცენტმა. მისმა უახლოესმა კონკურენტმა იანკო ვილკანოვმა 26.9 % მიიღო, ალექსანდრ სულიმამ კი - 6,9 %.

*"ბელარუსში ფეხბურთის მაგარი ბუმია. "ბატეს" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლამ ხალხი საერთოდ გადარია. ამიტომაც მიხარია, ჩემპიონატის ლიდერ გუნდში უმტკივნეულოდ დამკვიდრება რომ შევძელი. გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგები კი ჩემთვის სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა. "მტზ-რიპოში" ბელარუსებისთვის ყველაზე საყვარელი ფეხბურთელის, ალექსანდრე გლების ძმა თამაშობს და ჩვენი ფანები მასზე გიჟდებიან. გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგებზე კი ასეთი ფაქტორები ხშირად გადამწყვეტ გავლენას ახდენს. აქედან გამომდინარე, შედეგები ჩემთვის დიდი მოულოდნელობა იყო,"* – გვითხრა გია კვარაცხელიამ.


გია კვარაცხელია

# დენდერმა მხოლოდ ორი გაგრელი დაიტოვა

## ქვრივიშვილს დროებით საქართველოში თამაში ურჩიეს

ინტერნეტ-პორტალმა "ცისოკერმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომელიც "გაგრის" ფეხბურთელების ტრანსფერს ეხება.

როგორც ცნობილია, "გაგრამ" და ბელგიის უმაღლესი დივიზიონის "დენდერმა" პარტნიორული ხელშეკრულება გააფორმეს. შედეგად, მცველი **ვახტანგ ქვრივიშვილი**, ნახევარმცველი **გიორგი ცხადაია** და თავდამსხმელი **ზურაბ ძაგანია** ბელგიურ კლუბში გასასინჯად გაემგზავრნენ და ჩვენი ინფორმაციით, კლუბთან კონტრაქტი გააფორმეს.

თუმცა "ცისოკერის" ინფორმაციით, საბოლოოდ ბელგიელებმა მხოლოდ ერთი მათგანის დატოვება გადაწყვიტეს - ცხადაიასთან კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გააფორმეს და ტრანსფერის გამოსყიდვის უფლება დაიტოვეს. ძაგანიას გასინჯვას ბელგიელები სექტემბრის ბოლომდე გააგრძელებენ, ქვრივიშვილის დატოვება კი ვერ მოახერხეს. სამივე მათგანი "დენდერში" ივლისში გასინჯეს.

ჩვენ კი გვქონდა ინფორმაცია, რომ სამივე მათგანმა კონტრაქტი გააფორმა და უხერხული ვითარება შეიქმნა. "გაგრის" ვიცე-პრეზიდენტ **გოდერძი ჩიხრაძეს** სიმართლის გასარკვევად დავუკავშირდით.

*"დიახ, კონტრაქტი მხოლოდ ცხადაიამ გააფორმა, რაც შეეხება ძაგანიას, სექტემბრის ბოლომდე გასასინჯად არ დარჩება, იჯარა იანვრამდე გაუფორმეს. ქვრივიშვილი კი მართლა წამოვიდა და პირველ წრეს "გაგრაში" ჩაატარებს. კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ დარჩენა არც ერთი მათგანისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა, მაგრამ "დენდერში" ქვრივიშვილის ადგილას გამოცდილი ვეტერანი მიიყვანეს, ვახტანგს თამაშის მცირე შანსი ექნებოდა და გამომდინარე აქედან, თავად იოჰან ბოსკამპმა ურჩია, დროებით საქართველოში დარჩენილიყო, "გაგრაში" ეთამაშა და მერე ისევ გამოგიძახებთო. თავადაც სკამზე ჯდომას, ჩვენს ჩემპიონატში თამაში ამჯობინა. თან, პრობლემას ის წარმოადგენდა, რომ თითოეული უცხოელის ჩარიცხვისთვისთვის კლუბმა სახელმწიფო ბიუჯეტში მინიმუმ 5 ათასი ევრო უნდა იხადოს"* – გვითხრა ჩიხრაძემ.

ჩიხრაძე **დავით გიგაურის** შესაძლო ტრანსფერზეც გვესაუბრა – კლუბის მთავარი მწვრთნელი ვოვა ხაჩიძე თბილისის "დინამოს" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ მცველს ჯერ კიდევ აკვირდება. გიგაურის ჩარიცხვის საკითხი უახლოეს დღეებში გაირკვევა.

# ექვსნი ქალაქში და გურული დიპლომატია

## ქართულ-რუსული დაპირისპირება პატარა ფინურ ქალაქში


ქართველებმა ფინეთში ეროვნული დროშაააფრიალეს

ფინურმა გაზეთმა "კაინუუნ შანომატმა" 13 აგვისტოს ვრცელი ადგილი დაუთმო საქართველოში დატრიალებულ მოვლენებს და გამოაქვეყნა სტატია სათაურით - "ფეხბურთელები მშვიდობას ითხოვენ" და მეორე დივიზიონში მოთამაშე ქართველები საქართველოს დროშით.

საქმე ისაა, რომ პატარა ქალაქ კაჯაანში ორი საფეხბურთო კლუბია და ორივე მეორე დივიზიონში, ჩვენებურად, რეგიონალურ ლიგაში გამოდის. მეკარე **ზურა ტალახაძე**, ნახევარმცველი ძმები, **ლაშა** და **ლევან ჩხაიძეები** და თავდამსხმელი **კახა სამსონია** - "კაჯაანიში", მეკარე **ლევან ლომიძე** და **ნიკა კილაძე** - კი "ჰაკაში".

ჟურნალისტმა მათ შორის ყველაზე უფროსს, "მცხეთისა" და ბოლნისის „სიონის" ყოფილ მოთამაშეს, ლაშა ჩხაიძესთან გასაუბრება მოისურვა, მან კი საგაზეთო „მიტინგი" მოაწყო.

*"ამ რეგიონის მთავარი გაზეთის ჟურნალისტმა დამირეკა და საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით აზრის გამოთქმა მთხოვა. მეც შევკრიბე ეს ჩემი ქართველობა და რედაქციაში ერთად, საქართველოს დროშით ვესტუმრეთ.*

*დაწერეს, რომ ნიკა კილაძე წარმოშობით გაგრიდანაა, სამი წლის იყო, ომი რომ დაიწყო და ოჯახი იძულებული გახდა, ჩამოსულიყო. ნიკა ჩვენი ქალაქის მეორე გუნდში – "ჰაკაში" მეკარე ლევან ლომიძესთან ერთად თამაშობს, "კაჯაანში" კი მე, ჩემი ძმა ლევანი, ზურა ტალახაძე და კახა სამსონია. მოკლედ, კაჯაანი ქართველებით გავავსეთ.*

*ჟურნალისტმა დაწერა, რომ ჩვენ თბილისში ვცხოვრობთ და ომი ჩვენს ოჯახებს არ ემუქრება, მაგრამ რუსეთის აგრესიის გამო, ძალიან შეშფოთებულები ვიყავით და ყოველ საათში ახალ ამბებს ვუსმენთ, რომ მშობლებსა და მეგობრებს ლამის ყოველ საათში ვუკავშირდებით.*

*ვისაუბრე, რომ სამხრეთ ოსეთიცა და აფხაზეთიც საქართველოს ისტორიული ნაწილებია და გაკონტროლების სრული უფლება გვაქვს, მაგრამ რუსეთისთვის საქართველო სტრატეგიულად ძალიან მნიშვნელოვანია-მეთქი. კავკასიის ძირითადი საყრდენი ქვეყანა ვართ, ევროპისა და აზიის ხიდია-მეთქი. როგორც ყველა გურული, მეც ძალიან პოლიტიზებული ვარ, შანსი მომეცა და ვთქვი, რაც ხდებოდა. ისიც ვახსენე, რომ ოლიმპიადის პერიოდში ომი შეგნებულად დაიწყეს, საქართველოს სახელით სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდანაც ბევრი სპორტსმენი გამოდის. ისტორიულად და ყველანაირად ეს საქართველო იყო .*

*ჩვენ ძალიან პატარა, მაგრამ ამაყი ერი ვართ და ასე ადვილად არავის არაფერს დავუთმობთ. ბოლო დროს საქართველოში ხშირად ამბობენ, რომ ეს მოვლენები 1940 წელს ფინეთის ოკუპაციის მცდელობას ჰგავს. მაშინდელი მოვლენების კვალი დღემდე აშკარაა - რუსებს ფინელებიც ვერ იტანენ.*

*პრეზიდენტზეც მკითხეს. ჩვენი საქმეა, მიშას ავირჩევთ თუ სხვა ვინმეს, რუსებს არა აქვთ უფლება, პრეზიდენტი შეგვირჩიონ-მეთქი. ისიც დავამატე, ქართველებს რუსებთან კარგი და მეგობრული ურთიერთობა რომ გვქონდა. ახლა ყველა ხიდი ჩაჭრეს, მაგრამ რუსი ხალხის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს. აქ გურული დიპლომატია გამოვიჩინე. ჟურნალისტი გაოცებული იყო, რუსულ არხებზე სულ სხვას ამბობენ, ფინელები სხვას, არადა, რა კარგი ხალხი ხართ, სტუმართმოყვარეებიო და ასე შემდეგ...*

*ბოლოს ვთქვი, რომ ჩვენ გვინდა მშვიდობა, ერთიან, დაცულ და ევროპულ ქვეყანაში ცხოვრება, იგივე სტუმართმოყვარე ერი ვიქნებით, ოღონდ, ფინეთმა და მთელმა მსოფლიომ საქართველო უნდა დაიცვას-მეთქი და ა.შ.*

*ბოლოს დიპლომატიაც დამავიწყდა და ბიჭებთან ერთად ლამის მიტინგი მოვაწყვეთ, "სტოპ რაშა"-ს იმდენ ხანს ვყვიროდით,"*– გვითხრა ჩხაიძემ. ფინეთში ბევრი რუსია და რუსული აგრესიის სანაცვლოდ, ქართველმა ბიჭებმა მათზე შური მოედანზე იძიეს.

*"აქ ძალიან ბევრი რუსია. ინტერვიუს მეორე დღეს შევხვდით გუნდს, სადაც ოთხი რუსი თამაშობდა. აქეთ ოთხი ქართველი – როგორი იქნებოდა, ხომ წარმოგიდგენიათ? მაგარი ომი გვქონდა. ჩვენ შავი სამკლაურებით ვითამაშეთ და 2:1 მოვუგეთ. აგრესიულები რუსები კი არა, ჩვენ ვიყავით. დიდ გულზე ჯარით არიან, თორემ, ისე გულადობის არაფერი ეტყობოდათ. სულ "ტიხო, ტიხოო" გვეძახდნენ, მაგრამ ამით გაგვაჩერებდნენ?"* – სიცილით იხსენებს ჩხაიძე.

რაც შეეხება წმინდა სპორტულ მხარებს, ლაშა ჩხაიძეს კლუბში არა მარტო ფეხბურთელის როლი ეკისრება: *"კაჯაანი" შარშან შექმნილი გუნდია, ჯერ მხოლოდ მესამე ლიგაშია და დაწინაურებაზე ფიქრობენ. ქალაქში მიცნობდნენ, გუნდმა კონტრაქტი თბილისში გამომიგზავნა და მომიწვიეს არა მარტო როგორც ფეხბურთელი - გუნდს პროფესიულ კლუბად ჩამოყალიბებაში უნდა დავეხმარო. პრეზიდენტი აზრს ხშირად მეკითხება, მოკლედ, დირექტორატის წევრივით ვარ. მეორე გუნდის პრეზიდენტი დღეში ასჯერ მირეკავდა. იმედია, ეს ბიჭები თავს გამოიჩენენ და უფრო ძლიერ კლუბებში მიიწვევენ..*

*მოკლედ, ახლა ქალაქში ექვსნი ვართ და იმედი გვაქვს, რომ მალე პატარა ფინური ქალაქის საფეხბურთო ცხოვრებას გამოვაცოცხლებთ."*

**გვერდი მოამზადა**
**მერაბ მამულაშვილმა**

# მწვრთნელი, რომელიც დააკლდა ქვეყანას

## თემურ ნადირაძის საქმე კიევში დააფასეს



**კიევის "დინამომ" საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელი შეიძინა.**

**შეიძლებოდა, მახო ფეხბურთელი არც გამხდარიყო, არც მოსკოვის "ლოკომოტივში" ეთამაშა, საქართველოს ნაკრებიც გვერდზე ჩაუქროლებდა და კიევის "დინამოში" ჩემპიონთა ლიგაში თამაშის შანსიც. საერთოდ, უბნისა და ახლობელ-მეგობრების გარდა, მისი არსებობა არავის ეცოდინებოდა - რომ არა მისი ბავშვობის მწვრთნელი თემურ ნადირაძე.**

**15 წლის მალხაზმა ერთი კვირა ვარჯიშები გააცდინა. ასათიანის ოჯახი დიდი ქონებით არ გამოირჩეოდა, სავარჯიშო კედებიც არ ჰქონდა და ამაყ ბავშვს სტადიონზე მისვლა შერცხვა.**

**თემურ ნადირაძემ მიაკითხა, მიზეზი რომ გაიგო, შეღონდა კაცი, ბავშვის განცდა კარგად გაიგო და ბუცები უყიდა, პირველი ბუცები, ოღონდ ტალანტი მოედანზე გამოეჩინა.**

**გავა წლები, ასათიანს პოსტსაბჭოეთის "ბეკენბაუერად" მონათლავენ და მას შემდეგ თავად მადლიერი ფეხბურთელი გაუხსენებს ქუთაისელ "ფეოლას" გაჭირვებაში თანადგომას - არა მარტო საქართველოში, რუსეთში მიცემულ ლამის ყველა ინტერვიუში ახსენებდა, ფეხბურთელობას ნადირაძეს ვუმადლიო.**

**საქართველოში ასეთი თავდადებული, გულიანი და უანგარო მწვრთნელების აშკარა სიმცირეა. თავადაც არ იყო მდიდარი, მაგრამ ნიჭიერ ბავშვს თავს მევლებოდა, ეხმარებოდა, ოღონდ, საქართველოსთვის კაცი გაეზარდა – როგორც ბორის პაიჭაძე იტყოდა, "დინამოს" კი არა, დარიალის დამცველი.**

**მწვრთნელობა რეალურად ესაა, ფეხბურთელს მოედნის ჯარისკაცად უნდა ზრდიდნენ და არა უბრალო სირბილისთვის ან ტიტულისთვის. ეს სირბილი და ტიტული თუ ქვეყანას არ წაადგება, კაპიკია ადამიანის ფასი.**

**ფეხბურთში მწვრთნელების დეფიციტიაო, ხშირად ამბობენ. არა, ბატონო, მწვრთნელების დიდი ნაწილი ფიზიკა-ქიმიასა და დატვირთვებში ასე თუ ისე ერკვევა, მაგრამ დარიალის დამცველთა გაზრდაზე ბევრი არ ფიქრობს. უამისოდ კი მოთამაშე მარილმოუყრელ სალათას ჰგავს და უმარილო ფეხბურთელად იზრდება.**

**აბა, სხვა რა უნდა იფიქრო კაცმა - ნადირაძესავით კარდაკარ მოსიარულე ტალანტების მძებნელს ვინ ჩივის, მზა ფეხბურთელები გვყავს და აინუნშიც არ აგდებენ, ხან ხასიათს უწუნებენ და ხან ასაკს.**

**მერე ვიწუწუნებთ, ფეხბურთელები საქართველოდან გარბიანო. გაიქცევიან, აბა, რა იქნება, როდესაც ფეხბურთელების ფასი არ ვიცით.**

**რუსეთის აგრესიამ მაინც უნდა გვასწავლოს თითოეული ქართველის ფასი, რომ თითოეულს გაფრთხილება და მოფერება სჭირდება და იქნებ, დარიალის კარი დავიცვათ და მათი ფასი გავიგოთ.**

**სამწუხაროდ, ფეხბურთის შიშხათის მცოდნეთა რაოდენობა შარშან შემოდგომით შემცირდა – თემურ ნადირაძის გარდაცვალებიდან მალე ერთი წელი შესრულდება.**

**ამ კაცის არყოფნა არა მხოლოდ ქუთაისს დაეტყობა, არამედ, მთელ საქართველოსაც. ისევე, როგორც დაეტყო რუსთაველი მურმან გოგოლაძის უდროო გარდაცვალება და რუსთავის უძლიერესი სკოლაც საკმაოდ შესუსტდა.**

**სამწუხაროდ, კარდაკარ მოსიარულე ფანატიკოსი ბევრი არაა. არადა, დარიალის დამცველებს გამზრდელები სჭირდება.**

ახალი სკანდალი

# ჩააწყო თუ არა მალაიზიელმა მაფიოზმა მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩი?

## მანიპულირებული მატჩების სია: ბრაზილია-განა (3:0), ჰანოვერი-კაიზერსლაუტერნი (5:1), კარლსრუე-ზიგენი (2:0)





კვირას, გამოცემა „შპიგელის" სტატიამ მთელი საფეხბურთო გერმანია (და არა მარტო გერმანია) შეძრა. ჟურნალისტური გამოძიების შედეგად დაწერილ მასალაში ნათქვამია, რომ 2006 წელს მაფიოზებმა სამი მატჩი იყიდეს და ტოტალიზატორებში მილიონები მოხსნეს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სამიდან ერთი მატჩი 2006 წლის მუნდიალის მერვედფინალური შეხვედრაა: ბრაზილია-განა 3:0!

ბრაზილიის ნაკრებს განის დამარცხება არც გაუჭირდებოდა, მაგრამ როგორც „შპიგელი" წერს, მაფიოზებმა თავი დაიზღვიეს და განელ ფეხბურთელებზე „გავიდნენ". რამდენად შეესაბამება ეს ბრალდება სიმართლეს? აი, რას ამბობს **ოტო ადო**, ფეხბურთელი, რომელიც მაშინ განის ნაკრების განაცხადში იყო: *„მაშინაც ვერ გავიგე და ახლაც არ მესმის, რატომ არ შეიყვანა ჩვენმა მწვრთნელმა მოედანზე შემტევი ფეხბურთელები, ჩვენ ხომ ვაგებდით? ჰო, ჩვენ ბრაზილიას ვეთამაშებოდით, მაგრამ ფაქტი იყო, რომ გუნდს თავდამსხმელი სჭირდებოდა. მერე რა, რომ ჩვენი მეტოქე თვით „სელესაო" იყო? დასაკარგი არაფერი გვქონდა, მაგრამ როგორც ჩანს, მწვრთნელს ჰქონდა რაღაც დასაკარგი."*

განის ნაკრებს უმძიმესი ბრალდებები წაუყენა კანადელმა მეცნიერმა **დეკლან ჰილმაც**, რომელიც ამბობს, რომ „ამ საქმეში ჩართვა" შესთავაზეს. ჰილი წერს, რომ ის თვითმხილველია ფაქტისა, როდესაც განის ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი წარმომადგენელი აზიელ მაფიოზებს უკავშირდებოდა და მათ სხვადასხვა შეთავაზებას აცნობდა. ჰილი შიშის გამო განელის გვარს არ ასახელებს და მას მხოლოდ „ლი ჩინს" უწოდებს.

ჰილი: *„ლი ჩინმა" თავის ოფისში მიხმო და მითხრა, განის 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი ვარ, იქაურ ფეხბურთს და სიტუაციას ძალიან კარგად ვიცნობ, დამიჯერე, დიდი ფულის მოხსნა შეგვიძლიაო. მეუბნებოდა, რომ ბრაზილიასთან მატჩის წინ განის ნაკრების რვა ფეხბურთელისგან თანხმობა უკვე მიღებული ჰქონდა. თანაც თავს იმშვიდებდა, ბრაზილიასთან მაინც წავაგებთ და განა უმჯობესი არ არის, ცოტა ფული რომ ვიშოვოთო? ფეხბურთელები მან 30 000 დოლარის შეთავაზებით დაითანხმა."*

მატჩამდე ორი დღით ადრე „ლი ჩინმა" ჰილს დაურეკა და უთხრა, ყველაფერი მოგვარებულია, განის ნაკრები ამ შეხვედრას მინიმუმ ორბურთიანი სხვაობით წააგებს, ფეხბურთელების შემდეგ მწვრთნელზეც გავედიო.

როგორც ხედავთ, ამ საქმეში მთავარი მოწმე სწორედ ჰილია. მიუხედავად მისი განცხადებებისა, **ფრანც ბეკენბაუერს**, რომელიც მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ, არ სჯერა, რომ განამ ბრაზილიასთან 0:3 გამიზნულად წააგო. *„მე ამ შეხვედრაში საეჭვო არაფერი შემიმჩნევია. მატჩის შედეგი სენსაცია არავისთვის ყოფილა, ძლიერმა სუსტი დაამარცხა და მორჩა. არ მჯერა, რომ მუნდიალის მატჩი შეიძლება მანიპულირებული იყოს,"* - აცხადებს „კაიზერი", მაგრამ მისგან ასეთი განცხადება გასაკვირი სულაც არ არის - „გერმანია 2006" ხომ მთლიანად მის მიერ იყო ორგანიზებული, იმ მუნდიალს სულაც „ბეკენბაუერის მუნდიალს" უწოდებენ.

განელები ბრალდებებს, რა თქმა უნდა, უარყოფენ. ნაკრების მენეჯერი **ენტონი ბაფოე**: „სულ გუნდთან ერთად ვიყავი და საეჭვო არაფერი შემინიშნავს." მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ეროვნულ გუნდთან ერთად იყო განის 17-წლამდელთა ნაკრების დამრიგებელი **აბუკარი დამბა**, ვისაც იქ, წესით, არაფერი ესაქმებოდა. როგორც ირკვევა, სწორედ ეს უკანასკნელი ესაუბრებოდა მაფიოზებს და ჰპირდებოდა, რომ ნაკრების 8 ფეხბურთელი მზად იყო, მინიმუმ ორბურთიანი სხვაობით წაეგოთ.

ჰილი იმასაც ამბობს, განის ნაკრების კაპიტან **სტეფან აპიას** ვესაუბრე და მან დამიდასტურა, თამაშების წაგებისთვის ფული არაერთხელ შემომთავაზეს, მაგრამ არც ერთხელ არ დავთანხმებულვარ, მხოლოდ იმ შემთხვევაში ვთანხმდებოდი, თუ ფულს მოგებისთვის მთავაზობდნენო.

რაც შეეხება სხვა მატჩებს - სიაშია 2005 წლის 26 ნოემბერს გამართული მატჩი ბუნდესლიგაში, რომელშიც „ჰანოვერმა" „კაიზერსლაუტერნს" 5:1 მოუგო და ასევე „კარლსრუესა" და „ზიგენის" დაპირისპირება (07.08.2005), რომელიც ბადენელებმა 2:0 მოიგეს. „შპიგელი" წერს, რომ ეს მატჩები მალაიზიელმა მაფიოზმა, **ვილიამ ბი ვაჰ ლიმმა** იყიდა. ფაქტი: ამ უკანასკნელმა მაშინ „ჰანოვერის" მოგებაზე 2.8 მილიონი ევრო დადო და 2.2 მილიონის მოგებაში დარჩა. რაც შეეხება მეორე მატჩს: ლიმმა „კარლსრუეს" გამარჯვებაზე 4 მილიონი ევრო დადო, თანაც, ბადენურ კლუბს მინიმუმ ორბურთიანი სხვაობით უნდა მოეგო. ასეც მოხდა...

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ლიმის სახელი მანიპულირებულ მატჩებს დაუკავშირდა. 2007 წლის 1 ივლისს მას ფრანკფურტში ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს იმის გამო, რომ დაუმტკიცდა ბრალდება, რომლის მიხედვითაც, მან გერმანიის რეგიონალლიგაში და ავსტრიის ჩემპიონატში რამდენიმე შეხვედრის მანიპულირება მოახერხა. ახლა კი მის სახელს კიდევ სამი მატჩი დაუკავშირდა და ახალი გამოძიება უკვე დაწყებულია. მაგრამ ლიმი დღეს თავისუფალია (40 000 ევრო გადაიხადა) და იძებნება...

იმხანად „კაიზერსლაუტერნის" მთავარი მწვრთნელი **ვოლფგანგ ვოლფი** გახლდათ და თანაც, „ჰანოვერთან" დებიუტი ჰქონდა. ვოლფი: *„ჰო, მაშინ გუნდმა ძალიან ბევრი სულელური გოლი გაუშვა, მაგრამ მე მაინც იმედი მაქვს, რომ ჩემი შეგირდები სუფთები არიან. ჰოიცერის საქმის მერე გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, არ გამოვრიცხავ, რომ ძალით წააგეს."*

■ ■ ■

გადავწყვიტეთ, ამ სამი მატჩის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოგვეპოვებინა და მოდი, თქვენთან ერთად გადავავლოთ თვალი, რა მოხდა ზემოთ ჩამოთვლილ შეხვედრებში. დაუშვეს თუ არა ფეხბურთელებმა წარმოუდგენელი შეცდომები? იყო თუ არა საეჭვო გაძევებები, მწვრთნელისა თუ მსაჯის საეჭვო გადაწყვეტილებები?

### ჰანოვერი-კაიზერი 5:1

„ლაუტერნი" ცხრილში ბოლო ადგილზე იყო და „ჰანოვერს" ესტუმრა. მატჩი „წითელმა ეშმაკებმა" ძალიან დაბნეულად დაიწყეს და პირველ ორ წუთში მეკარე **მახომ** ორჯერ გადაარჩინა გუნდი გაშვებულ გოლს. პირველი გოლი მე-13 წუთზე გავიდა - ჰანოვერელ **ტარნატს** კუთხურის შემდეგ ხელი არავინ შეუშალა. მეორე გოლის დროს იგივე ტარნატი, კაიზერსლაუტერნელმა მცველებმა მახოსთან პირისპირ დატოვეს. მესამე გოლი **ბრდარიჩმა** გაიტანა და მცველებს არც მისთვის უცდიათ ხელის შეშლა. საერთო ჯამში, ხუთიდან ოთხი გოლი „ლაუტერნმა" სტანდარტული მდგომარეობიდან გაუშვა. მატჩის შემდეგ, „კაიზერის" 6-მა ფეხბურთელმა ყველაზე უარესი შეფასება, 6 ბალი მიიღო...

### კარლსრუე-ზიგენი 2:0

ზიგენის ორი ფეხბურთელი, მათ შორის ერთი მეკარე, კაზინოში ლიმთან ერთად ნახეს. პირველი გოლის დროს მცველმა **შვარცმა მასმანიდისის** პასი გაატარა, მეორე გოლი კი მეკარის სინდისზეა.

### ბრაზილია-განა 3:0

აფრიკელებს თავიანთი ლიდერი **მიკაელ ესიენი** არ ჰყავდათ, რომელიც დისკვალიფიცირებული იყო. ბრაზილიის ნაკრებმა პირველი გოლი მე-5 წუთზე გაიტანა - აფრიკელებს **რონალდოს** თამაშგარე მდგომარეობაში დატოვება სურდათ (ან არ სურდათ). გოლის შემდეგ უპირატესობა განელთა მხარეს გადავიდა, მაგრამ აფრიკელებმა რამდენიმე საგოლე მომენტი ქარს გაატანეს: **ამოას** ორჯერ შეეძლო გატანა, ერთხელ კი **მენსას** ჰქონდა ძალიან კარგი შანსი. პირველი ტაიმის დამატებულ დროში **ადრიანომ** თამაშგარე მდგომარეობიდან მეორე გოლი გაიტანა, მაგრამ ლაინსმენს ალამი არ აუწევია. პირველი ტაიმის შემდეგ, ბრაზილიას 10-ჯერ ჰქონდა კარში დარტყმული, განას კი 4-ჯერ. მეორე ტაიმში განელებს ბევრი არაფერი გაუკეთებიათ, მესამე გოლი **ზე რობერტომ** 84-ე წუთზე შეაგდო. გამოცემა „ბილდმა" მაშინ ოთხ განელს ხუთიანი დაუწერა: თავდამსხმელებს, ამოასა და **გიანს** და მცველებს, **მენსასა** და **პაპოეს**.

### შონ დანდი: მაფიოზები მეც დამიკავშირდნენ!

მალაიზიურმა მაფიამ 2005 წელს „კარლსრუეს" თავდამსხმელ **შონ დანდის** დაყოლიებაც სცადა. ეს თვითონ ფეხბურთელმა დაადასტურა.

*„2005 წლის ზაფხულში ერთი კაცი გამეცნო, მითხრა, ფეხბურთის ფანი ვარო. ფანებთან ურთიერთობა ყოველთვის უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა. რამდენიმე კათხა ლუდი დავლიეთ და მოგვიანებით მკითხა, რას იტყვი, კარგი იდეა რომ მოგაწოდოოო. იდეა შემდეგში მდგომარეობდა: ერთ-ერთ მატჩში მოწინააღმდეგე გუნდის მცველი საჯარიმოში წამაქცევდა და დაინიშნებოდა პენალტი, რომელიც არ უნდა გამეტანა. ამისათვის იმ კაცმა 20 000 ევრო შემომთავაზა. მე, რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი,"* - განუცხადა დანდიმ „შპიგელს". მანვე აღნიშნა, რომ ასეთი შეთავაზებები მაშინ „კარლსრუეს" კიდევ ორმა ფეხბურთელმა მიიღო...

**გოტფრიდ ლენცი**

მანჩესტერ სიტი

# ახალი მფლობელი ბერბატოვს ითხოვს

## გამდიდრებული სიტი იუნაიტედს ლონდონელ თავდამსხმელში შეეცილა

„მანჩესტერ სიტის" მყიდველი გამოუჩნდა. კლუბი არაბთა გაერთიანებული საამიროების კონსორციუმმა შეიძინა. კორსორციუმს „აბუ დაბის განვითარებისა და ინვესტიციების გაერთიანებული ჯგუფი" ჰქვია. **ტაქსინ შინავატრასთან** შეთანხმებას გუშინ მოეწერა ხელი.

სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს, არაბებმა „ტოტენჰემს" **დიმიტარ ბერბატოვის** გაყიდვა შესთავაზეს. „მამლები" წინადადებას უყოყმანოდ დათანხმდნენ. „სიტის" ახალმა მფლობელებმა 34 მილიონი გირვანქა გაამზადეს. ეს თანხა ლონდონელთა მიერ მოთხოვნილ თანხას ოთხი მილიონით აღემატება. ბერბატოვის შეძენა „მანჩესტერ იუნაიტედსაც" სურს, თუმცა მას 25 მილიონზე მეტი არ ემეტება.

გუშინ „მენიუმ" „ტოტენჰემს" ახალი პირობები გაუგზავნა: 20 მილიონი გირვანქა და ახალგაზრდა თავდამსხმელი **ფრეიზერ კემპბელი** ბერბატოვის სანაცვლოდ. ლონდონელების პასუხი უცნობია. დღესავით ნათელია, რომ „მამლებს" 34 მილიონის ნაღდი ფულის მიღება ურჩევნიათ.

ახლა სიტყვა ბერბატოვზეა. თუ ის „სიტის" ვარიანტს დაიწუნებს, „ტოტენჰემში" დარჩება. იქ კი მინიმუმ იანვრამდე თადარიგში ყოფნა ემუქრება. ლონდონელთა თავკაცმა **ხუანდე რამოსმა** ბერბატოვზე გული აიყარა. ბულგარელი ვარსკვლავი ბოლო ორ მატჩში განაცხადშიც არ შეუყვანიათ.

რაც შეეხება „სიტის" გაყიდვას. ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა. შინავატრამ კლუბი 2007 წლის ზაფხულში შეიძინა. ტაილანდის ხელისუფლება მას კორუფციაში ადანაშაულებს. სასამართლო შინავატრას ბრალეულობას განიხილავს. საქმის დასრულებამდე, მისტერ ტაქსინის 1-მილიარდიანი ქონება დაყადაღებულია.

ადუ დაბის კორსორციუმი დიდი ხანია, ინგლისურ ფეხბურთში ფულის დაბანდებას ცდილობს. არაბი ინვესტორების ამოცანა ასეთია: პრემიერლიგის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კლუბი გრანდად გადააქციონ. მიმდინარე სეზონში პროგრამა-მაქსიმუმი საუკეთესო ოთხეულში მოხვედრა იქნება.




დიმიტარ ბერბატოვს მეორე მანჩესტერული ვარიანტიც გამოუჩნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევერტონი

# სმიტი: ნიუკასლიდან ევერტონში

## მოიესი მოუტინიოს ვერ შესწვდა, ობინიას სამინისტრო აფერხებს



ალან სმიტი

გუშინ „ევერტონმა" „ნიუკასლის" თავდამსხმელი **ალან სმიტი** შეიძინა. ლივერპულელებს ეს სიამოვნება 3 მილიონი გირვანქა დაუჯდათ. დევიდ მოიესი კმაყოფილი იყო. სმიტს „ივუდ პარკზე" საღამო ხანს ელოდებოდნენ. მას სამედიცინო შემოწმება უნდა გაევლო და ნომერი აერჩია.

მოიესი სმიტს ივნისში დაუკავშირდა. „ნიუკასლმა" ტრანსფერზე ცივი უარი განაცხადა. ფეხბურთელმა „ევერტონში" გაშვება მოითხოვა. ალანი მთავარ მწვრთნელ **კევინ კიგანსა** და კლუბის დირექტორებს აუმხედრდა.

„ლიდსისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილმა ვარსკვლავმა ჯორდების შემადგენლობაში 30 მატჩი ჩაატარა და ერთი გოლიც კი ვერ შეაგდო. მიმომხილველებისათვის გაუგებარი გახლდათ, რატომ არ სურდა „ნიუკასლს" უმაქნის ფეხბურთელთან გამოთხოვება. სმიტს კვირაში 60 ათას გირვანქას უხდიდნენ. ლივერპულში მას შემცირებულ ანაზღაურებასთან მოუწევს შეგუება.

გუშინ საღამოს, მოესი ლისაბონის „სპორტინგს" დაუკავშირდა და უკანასკნელად შესთავაზა **ჟოაო მოუტინიოს** გაყიდვა. მან 14 მილიონი გირვანქა გაამზადა. „სპორტინგმა" მოიესის წინადადება თავაზიანად უარყო. ლისაბონელებმა მოუტინიო 18 მილიონად დააფასეს. „ევერტონმა" ამ თანხის გადახდა მიზანშეუწონლად მიიჩნია.

აქვე გეტყვით, რომ **ლუი საამ** სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა. ფრანგმა თავდამსხმელმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ტრანსფერის ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა. ინტერელი **ობინიას** ტრანსფერი ჩაშლის პირასაა. ბრიტანეთის შრომის სამინისტრომ ნიგერიელ გარემარბს სამუშაო ვიზა არ მისცა. „ევერტონმა" ეს გადაწყვეტილება მაშინვე გაასაჩივრა. „ინტერი" თანახმაა, 21 წლის ფეხბურთელი ერთწლიანი იჯარით ინგლისში მიავლინოს.

ნიუკასლი

# კიგანის ბოლო სატრანსფერო დღე

„ვალენსიამ" ურუგვაელი ნახევარმცველი **იგნასიო „ნაჩო" გონსალესი** შეიძინა. რამდენიმე საათში, ფეხბურთელმა „ნიუკასლს" მიაშურა. „ღამურებმა" ის ერთწლიანი იჯარით ინგლისში მიავლინეს. გონსალესმა „ვალენსიასთან" ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. 26 წლის ფეხბურთელს ურუგვაის ნაკრებში 21 მატჩი აქვს ჩატარებული. აქამდე ის „დანუბიოს" ეკუთვნოდა, თუმცა გასული სეზონის მეორე ნახევარი იჯარით „მონაკოში" გაატარა.

ტრანსფერების ბოლო დღეს ჯორდები ლა კორუნიის „დეპორტივოსაც" გაურიგდნენ. „ნიუკასლმა" ესპანელებს თავდამსხმელ **ჩისკოს** სანაცვლოდ 5.8 მილიონი გირვანქა შესთავაზა. გალისიელები მაშინვე დათანხმდნენ. გუშინ ჩისკო კონტრაქტის პერსონალურ დეტალებს ათანხმებდა.

ზაფხულის დასაწყისში, „ნიუკასლმა" „დეპორტივოდან" კიდევ ერთი ფეხბურთელი იყიდა - არგენტინელი მცველი **ფაბრისიო კოლოჩინი**. კლუბებს შორის ჩინებული საქმიანი ურთიერთობა დამყარდა. მორიგი შეთანხმება გუშინ გვიან საღამოს უნდა გაფორმებულიყო.

„დეპორის" თავკაც **მიგელ ანხელ ლოტინას** 21 წლის ყმაწვილის გაშვება არ სურდა, მაგრამ შეთავაზებულ თანხაზე უარის თქმა გაუჭირდა. ჩისკო ესპანეთის ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ ფორვარდად მიიჩნევა. ჯორდების თავკაცი **კევინ კიგანი** მასზე დიდ იმედს ამყარებს.



კევინ კიგანი

ტოტენჰემი

# ჩორლუკა, გამლების ბოლო შენაძენი

## დეტალები გაირკვა: პავლიუჩენკო 14 მილიონად და ხუთი წლით

ტრანსფერების ბოლო დღეს, „ტოტენჰემმა" „მანჩესტერ სიტის" ხორვატი მცველი **ვედრან ჩორლუკა** შეიძინა. 22 წლის ყმაწვილმა ექვსწლიანი კონტრაქტი გააფორმა. სპეკულაციების თანახმად, ტრანსფერი 8.5 მილიონი გირვანქა დაჯდა. კლუბებმა ფინანსური დეტალების გამხელისაგან თავი შეიკავეს. ჩორლუკა ზაგრების „დინამოს" აღზრდილია. 2006 და 2007 წლებში ის ხორვატიის ჩემპიონი გახდა. გასულ ზაფხულს ვედრანმა „მანჩესტერ სიტის" მიაშურა. მან ყველა ტურნირში 41 მატჩი ჩაატარა. მანჩესტერელთა ყოფილმა თავკაცმა **სვენ გორან ერიქსონმა** ის რამდენიმე პოზიციაზე მოსინჯა - დაცვის მარჯვენა ფლანგზე და ცენტრში, აგრეთვე ნახევარდაცვის ცენტრში. „ტოტენჰემმა" ჩორლუკა უნივერსალური თვისებების გამო აირჩია. „სიტიმ" ხორვატი ლეგიონერის ადგილზე არგენტინელი პაბლო საბალეტა შეიძინა. „ესპანიოლის" ყოფილმა მცველმა მანჩესტერელებთან ხუთწლიან ხელშეკრულებაზე მოაწერა ხელი.

აქვე, **რომან პავლიუჩენკოს** ტრანსფერის დეტალები: „დეილი მეილის" ცნობით, „ტოტენჰემმა" „სპარტაკს" 14 მილიონი გირვანქა მიუთვალა. 26 წლის ფეხბურთელმა ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. პავლიუჩენკოს ნაკრებში 22 მატჩი აქვს ჩატარებული. მან კარიერა სტავროპოლის „დინამოში" დაიწყო. 2000 წელს ვოლგოგრადის „როტორს" მიაშურა. 2003 წელს პროვინციელი ბიჭუნა „სპარტაკმა" შეიძინა. 2006 და 2007 წლებში, ის რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. პავლიუჩენკო **დიმიტარ ბერბატოვის** შემცვლელად იყიდეს. სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე საათით ადრე ამ უკანასკნელს ორი ვარიანტი ჰქონდა - „მანჩესტერ იუნაიტედი" ან „მანჩესტერ სიტი".

„ტოტენჰემს" „აიაქსისა" და ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელის, **კლაას იან ჰუნტელაარის** შეძენაც სურდა, მაგრამ გარიგება არ შედგა. ჰუნტელაარს კიდევ ერთი ლონდონური კლუბი, „არსენალი" ეპატიჟებოდა. გუშინ ოფიციალურად დადასტურდა, რომ ჰუნტელაარი ამსტერდამში დარჩება. „აიაქსის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ტრანსფერების ბოლო დღეს, საუკეთესო ფეხბურთელის გაყიდვა უპასუხისმგებლო საქციელი იქნებოდა.



ვედრან ჩორლუკა

ბოლო დღის ტრანსფერები

# კერლონი, კიევოს სიურპრიზი

საპნის ოპერა დასრულდა. გამოცდილმა მცველმა **მაურიციო დომიციმ** "უდინეზეს" მიაშურა. ფრიულელებმა ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებების 50 პროცენტი შეიძინეს. "ნაპოლის" ანგარიშზე 2.75 მილიონი ევრო გადაირიცხა. 28 წლის დომიციმ ნეაპოლელებს ტრანსფერზე დაყენება ჯერ კიდევ ზაფხულის დასაწყისში მოსთხოვა. "ლურჯები" მის შენარჩუნებას შეეცადნენ, მაგრამ ამაოდ. "უდინეზეს" ხელმძღვანელობამ ფეხბურთელი სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე საათით ადრე გადაიბირა.

"სამპდორიამ" ბელგრადის ოფკ-ს 18 წლის ნახევარმცველი **ნენად კრსტიჩიჩი** შეიძინა. ის სერბული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევა. გენუურმა კლუბმა იტალიაში ყველაზე აქტიური სატრანსფერო კამპანია ჩაატარა. მან **სტანკევიჩიუსი** ("ბრეშა"), **პადალინო** ("პიაჩენცა"), **დოსენა** ("პარმა"), **ფორნაროლი** ("ნასიონალი", მონტევიდეო), **პადელი** ("პიზა") და **ბოტინელი** ("სან ლორენსო") შეიძინა, ხოლო ძენონის, ვოლპის (ორივე "ბოლონია"), **მაჯოს** ("ნაპოლის"), **ბიანკოს** ("ემპოლი"), კამპანელასა ("აველინო") და **პოლის** (სასუოლო) კარისაკენ მიუთითა. გუნდის ჩემპიონატი შთამბეჭდავად დაიწყო. "სამპდორიამ" პირველ ტურში "ინტერთან" ფრეს (1:1) მიაღწია.

"კიევომ" ბრაზილიური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი **კერლონი** შეიძინა. ეს ტრანსფერი ზაფხულის ერთ-ერთ ყველაზე დიდ მოულოდნელობად შეირაცხა. ვერონელებმა "კრუზეიროსთან" მოლაპარაკებები რამდენიმე დღის წინ წამოიწყეს. გარიგების ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა. 20 წლის კერლონს ბრაზილიის ეროვნულ გუნდში ჯერ არ უთამაშია. სამაგიეროდ, არაერთხელ მოურგია 15 და 20-წლამდელთა ნაკრებების მაისურა. გუშინ "კიევომ" კიდევ ორი ფეხბურთელი დაიმატა - **მაურო ესპოზიტო** და **სანტიაგო მორერო**.

"ჯენოამ" **დიეგო მილიტო** დაიბრუნა. არგენტინელი თავდამსხმელი იტალიურ კლუბში 2003-05 წლებში ასპარეზობდა. მან 59 მატჩში 33 გოლი შეაგდო. შემდეგ "სარაგოსას" მიაშურა. გასულ სეზონში არაგონული კლუბი სეგუნდი დივიზიონში გავარდა. მილიტოსაც ისლა დარჩენოდა, ახალი სამსახური მოეძებნა. "ჯენოამ" მის სანაცვლოდ 8 მილიონი ევრო გადაიხადა. მილიტომ სამწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

გენუელთა სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოწურულა. კლუბმა ერთწლიანი საიჯარო კონტრაქტი გაუფორმა პალერმოელ **ბოშკო იანკოვიჩს**. ამას გარდა, ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებების ნახევარიც შეიძინა. სერბი ნახევარმცველი პალერმოში გასულ ზაფხულს, "მალიორკიდან" გადავიდა. მისი პირველი იტალიური სეზონი საკმაოდ უსახური გამოვიდა.

"ლაციოს" მცველმა **გილერმო სტენდარდომ** "ლეჩეს" მიაშურა. მან ერთწლიანი საიჯარო კონტრაქტი გააფორმა. 26 წლის ფეხბურთელს რომაელთა თავკაც **დელიო როსისთან** უთანხმოება მოუვიდა. მან პრეზიდენტ **კლაუდიო ლოტიტოს** ტრანსფერზე დაყენება სთხოვა და მიაღწია კიდეც მიზანს.

იანვარში სტენდარდომ იჯარით "იუვენტუსს" მიაშურა. სეზონის ბოლოს ის კვლავ "ლაციოში" ვიხილეთ. საბოლოოდ, სტენდარდომ "ლეჩე" აირჩია. "ლეჩეში" ითამაშებენ "ცრვენა ზვეზდისა" და "ესპანიოლის" ნახევარმცველები - **დუშან ბასტა და ედუარდო კოშტა**.

"ლაციომ" კი, ამასობაში, კიდევ ერთი ფეხბურთელი გაასხვისა: ნახევარმცველი **რობერტო ბარონიო** იჯარით "ბრეშაში" ითამაშებს. ბარონიომ "ბიანკოჩელესტეში" სამი სეზონი გაატარა და მხოლოდ რვაჯერ ითამაშა. რობერტოს ისე ძალიან სურდა რომიდან აბარგება, რომ სერია B-ს "ბრეშასაც" კი დათანხმდა.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

### ვორონინი გერმანიაში, ფინენი ესპანეთში

**ანდრეი ვორონინი** ბუნდესლიგაში დაბრუნდა. ლივერპულელმა თავდამსხმელმა ბერლინის „ჰერტასთან" ერთწლიანი საიჯარო ხელშეკრულება გააფორმა. უკრაინელი ლეგიონერი „ენფილდზე" გასულ ზაფხულს, „ლევერკუზენიდან" გადავიდა. მას გერმანული კონტრაქტი ამოწურული ჰქონდა. ამიტომ თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობდა. ვორონინმა ინგლისური კლუბის შემადგენლობაში 27 მატჩი ჩაატარა და ექვსი გოლი შეაგდო. **ფერნანდო ტორესის** გამო, მისი სათამაშო პრაქტიკა მკვეთრად შეიზღუდა. ერთი თვის წინ „ლივერპულმა" **რობი კინი** შეიძინა, რის გამოც ანდრეიმ სხვა სამსახურში გადასვლა არჩია. ვორონინი გერმანიის პირველობას ჩინებულად იცნობს. „ლევერკუზენის" გარდა, მას „კიოლნის", „მაინცისა" და მიონხენგლადბახის „ბორუსიის" შემადგენლობაში უთამაშია.

გუშინ, „ლივერპული" კიდევ ერთ გამოცდილ ფეხბურთელს გამოეთხოვა. ირლანდიელმა **სტივ ფინენმა** „ესპანიოლს" მიაშურა. ზაფხულის ტრანსფერებისას, **რაფა ბენიტესმა** ორი ცენტრალური მცველი, **ანდრეა დოსენა** და **ფილიპ დეგენი** შეიძინა. ფინენის პოზიციები საგრძნობლად შესუსტდა. მას აბარგების გარდა, სხვა არჩევანი არ ჰქონდა. სტივის ესპანური დებიუტი 21 სექტემბერს, „ხეტაფესთან" კალენდარული მატჩისას შედგება. ფინენმა კატალონიელებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. გარიგების ფინანსური დეტალები უცნობია.

### ანჩელოტი შახტარში?

„კორიერე დელო სპორტი" სენსაციურ ინფორმაციას ავრცელებს. მისი მტკიცებით, დონეცკის „შახტარი" **კარლო ანჩელოტის** დაუკავშირდა. უკრაინული გრანდი „მილანის" თავკაცს კონტრაქტს სთავაზობს. შეათნხმების შემთხვევაში, ანჩელოტი დონეცკში 2009 წლის 1 იანვრიდან დაინიშნება. იტალიელი მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ კარლეტოს „მილანში" დარჩენა გაუჭირდება. „როსონერიმ" წლევანდელი სეზონიც წაგებით დაიწყო. თუ ის მდგომარეობას უმოკლეს დროში არ გამოასწორებს, დათხოვნა არ ასცდება. „შახტარი" მზადაა, მას სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმოს და წელიწადში 10 მილიონი ევრო უხადოს. ანჩელოტის ტაბლოიდში გამოქვეყნებულ სტატიასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

### 25 მილიონი და დროგბა რობინიოს ნაცვლად

„ჩელსი" ბოლო წუთამდე თავდაუზოგავად ცდილობდა **რობინიოს** შეძენას. სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე საათით ადრე, „რეალმა" ლონდონელებს ახალი პირობები წაუყენა: 25 მილიონი ევრო და **დიდიე დროგბა** ბრაზილიელის სანაცვლოდ. სამეფო კლუბმა კოტდივუარელი ფორვარდი **რუუდ ვან ნისტელროოისა** და **რაულ გონსალესის** დუბლიორად მოისურვა. „არისტოკრატებს" კომენტარი არ გაუკეთებიათ. ინფორმაცია მოსალოდნელი გარიგების თაობაზე ელ მუნდო „დეპორტივომ" გამოაქვეყნა.

### მეტცელდერს არსენალში უხმეს

გუშინ, „არსენალმა" „რეალს" **კრისტოფ მეტცელდერის** დათმობა შესთავაზა. გერმანელი მცველი მადრიდელთა საკუთრებაა. „მეთოფეებმა" მასთან ერთწლიანი საიჯარო კონტრაქტის გაფორმება მოისურვეს. „არსენალი" ჩქარობდა. „ვესტ ჰემი" **იოჰან ჯურუთი** დაინტერესდა. „ჩაქუჩებმა" ახალგაზრდა მცველის სანაცვლოდ 7 მილიონი გირვანქა გაამზადეს. „ვესტ ჰემი" „სანდერლენდში" წასული **ანტონ ფერდინანდის** შემცვლელს ეძებდა. „არსენალს" 7 მილიონის დაკარგვა არ სურდა. **არსენ ვენგერმა** მეტცელდერი ჯურუს იდეალურ შემცვლელად მიიჩნია. დღეს გაირკვევა, მოასწრეს თუ არა კლუბებმა გარიგება.

### ფერგი ბრიტანეთის გაძღოლაზე თანახმაა

**სერ ალექს ფერგიუსონი** თანახმაა, 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებზე, ბრიტანეთის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდეს. მოგეხსენებათ, ოლიმპიადა ლონდონში უნდა გაიმართოს. ბრიტანეთის სპორტის სამინისტრომ ინგლისის, შოტლანდიის, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის საფეხბურთო ასოციაციებს გაერთიანებული გუნდის შექმნა სთხოვა. ბრიტანელებს ოლიმპიურ თამაშებზე გაერთიანებული საფეხბურთო ნაკრები 1960 წლის შემდეგ არ გაუყვანიათ. ამ იდეის გაჟღერებისთანავე, მთავარი მწვრთნელის პოსტზე ყველაზე ღირსეულ კანდიდატად სერ ალექსი დასახელდა. ფერგის ბევრი არ უფიქრია. თუ გაერთიანებული გუნდი შეიქმნება, ლეგენდარული მწვრთნელი მზადაა, მისი გაძღოლა იკისროს.

**იტალიისა და ესპანეთის ჩემპიონატები უცნაურად და ხმაურიანად დაიწყო. სერია A-ში და პრიმერა დივიზიონშიც სტარტზე გრანდებმა ერთი გამარჯვებაც ვერ მოიპოვეს, ამათგან, ზოგი სენსაციურადაც დამარცხდა. აქვე დავაზუსტებთ, რომ ესპანეთის შემთხვევაში საუბარია „ბარსელონასა" და „რეალზე", თორემ სულაც არ გვსურს „ვალენსიასა" და „ატლეტიკოს" ტრიუმფალური სტარტის დაკნინება. ისე კი, თუ ასე გაგრძელდა, ახლო მომავალში ესპანურ გრანდებად სწორედ მათ მოვიხსენიებთ...**

სერია A

# არშემდგარი სპექტაკლი

## რატომ იყო მილანი ასეთი ცუდი?



წინა იტალიური სეზონის ხუთეულიდან პირველ ტურში ვერავინ მოიგო. გავიგებთ „ინტერის" გასვლით ფრეს, გავიგებთ „რომას" საშინაო დანაკარგსაც, მაგრამ ძნელია, ახსნა „მილანის" მარცხი ელიტაში დაბრუნებულ „ბოლონიასთან", თანაც საკუთარ მოედანზე, დიდი სპექტაკლის მომლოდინე „სან სიროს" პუბლიკის წინაშე. სპექტაკლის ავტორები **რონალდინიო** და **ანდრეი შევჩენკო** უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ მოლოდინი გადაჭარბებული აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, **სილვიო ბერლუსკონიმ** იხტიბარი არ გაიტეხა და რონალდინიო ცამდე აიყვანა, მაგრამ რიგითმა გულშემატკივარმა კარგად იცის, რომ ბრაზილიელმა ისე ითამაშა, როგორც ბოლო ბარსელონურ სეზონებში. ასევე შევჩენკომ - ეს ის შევა იყო, რომელსაც ორი წლის განმავლობაში „სტემფორდ ბრიჯზე" არაფერი გაუკეთებია. დანარჩენი „მილანიც" ნვალობდა. როგორც ჩანს, სეზონის წინ ტიფოზები ტყუილად არ ტეხდნენ განგაშს. მოსამზადებელ პერიოდში გამართულ ტესტმატჩებში „როსონერი" საშინლად გამოიყურებოდა. მარტო „ჩელსისთან" 0:5 რად ღირდა, ან 0:2 პრიმერადივიზიონში დაბრუნებულ „ხიხონთან"? მაშინ ბევრს ეგონა, რომ ყველაფერი საკადრო პრობლემების ბრალი იყო, მაგრამ აი, დაიწყო ჩემპიონატი და აღმოჩნდა, რომ არაფერი შეცვლილა.

უცნაურია „მილანი". გასულ სეზონში შინ ვერ იგებდა, სამაგიეროდ, გასვლით მატჩებში ბადალი არ ჰყავდა. ახლაც იგივე იქნება ვითომ? ძნელი სათქმელია. თუმც არ არის გამორიცხული, უკვე მომდევნო ტურიდან „შავ-წითლებმა" ისეთი ფეხბურთი ითამაშონ, რომ გულშემატკივართა გულისწყრომა წარსულს ჩააბარონ. **კარლო ანჩელოტიმ** კარგად იცის, რომ თუ სკუდეტო არ მოიგო, ეს მისი ბოლო მილანური კამპანია იქნება.

მიუხედავად ულიმღამო დასაწყისისა, „როსონერის" თავკაცი ოპტიმიზმის ნაკლებობას არ უჩივის: *„საოცარი თამაში იყო... მაგრამ ჩემპიონატის სტარტზე ასეთი რამ ჩვეულებრივი მოვლენაა. თქვენ ნახეთ, სიურპრიზები სხვა მატჩებშიც იყო. ამ ეტაპზე გუნდები საუკეთესო ფორმაში არ არიან და ეს არცაა გასაკვირი. მე არ ვფიქრობ, რომ ცუდად ვითამაშეთ ან სამოქმედო არეალი გვაკლდა... მთელი 90 წუთის განმავლობაში ვუტევდით და დავისაჯეთ მხოლოდ იმიტომ, რომ „ბოლონიამ" ორი საგოლე მომენტი შექმნა და ორივე გამოიყენა. ალბათ, პრობლემაა ისიც, რომ ახალი მოთამაშეები გუნდთან შეთამაშებულები არ არიან. ახლა სწორედ ესაა ჩვენი მთავარი ამოცანა - ამ ფეხბურთელებმა რაც შეიძლება დროულად გაიარონ ადაპტაციის პერიოდი და ჩვენს ტაქტიკას მოერგონ. მიუხედავად წაგებისა, შთაბეჭდილება ისეთია, რომ ამ გუნდს დიდი საქმეების გაკეთება შეუძლია".*

მეორე ტაიმში ანჩელოტიმ ტაქტიკა შეცვალა. „მილანი" 4-2-3-1-ად გადაკეთდა. **ფილიპო ინძაგის** შეტევაზე მომართული რონალდინიო, **კლარენს ზეედორფი** და შევჩენკო ეხმარებოდნენ. მაგრამ ძველი ავადმყოფობებიდან ანჩელოტის გუნდს მაინც დარჩა ერთი - უამრავი შანსის გამოუყენებლობა. თუმცა მასპინძლებს ბოლონიელთა კონტრშეტევების დროსაც გვარიანად უჭირდათ. ანჩელოტი განაგრძობს:

*„მეორე ტაიმი ბრწყინვალედ დავიწყეთ. მე ოპტიმისტად ვრჩები და არ მგონია, ჩემი სიტყვები ვინმესთვის სასაცილო იყოს. 4-2-3-1 არის სისტემა, რომელზეც უნდა ვიმუშაოთ. დასახვენი ჯერ კიდევ ბევრია, მათ შორის, დაცვაც. ამ რგოლს რომ მუშაობა გავუადვილოთ, საჭირო იქნება, მეტი დრო გავატაროთ მეტოქის ნახევარზე. რაც შეეხება შევჩენკოს, ფაქტია, რომ ორი წლის განმავლობაში მას რეალურად არც უთამაშია და ლირსებები რომ დაიბრუნოს, გარკვეული დრო დასჭირდება. რა თქმა უნდა, ეს ეხება რონალდინიოსაც. მალე დაგვიბრუნდება კაკაც და გარწმუნებთ, ეს წაგება აღარავის ემახსოვრება".*

ორიოდ სიტყვით „ბოლონიაზეც": საგულისხმოა, რომ სერია A-ში სამწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებულმა ემილიელებმა „მილანთან" ბოლო ვიზიტიც თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს: 2005 წლის იანვარში „როსობლუმ" „სან სიროზე" 1:0 გაიმარჯვა. აი, რა განაცხადა მათმა პრეზიდენტმა **ალფრედო კაცოლამ**:

*„ჩვენ ექსტრაორდინარული მატჩი ჩავატარეთ. მინდა კომპლიმენტები ვუძღვნა ყველა მოთამაშესა და მწვრთნელს. მძიმე სამუშაოს შესრულებამ მოგვიწია, მაგრამ შრომა დაგვიფასდა და ორი დიდებული გოლიც გავიტანეთ. სიმართლე გითხრათ, კარგ თამაშს ველოდი, მაგრამ გამარჯვებას ნამდვილად არა. თუ გავითვალისწინებთ, რომ „ბოლონიას" პრეზიდენტის პოსტს ვტოვებ, ამაზე კარგ გაცილებას კლუბი ვერ მომიწყობდა. დიდი მადლობა და მშვიდობით"!*

დიახ, სინიორ კაცოლა მალე დატოვებს ბოსის სავარძელს. საქმე ისაა, რომ კლუბს ახალი მეპატრონე ჰყავს, რომელსაც პრეზიდენტიც ახალი მოჰყავს. კაცოლას ვინმე **ფრანჩესკა მენარინი** შეცვლის. საგულისხმოა, რომ ქალბატონი ფრანჩესკა იქნება მეორე მანდილოსანი სერია A-ს პრეზიდენტებს შორის. პირველი კი **როზელა სენსია**, რომელიც პარასკევს „რომას" პირველ პირად აირჩიეს. შეგახსენებთ, რომ როზელას მამა, **ფრანკო სენსი**, „ჯალოროსის" ლეგენდარული პრეზიდენტი, რომელიც კლუბს 1993 წლიდან მართავდა, ორი კვირის წინ 82 წლისა გარდაიცვალა.

# სპალეტი: ერთი ფეხბურთელის მჭირდება

ფანებს გული „რომამაც" დასწყვიტა. „ჯალოროსი" „ნაპოლისთან" შინ მხოლოდ ფრეს დასჯერდა. **ფრანჩესკო ტოტის** გარეშე „რომას" ძალიან ბევრი რამ აკლია, თუმც არიან ისეთებიც, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ პირიქით - ტოტი მუხრუჭად იქცა და დროა, **ლუჩანო სპალეტიმ** გუნდს მის გარეშე თამაში ასწავლოს. ვფიქრობთ, სპალეტი უკვე მიხვდა ამას და ამიტომაც იყიდა ფრანგი **ჟერემი მენეზი**, რომელსაც კვირას თავის გამოჩენის შანსიც მისცა. პირდაპირ ვთქვათ, რომ ახალწვეულმა დიდი შთაბეჭდილება ვერ დატოვა, ისევე, როგორც **ჟულიო ბაპტიშტამ**. ისე ჩანს, რომ ჯერჯერობით, „ჯალოროსის" ტოტის იქით გზა არ აქვს...

მაგრამ, ვიდრე კაპიტანი დაბრუნდება, სპალეტის მთელი რიგი პრობლემების გადაჭრა მოუწევს: *„მთლიანობაში გუნდმა კარგად ითამაშა, მაგრამ არის დეტალები, რომლებზეც სასწრაფოდ უნდა დავიწყოთ მუშაობა და ეს ყველაფერი რაც შეიძლება დროულად აღმოვფხვრათ".*

**ალბერტო აკვილანის** გოლის შემდეგ „რომა" კარგა ხანს ლიდერობდა. მეორე ტაიმის დასაწყისში ნეაპოლელებს **ფაბიანო სანტაკროჩე** გაუძევეს. მაგრამ, იმის მაგივრად, რომ კაცნაკლული მეტოქე კუთხეში მოემწყვდია, „რომამ" ორ წუთში საპასუხო გოლი გაუშვა და მატჩის ბოლომდე ტყუილად ცდილობდა სასიკვდილო გასროლას. ეს კი არა, სპალეტის სამწყსო უფრო ახლოს იყო წაგებასთან, ვიდრე 3 ქულასთან. უბრალოდ, „ნაპოლის" ცოტა მეტი იღბალი სჭირდებოდა, ამავე დროს, ბრწყინვალედ ითამაშა მეკარე **ალეშანდრე დონიმ**. და მართალს ბრძანებს „რომას" მწვრთნელი:

*„თამაში აბსოლუტურად გახსნილი იყო იმისთვის, რომ ნებისმიერი შედეგი მიგველო. „ნაპოლიმ" კარგად ითამაშა და რამდენიმე რეალური შანსიც ჰქონდა. აგრესია გვაკლდა, მეტოქეს მსუბუქად ვუტევდით და ისინი ამით კარგად სარგებლობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკის მხრივ ჩვენი უპირატესობა აშკარა იყო. დავამატოთ ამას ისიც, რომ ოთხი ახალი ფეხბურთელი გვყავდა. ისინი ნელ-ნელა უნდა მოერგონ ჩვენს სისტემას. ამისთვის დრო იქნება საჭირო".*

შემდეგ სპალეტი ზოგადად პირველი ტურის შთაბეჭდილებებზე ისაუბრა. მისი აზრით, ეს სერია A შარშანდელზე უფრო გახსნილი და არაპროგნოზირებადი ჩანს. „რომას" მწვრთნელმა იქვე დასძინა, რომ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე კიდევ ერთი ფეხბურთელის შეძენის იმედი აქვს. სპალეტის ტრავმირებული **როდრიგო ტადეის** შემცვლელი, ანუ გარემარბი სჭირდება: *„თუ შესაძლებელი იქნება, არ გვაწყენდა ერთი ფეხბურთელის ყიდვა, რომელიც ტადეის ალტერნატივად გამოგვადგებოდა, მაგრამ სიტუაციის ფორსირებაც არ არის საჭირო"*, - თქვა სპალეტიმ „კორიერე დელო სპორტს".

როგორც ირკვევა, „რომა" აღარ აპირებს ნახევარმცველ **მატეო ბრიგის** „ტორინოში" გაშვებას, რათა იქიდან **დავიდე დი მიკელე** (რომელიც ღიად ითხოვს, „რომაში" გამიშვითო) წაიყვანოს: *„ვფიქრობ, ბრიგის დატოვება სწორი გადაწყვეტილება იქნება. შესაბამისად, მას დი მიკელეში არ გავცვლით. სატრანსფერო კამპანია თითქმის დასრულებულია და ვნახოთ, რა მოხდება ბოლო საათებში".*

„ნაპოლიზეც" ვთქვათ. კამპანიელთა მწვრთნელი **ედოარდო რეია** ასეთ კომენტარს აკეთებს: *„პირველ ტაიმში მეტოქე უკეთ გამოიყურებოდა. „რომა" თავის საფირმო სტილში ათამაშებდა ბურთს. ჩვენ კარგი შანსები გვქონდა კონტრშეტევებისას, განსაკუთრებით ლავეცის. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში მოედანზე 10 ფეხბურთელი გვყავდა, მაინც შევძელით ქულის მოპოვება. ამაში ჩინებული ფიზიკური მომზადება დაგვეხმარა".*

შემდეგ „ნაპოლის" მწვრთნელს ფორვარდ **ხერმან გუსტავო დენისზეც** ჰკითხეს. არგენტინელი გუნდში დიდი ზარ-ზეიმით მიიღეს. სხვათა შორის, რამდენიმე ამხანაგურ მატჩში მან მართლაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ „რომასთან" დიდი არაფერი გაუკეთებია. ჟურნალისტებმა დაახლოებით ამ პათოსით ჰკითხეს კიდეც რეიას - ეს არის თქვენი ნაქები დენისიო? მწვრთნელს სიტყვების ძებნა ჯიბეში არ დაუწყია:

*„ეს იყო მისი პირველი შეხება სერია A-სთან. ასე რომ, ხერმანს დრო უნდა მივცეთ. მას უდიდესი პოტენციალი აქვს, ისევე, როგორც ჰამშიკს, რომელიც მისებრ ნიჭიერი ახალგაზრდაა. ისინი თამაშიდან თამაშამდე უმატებენ. დენისს უფრო მეტი მუშაობა დასჭირდება იმისთვის, რომ გუნდს დაცვითი ოპერაციების დროსაც მიეხმაროს".*



პრიმერა დივიზიონი

# რა გეხუმრება, ბერნდ?!



**ბევრი მიზეზის გამო, „ბარსელონა" და „რეალი" ერთმანეთს თვალებში ვერ შეხედავენ, მაგრამ ერთ რამეში ისინი „მეგობრები" არიან. ახალი სეზონის სტარტზე ორივემ წააგო და ერთი ძველი ამბავი გაიმეორა. „ბარსამ" დებიუტანტ „ნუმანსიასთან" 0:1 დათმო. 90 წუთის შემდეგ კი დაფიქსირდა კიდევ ერთი გრანდის მარცხი: „რეალმა" ტრადიციას არ უღალატა და „რიასორი" კვლავ მოუგებელმა დატოვა - თავის მუდმივ მახრჩობელა „დეპორტივოსთან" 1:2 წააგო (ბოლო გამარჯვება ლა კორუნიაში 1991/92 წლებში). და აი, რა საინტერესო აღმოჩენასთან გვაქვს საქმე - ბოლო 70 წლის განმავლობაში ეს პირველი შემთხვევაა, რომ ორივე გრანდმა სასტარტო შეხვედრები წააგო. ანალოგიური რამ უკანასკნელად 1939/40 წლების სეზონში მოხდა. „რეალი" „სევილიასთან" დამარცხდა (1:3), „ბარსა" კი თანაქალაქელ „ესპანიოლს" დანებდა (0:1).**

**გიგანტთა საკვირაო ფიასკომ იმედები მისცა „ვალენსიასა" და „ატლეტიკოს", რომელთაც თავიანთი მატჩები მაღალ დონეზე ჩაატარეს. მართალია, ჯერ პირველ ტურია გასული და რაღაც დასკვნების გაკეთება ნაადრევია, მაგრამ დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, „მესტალიასა" და „ვისენტე კალდერონზე" სიამოვნებისგან ხელებს იფშვნეტენ. აქვე დავძენთ, რომ „ვალენსიამ" და „ატლეტიკომ" გამარჯვებებით დაიწყეს 2004/05 წლების სეზონიც, თუმცა ჩემპიონობას ვერც ერთი ეღირსა და ვერც მეორე...**

უსახელო „ნუმანსიასთან" მარცხს კატალონია რატომღაც არ იმჩნევს. „ბარსას" უფროსობა წაგებას მშვიდად შეხვდა, თუმცა ეს სიმშვიდე ნამდვილად მოჩვენებითია. ცუდი სტარტი გუნებას აფუჭებს. თან გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს, გამოუცდელი, თუმც კატალონიური გრანდის სიმბოლური ფიგურა **პეპ გვარდიოლა**, რომელსაც დირექტორატისგან სრული მხარდაჭერა აქვს, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით...

პრესამ კლუბის ტექნიკური დირექტორი ჩიკი ბეგირისტაინი გამოიჭირა. წარუმატებელი სტარტის გამო ვინმეს ყიდვას ხომ არ აპირებთო, ჰკითხეს ბეგირისტაინს. ცხადია, „ბარსას" ყოფილმა ნახევარმცველმა ტრანსფერებისგან შორს დაიჭირა თავი:

*„თქვენ წარმოიდგინეთ, არ ვნერვიულობთ. დიახ, მარცხის მიუხედავად აბსოლუტურად მშვიდად ვართ. ეს წაგება არ ნიშნავს იმას, რომ ბაზარზე უნდა დავბრუნდეთ, თანაც სატრანსფერო პერიოდი თითქმის დასრულებულია. ეს შემადგენლობა საკმაოდ ძლიერია საიმისოდ, რათა სეზონის მთავარ ამოცანებს შეეჭიდოს და წარმატებითაც გადაჭრას. ამ მარცხით ტრაგედია არ უნდა შევქმნათ".*

მატჩის ბოლო წუთებში პრეზიდენტი **ჟოან ლაპორტა** სახეშეშლილი იჯდა „ლოს პახარიტოსის" VIP-ლოჟაში. ის თვალს ვერ უსწორებდა გვარდიოლას გუნდის უმწეობას. მაგრამ პრეზიდენტმა გრძნობებს გადააბიჯა და წამატჩევს გასახდელში ჩავიდა. ის მოთამაშეებთან სათითაოდ მივიდა და გაამხნევა, ბოლოს კი გვარდიოლას გადაეხვია. დაგვეთანხმებით, კარგი ჟესტია და ნამდვილი პრეზიდენტი ასეც უნდა მოქცეულიყო.

ლაპორტას ნაცვლად კომენტარი ერთ-ერთმა ვიცე-პრეზიდენტმა **ალფონს გოდალმა** გააკეთა, თუმცა ამაზე კომენტარი ნაკლებად ითქმის, მეტისმეტად მშრალი და არაფრისმთქმელი გამოვიდა: *„შედეგი უსამართლოა. ჩვენ გაცილებით მეტი შანსი გვქონდა, უბრალოდ, ბედი არ გვწყალობდა".*

**ლიონელ მესიმ** კი წაგება „არასტანდარტულ" მოედანს დააბრალა - სივრცე პატარა იყო და ჩვენი თამაში ვერ ვაჩვენეთო. ერთადერთი, ვინც მეტოქის კარგი თამაში აღიარა, **ჩავი ერნანდესი** იყო. უფრო თვითკრიტიკული გახლდათ **სამუელ ეტო'ო**, რომელმაც შემდეგი განაცხადა: *„არ ვიცი, ეს სეზონის სტარტით იყო გამოწვეული თუ სხვა მიზეზი იყო, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში დაფიქრება გვმართებს. მარცხის მიზეზები უნდა გავაანალიზოთ. შესანიშნავი მოსამზადებელი პერიოდი გვქონდა და ჩემპიონატი ასე ნამდვილად არ უნდა დაგვეწყო".*

■ ■ ■

„რეალის" მწვრთნელ **ბერნდ შუსტერს** წაგების გარდა სხვა საფიქრალიც აქვს. მართალია, **რობინიო** სამეფო კლუბში დარჩა, მაგრამ არსებობს იმისი წინა პირობა, რომ მწვრთნელსა და შეგირდს შორის სიამტკბილობა არ იქნება. „დეპორტივოსთან" მატჩის წინ ბრაზილიელმა კატეგორიულად განაცხადა, „რეალში" აღარ მინდა, „ჩელსიში" გამიშვითო. აღშფოთებულმა მწვრთნელმა რობინიო „დეპორთან" მატჩის განაცხადშიც არ შეიყვანა. ამაზე ჟურნალისტებთან მოუწია განმარტების გაკეთებამ:

*„დღეს რობინიოს დღე არ არის, დღეს ჩვენი დღეა. თამაში ყველაზე მნიშვნელოვანია. თუ რა თქვა რობინიომ, აბსოლუტურად არ მაინტერესებს. მისი სიტყვები ჩემგან ყურადღებას არ იმსახურებს და თქვენც გირჩევთ, საუბარი სხვა თემაზე გადაიტანოთ".*

„სხვა თემაზე" საუბარი შუსტერს გალისიელებთან მარცხის შემდეგ მოუხდა. პრესამ შეახსენა გერმანელს, რომ „რეალს" „რიასორზე" ბოლო მატჩი 1991/92 წლების სეზონში ჰქონდა მოგებული. სამეფო კლუბის თავკაცი რატომღაც ხუმრობის ხასიათზე დადგა:

*„მე არ ვიცი, რა მოვლენაა ეს. მოდით, მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში ამ ყველაფერს დავაკვირდებით, შევისწავლით და მიზეზებზე მერე მოგახსენებთ. მაგრამ თუ ვერაფერი გავარკვიეთ, მომავალ წელს ან მსაჯს მოვქრთამავთ, ან მეთორმეტე მოთამაშეს გამოვიყვანთ. სერიოზულად თუ გნებავთ, „დეპორმა" იბრძოლა, ითამაშა და მოიგო კიდეც. ჩვენც ბევრი ვეცადეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. ისღა დაგვრჩენია, მეტოქეს გამარჯვება მივულოცოთ".*

შედეგიდან გამომდინარე, შუსტერს თავდამსხმელზეც ჰკითხეს. მოგეხსენებათ, ცოტა ხნის წინ ის ახალ ფორვარდს ითხოვდა. თუმცა დღეს სხვა პრობლემა აღელვებს: *„არ მგონია, რომ წინა ხაზზე ვინმე გვაკლია. უფრო დაცვაში გვაქვს პრობლემები და ეს უნდა გამოვასწოროთ. ჩვენ ვდომინირებდით და ეს იმას ნიშნავს, რომ ფორვარდებმა კარგად ითამაშეს".*

გვერდები მოამზადა
**გიორგი ბელაშვილმა**




პრანდელის ჯილა

# ფრე, რომელიც გამარჯვებაზე მეტია




„ფიორენტინა" მორალურ გამარჯვებას ზეიმობს. „იუვენტუსთან" მატჩის ბოლოსწინა წუთზე, თითქოს უწყინარ სიტუაციაში დაიბადა საპასუხო გოლი, რომელმაც „ვიოლას" ქულა მოუტანა. ეს ქულა **ალბერტო ჯილარდინოს** დამსახურებაა. „ფიორენტინა" ფრეს გამორჩა შეხვედრაში, რომელშიც მეტოქეს რამდენადმე ჩამორჩებოდა თამაშის ორგანიზებასა და სხვა კომპონენტებში. მართალია, ნამატჩევს „იუვენტუსის" მცველმა **ნიკოლა ლეგროტალიემ** აღიარა, ამ ბურთის გაშვება ჩვენი დაცვის (განსაკუთრებით **ოლოფ მელბერგის**) კისერზეაო, მაგრამ უკვე გვიანია.

დიახ, **ჩეზარე პრანდელი** მართლა ზეიმობს, ანუ, ეს ის შემთხვევაა, როცა ფრე გამარჯვებაზე მეტია. თუმცა ამგვარი ფილოსოფია ფეხბურთს არაფერში არგია, მხოლოდ თავის დასამშვიდებლად თუ გამოიყენებ. ფრეზე გუნდები ერთ ქულას იღებენ, მოგებისთვის სამს, ჰოდა, სამი ერთზე მეტია და მწვრთნელებმაც ამ „ფილოსოფიით" უნდა იხელმძღვანელონ. თუმცა პრანდელისაც კარგად გვესმის. სასტარტო მატჩში, მით უმეტეს საკუთარ მოედანზე მარცხი გუნდს მძიმე ფსიქოლოგიურ დარტყმას მიაყენებდა. ესეც არ იყოს, ბოლო წუთებზე გატანილ გოლს განსაკუთრებული გემო აქვს.

*„დიდი გუნდის წინააღმდეგ თითქმის თანაბრად ვითამაშეთ,* - აღნიშნა „ფიორენტინას" თავკაცმა, - *ზოგიერთი ფეხბურთელი სათადარიგოთა სკამზე დავტოვე, რადგან სამი დღის წინ თამაში გვქონდა და „იუვესთან" მატჩისთვის „ჯანმრთელი ფეხები" მჭირდებოდა. ამგვარი ნაბიჯის გადადგმა მომავალშიც დამჭირდება, რადგან სეზონი გრძელია, ჩვენ კი მეორე ფრონტზეც ვიბრძვით. აი, ამ თამაშშიც, ბოლოს შევატყვე, რომ ენერგია თითქმის აღარ გვქონდა და მადლობელი ვარ ბიჭების, რომლებიც მრისხანე მეტოქეს არ დანებდნენ. ბრწყინვალე იყო ჯილარდინო. მას ყოველთვის აქვს შემონახული ძალა, რომელსაც ბოლო გასროლისთვის იყენებს. სწორედ ეს მოხდა დღეს. თუმცა, ვიმეორებ, მაინც გუნდურმა მოქმედებამ გადაგვარჩინა".*

ტრავმების გამო „ფიორენტინას" **ადრიან მუტუ** და **რიკარდო მონტოლივო** აკლდა. პრანდელი აგრძელებს: *„ამ მომენტისთვის გუნდი დაუბალანსებელია. ყველაზე მეტად მუტუს არყოფნა გვეტყობა. მიუხედავად ამისა, დღევანდელმა საღამომ დაამტკიცა, რომ დიდი კლუბების დონეზე ვართ. ჩვენი უახლოესი გეგმაა, შევინარჩუნოთ გაუმჯობესების ტენდენცია, რომელიც აშკარაა. პასის კულტურაში მოვიკოჭლებდით. [illegible] ხშირად არ მიდიოდა ადრესატამდე, არც შეტევის განვითარების გზებს სწორად ვ[illegible]. თუ ამ კომპონენტს მალე გამოვასწორებთ, წინ დიდ ნაბიჯს გადავდგამთ".*

მატჩის გმირად [illegible] ჯილარდინომ კი პრანდელი აიყვანა ცაში: *„ჩეზარე ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ჩვენ ერთად ვიყავით „პარმაში". პრანდელი ყოველთვის მეხმარებოდა ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში და თუ დღეს რამეს წარმოვადგენ, სწორედ მისი დამსახურებაა. მაგრამ მადლობა გადავუხადო ჩემს თანაგუნდელებსაც, რომლებმაც საგოლე სიტუაცია შექმნეს".*

**კლაუდიო რანიერი**, რა თქმა უნდა, გაწბილებული იყო. მისი სიტყვებით, ჯილარდინოს გოლის მომენტში „იუვენტუსის" მცველები ბუტაფორიის როლს ასრულებდნენ: *„არის სიტუაცია, როცა შეგუებული ხარ ფრეს, მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, როცა ამგვარ შედეგს ვერანაირად ვერ ჩათვლი სამართლიანად. სწორედ ამ ბოლო შემთხვევასთან გვქონდა საქმე „ფიორენტინასთან" მატჩში. თამაშს ჩვენ ვაკონტროლებდით. ანგარიშის გაზრდაც შეგვეძლო, დელ პიეროს და ამაურის მომენტები რომ გამოეყენებინათ, [illegible]... ისეთ გამოცდილ გუნდს, როგორიც „იუვენტუსია", არ უნდა მიეცა „ფიორენტინასთვის" იმის საშუალება, რომ ასეთ სიტუაციაში გაეთანაბრებინა ანგარიში. ჩვენი მცველები ბუტაფორიასავით იდგნენ. ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ ეს გოლი გაგვეშვა... ვფიქრობ, ეს კარგი გაკვეთილი იქნება ჩვენი მცველებისთვის".*

უცნაური იყო შეცვლა, რომელიც რანიერიმ ჯილარდინოს გოლამდე ერთი წუთით ადრე განახორციელა - ნახევარმცველ **მაურო კამორანეზის** ნაცვლად მოედანზე ფორვარდი **ვინჩენცო იაკვინტა** შევიდა. ვინ იცის, იქნებ კამორანეზის ხელი დააკლდა დაცვას იმ საბედისწერო მომენტში. აი, რანიერის პასუხი: *„კამორანეზიმ თავად ითხოვა შეცვლა, რადგან მას მუხლი ჯერ ისევ აწუხებს. იაკვინტა იმიტომ გამოვიყვანე, რომ ბოლო წუთებში გუნდს სჭირდებოდა ძალა, რათა საქმე ბოლომდე მიგვეყვანა. ჯილარდინოს გოლმა ეს გეგმა დაგვინგრია".*

კამორანეზის მუხლის გარდა, „იუვენტუსს" სხვა მოთამაშეთა ტრავმებიც აწუხებს: ჯერჯერობით, რანიერი მოკლებულია **მომო სისოკოს**, **კრისტიანო ძანეტის**, **მარკო მარკიონის**, **ჯორჯო კიელინისა** და **დავიდ ტრეზეგეს** სამსახურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ოლივერ კანთან

# ჩემს შვილს მეკარეობის უდიდესი ნიჭი აქვს!

## დღეს ტიტანს ფეხბურთიდან გააცილებენ



**ლეგენდარულმა ოლივერ კანმა აქტიური სპორტული კარიერა გასული სეზონის ბოლოს დაასრულა. დღეს „ტიტანს" ფეხბურთიდან ოფიციალურად, გამოსათხოვარი მატჩით (ბაიერნი-გერმანია) გააცილებენ. ბოლო აკორდის წინ ოლის „ბილდ ამ ზონთაგი" გაესაუბრა.**

**- ჰერ კან, მას მერე, რაც ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდეთ, ზუსტად სამი თვე გავიდა. ახლა კი თქვენი გამოსათხოვარი მატჩი უნდა გაიმართოს. გულახდილად გვითხარით, ბედნიერი ხართ ფეხბურთის გარეშე?**

- გულახდილად გეუბნებით, არ ვგრძნობ, რომ ფეხბურთი ძალიან მაკლია. ბოლო 20 წლის განმავლობაში პირველად მოხდა ისე, რომ მთელი ერთი თვე დავისვენე, ერთი თვე! აქამდე კი სულ სხვანაირად იყო: ზაფხულობით ან მუნდიალზე ვთამაშობდი, ან ევროპის ჩემპიონატზე და მერე მხოლოდ ერთ კვირას ვისვენებდი, თუ არა და მაქსიმუმ ორკვირიანი შვებულება მქონდა ხოლმე.

**- ბევრი თავისუფალი დრო რომ გაქვთ, ამით ხართ ბედნიერი?**

- რა თქმა უნდა, მაგრამ ფეხბურთელობის დროსაც არაერთი ბედნიერი წუთი მქონია.

**- რომელი იყო ყველაზე ლამაზი მომენტი? ვინ ან რა ჩაგრჩათ მეხსიერებაში ყველაზე კარგად?**

- რეიტინგის შედგენას ნუ მომთხოვთ. ამის გაკეთება ძალიან გამიჭირდება, რადგან კარიერიდან უამრავი შესანიშნავი მომენტი მახსენდება. არც თითოეული მათგანის შეფასებას დავიწყებ. სწორად გამიგეთ, ტკბილი მოგონებები ჩემთვისაც კი არ დამიხარისხებია. მიზეზი ის არის, რომ საერთოდ ეს 20 წელიწადი იყო შესანიშნავი, ულამაზესი წუთებით დატვირთული პერიოდი. ახლა უკვე სიამოვნებით ვიგონებ არა მარტო დიდ გამარჯვებებს, არამედ მწარე მარცხებსაც. მოგება და წაგება ხომ ძმები არიან. ახლა კი მშვიდად ვარ, თავისუფლებას ვგრძნობ და ამით ბედნიერი ვარ.

**- რამდენად ხშირად ხართ სპორტით დაკავებული?**

- ივნისში და ივლისში თითქმის სულ გოლფს ვთამაშობდი. ტრენაჟორებზეც დავდიოდი და დავრბოდი კიდეც. მოკლედ, სპორტის გარეშე მართლა არ შემიძლია. სხვათა შორის, უფრო მეტსაც კი დავრბივარ, ვიდრე ფეხბურთელობის დროს. გამორიცხული არაა, რომ ახლა უკეთეს სპორტულ ფორმაში ვიყო, ვიდრე 5-6 თვის წინ.

**- წონაშიც არ ხართ მომატებული...**

- წონას დიდ ყურადღებას ვაქცევ. ახლა 92-93 კილოგრამს ვიწონი. მას მერე რაც კარიერა დავამთავრე, ორი დღეც კი არ გასულა ისე, რომ არ მევარჯიშა. ვარჯიშის გარეშე უბრალოდ არ შემიძლია. ნავარჯიშები სხეულის თავის ნებაზე მიშვება ჯანმრთელობისთვისაც საზიანოა და სპორტს ამიტომაც არ ვეშვები.

**- რამდენად ხშირად ეთამაშებით ფეხბურთს თქვენს 5 წლის ვაჟ დავიდს?**

- იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

**- და როგორაა საქმე, მამისგან ნიჭი გამოჰყვა?**

- დიახ, მეკარეობის უდიდესი ნიჭი ახლავე ეტყობა.

**- შვილები არ გეკითხებიან, ტელევიზორში რატომ ველარ გხედავთო?**

- არა, რადგან მე მათ ავუხსენი, თქვენმა მამამ ფეხბურთი დიდხანს ითამაშა და ახლა უკვე აღარ თამაშობს, შესაბამისად, სულ თქვენთან ვიქნები-მეთქი. უხარიათ.

**- ფეხბურთის გამო ოჯახში ბევრ დროს ვერ ატარებდით. ახლა ფიქრობთ, რომ ბავშვებს უწინდელი დანაკლისი უნდა აუნაზღაუროთ?**

- რა თქმა უნდა. ჯერ კიდევ ძალიან პატარები არიან და მიხარია, რომ ამიერიდან მათ მეტ დროს დავუთმობ. ფაქტია, რომ ჩემი პროფესიის გამო დაჩაგრულები იყვნენ, ძალიან იშვიათად მნახულობდნენ და იმიტომ.

**- რას ნიშნავს თქვენთვის ფული?**

- როდესაც ადამიანს გარკვეული ფინანსები აქვს, მომავალს უფრო მშვიდად უყურებს. მიუხედავად ჩემი სიმდიდრისა რეალისტად დავრჩი და ვიცი, რომ დედამიწის ზურგზე უამრავი ადამიანი დილას ისე იღვიძებს, რომ ერთი ევროც კი საძებარი აქვს. ჩემი აზრით, ეს დედაბუნების უსამართლობაა.

**- მსოფლიოს ჩემპიონმა და საუკეთესო მეკარე ჯანლუიჯი ბუფონმა ამას წინათ თქვა, კანი წლების განმავლობაში მსოფლიოს უპირველესი მეკარე იყო, გაცილებით უკეთესი გოლკიპერი, ვიდრე დღეს ნებისმიერიო. არადა, თქვენ მსოფლიოს ჩემპიონი არასდროს ყოფილხართ, ბუფონი კი მართლაც გრანდიოზული მეკარეა...**

- ჯიჯის ეს სიტყვები ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. საერთოდ, ბუფონს ძალიან ვაფასებ - პირველ რიგში, როგორც შესანიშნავ ადამიანს და მერე როგორც გენიალურ მეკარეს. მისი ეს სიტყვები ჩემთვის იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ ჩემი მიზანიც ის იყო, მსოფლიოში საუკეთესო მეკარე ვყოფილიყავი. ეს წოდება სამჯერ მოვიპოვე და ამით ძალიან ვამაყობ. დღეს ბუფონია დედამიწის საუკეთესო კიპერი და დარწმუნებული ვარ, ამ წოდებას მას მანამდე ვერავინ წაართმევს, სანამ ისიც კარიერას არ დაამთავრებს. იცით, ყოველთვის მინდოდა, რომ ბუფონივით მსუბუქი ვყოფილიყავი. ჯიჯი ძალიან მსუბუქი პიროვნებაა, ალბათ იმიტომ, რომ იტალიელია.

**- ფეხბურთელობის დროს თქვენ ყოველთვის მკაცრი გოლიათი, ნამდვილი ვულკანი იყავით. ფეხბურთის შემდეგაც ასეთად რჩებით?**

- ახლა უკვე სხვა მიზნები მაქვს, მაგრამ ამ მიზნებისთვისაც ზუსტად ისეთი შემართებით ვიბრძოლებ, როგორც ფეხბურთში ვიბრძოდი. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ახლა უფრო თავისუფლად ვგრძნობ თავს, ზეწოლა აღარ არსებობს. აზიაში ხშირად ვივლი და იქ ტალანტების აღმოჩენას შევეცდები. ვივლი საფეხბურთო სკოლებში, შევხვდები ბავშვებს და ა.შ.

**- ბავშვებს რომელ ფასეულობებზე დაელაპარაკებით?**

- მე მათ ვეტყვი, რომ მთავარია, მიზანი დაისახო და ამ მიზნის მისაღწევად ყველაფერი გააკეთო. მთავარი ყოველთვის მონდომება და თავის გადადებაა. მთავარია, რომ ადამიანმა საკუთარ თავს არ უღალატოს და სირთულეებს გაუძლოს. ხელი არასდროს არ უნდა ჩაიქნიო! წარმატების უმთავრესი საიდუმლო მოტივაციაა.

**- სხვა მოტივაციები არ გაქვთ? მაგალითად, არ გინდათ, რომ „ბაიერნის" გენერალური მენეჯერის პოსტზე ული ჰიონესი შეცვალოთ?**

- ახლა ამაზე ნაღდად არ ვფიქრობ.

**- „ბაიერნთან" ითანამშრომლებთ?**

- „ბაიერნს" ჩემს გულში უდიდესი ადგილი უკავია და ასე იქნება მუდამ. ახლაც, როცა რეკორდმაისტერის მატჩებს ვუყურებ, ტანში ჟრუანტელი მივლის ხოლმე.

**- მაშინ ვისაუბროთ მეკარეზე, რომელიც ახლა „ბაიერნის" კარს იცავს. მიხაელ რენზინგს თქვენი რჩევა რომ დასჭირდეს დაეხმარებით?**

- მას ჩემი რჩევები არ სჭირდება. ძალიან გამიხარდება, უმაღლესი დონის მეკარე რომ გახდეს და მომავალში გერმანიის ნაკრების კარიც დაიცვას. მას აქვს საამისო მონაცემები და მოტივაციაც.

**- როგორ ფიქრობთ, ვინ უნდა იყოს გერმანიის ნაკრების პირველი მეკარე?**

- იენს ლემანის წასვლის შემდეგ ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ვერც ერთ მეკარეზე ვერ ვიტყვი, აუცილებლად ეს უნდა იყოს-მეთქი, რადგან კანდიდატებს შორის აშკარად საუკეთესოს ნამდვილად ვერ ვხედავ. მიმაჩნია, რომ იოახიმ ლიოვი სწორად მოიქცა, კონკურენცია რომ დაამკვიდრა.

**- ბასტიან შვაინშტაიგერისა და ლუკას პოდოლსკის პროგრესს როგორ უყურებთ?**

- ბასტიანმა ევროპის ჩემპიონატზე კარგად ითამაშა და დაამტკიცა, რომ ის ჯერ კიდევ უდიდესი ტალანტია. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ შვაინის უდიდესი პოტენციალი აქვს.

**- და პოლდი?**

- კონტინენტის პირველობაზე ლუკასმაც საკმაოდ კარგად ითამაშა. მომწონს ისიც, რომ ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად თავდაუზოგავად იბრძვის.

**- გამოსათხოვარ მატჩზე იურგენ კლინსმანს შეხვდებით, მწვრთნელს, რომელმაც 2006 წლის მუნდიალზე არ გათამაშათ და ამით უდიდესი ოცნება დაგისამარათ. ამას წინათ თქვით, კლინსის უკვე ვაპატიეო. მართლა აპატიეთ?**

- არც კლინსმანთან და არც ლიოვთან პრობლემა არ მაქვს. 2006 წლის მუნდიალი წარსულია.

**გოტფრიდ ლენცი**

ესპანეთი

# ტორესი ბოიანმა შეცვალა



ბოიან კრკიჩს ფერნანდო ტორესის შეცვლა დაეკისრა

6 და 10 სექტემბერს ესპანეთის ნაკრები ბოსნიასა და სომხეთს ეთამაშება. **ვისენტე დელ ბოსკემ** ბარსელონელი ვარსკვლავი **ბოიან კრკიჩი** გამოიძახა. მან **ფერნანდო ტორესი** უნდა შეცვალოს. 18 წლის კრკიჩს ეროვნულ გუნდში ჯერ არ უთამაშია. ამიტომ ჯერ კიდევ შეუძლია სერბეთის სახელით გამოსვლა. სერბების თავკაცი **რადომირ ანტიჩი** ბოიანს ორი დღის წინ შეეხმიანა და გუნდში მიიწვია. ყმაწვილმა მწვრთნელს დაფასებისათვის მადლობა გადაუხადა, მაგრამ მიუგო, რომ ესპანეთის ნაკრებში ურჩევნია. კრკიჩი ესპანელთა თავდაპირველ განაცხადში ვერ მოხვდა. ტორესი "ლივერპულისა" და "ასტონ ვილის" მატჩისას დაშავდა. მან მუხლი იტკინა და სამკვირიანი შვებულება გამოიწერა.

გამოძახებულია **ფრანსესკ ფაბრეგასი.** "არსენალის" ნახევარმცველს დანიასთან 20 აგვისტოს ამხანაგური მატჩი გაუცდა. მის გამო ნაკრებს მიღმა დარჩა "რეალის" ახალგაზრდა ვარსკვლავი **რუბენ დე ლა რედი.** დელ ბოსკემ გუნდი ორშაბათს შეკრიბა. მომავალ მეტოქეებთან სტატისტიკა ესპანელთა მხარესაა. ესპანეთმა ბოსნიასთან ოთხი მატჩი ჩაატარა, ორი მოიგო და ორი ფრედ დაასრულა. სომხეთთან კი ოთხიდან ოთხი გამარჯვება აქვს. ევროპის ჩემპიონთა განაცხადი ასე გამოიყურება:

**მეკარეები** - იკერ კასილიასი (რეალი), პეპე რეინა (ლივერპული);

**მცველები** - სერხიო რამოსი (რეალი), ხოან კაპდევილა (ვილიარეალი), რაულ ალბიოლი (ვალენსია), კარლეს პუიოლი (ბარსელონა), ფერნანდო ნავარო (სევილია), ხუანიტო (ბეტისი), ანდონი ირაოლა (ბილბაო);

**ნახევარმცველები** - ანდრეს ინიესტა (ბარსელონა), ჩავი ერნანდესი (ბარსელონა), დავიდ სილვა (ვალენსია), სანტი კასორლა (ვილიარეალი), ჩაბი ალონსო (ლივერპული), მარკოს სენა (ვილიარეალი), დიეგო კაპელი (სევილია), სესკ ფაბრეგასი (არსენალი);

**თავდამსხმელები** - დავიდ ვილია (ვალენსია), დანიელ გუისა (ფენერბაჰჩე), ბოიან კრკიჩი (ბარსელონა).

გერმანია

# ლიოვს ჰინკელი გაახსენდა

## ბუნდესგუნდი ბალაკისა და ფრინგსის გარეშე

**იოახიმ ლიოვმა** ლიხტენშტაინსა და ფინეთთან საკვალიფიკაციო მატჩებისათვის გამოცდილი შემადგენლობა დაასახელა. ყველაზე დიდი მოულოდნელობა **ანდრეას ჰინკელის** გამოძახება გახლდათ. ჰინკელი თავდაპირველ სიაში არ ყოფილა. ლიოვმა „სელტიკის" ნახევარმცველს **ტორსტენ ფრინგსისა** და **მიხაელ ბალაკის** ტრავმების გამო უხმო. ანდრეასმა ბუნდესნაკრებში უკანასკნელად, სამი წლის წინ, 2005 წლის სექტემბერში ითამაშა.

ფრინგსი გუნდს სულელური ტრავმის გამო ვერ დაეხმარება. ის საკალათბურთო მატჩისას დაშავდა. საქველმოქმედო შეხვედრა ბრემენის „ვერდერის" თაოსნობით ჩატარდა. ტორსტენს ბურთი ცხვირში უთავაზეს და გაუტეხეს. ბალაკს ტერფის ტრავმა აქვს. მან „ჩელსისა" და „ტოტენჰემის" საკვირაო დერბი გამოტოვა.

გერმანელებს სხვა საკადრო პრობლემებიც აქვთ. ლიოვს **არნე ფრიდრიხი, პერ მერტეზაკერი** და მეკარე **რენე ადლერიც** არ ეყოლება. ფრიდრიხმა მიზეზად ძველი ტრავმა დაასახელა. მან კლუბში დარჩენა და ფიზიკური კონდიციების აღდგენა გადაწყვიტა. 29 წლის ფრიდრიხმა ზურგის ტრავმის გამო მოსამზადებელი ეტაპი გამოტოვა, თუმცა გასულ ხუთშაბათს, „ჰერტას" „ლუბლიანასთან" უეფას თასის მატჩშიც დაეხმარა და კვირასაც „ბაიერნთან" შეხვედრაში. ამიტომ ნაკრებზე უარის თქმამ ბევრი გააკვირვა.

გერმანელთა კარს ჰანოვერელი **რობერტ ენკე** დაიცავს. მის დუბლიორობას ვერდერელი **ტიმ ვიზე** ითავებს. ვიზე ბელგიასთან უკანასკნელ ამხანაგურ მატჩშიც ათამაშეს. ადლერი იმ მატჩის დროსაც დაშავებული იყო.

**მეკარეები** - რობერტ ენკე (ჰანოვერი), ტიმ ვიზე (ვერდერი);

**მცველები** - კლემენს ფრიტცი (ვერდერი), მარსელ იანსენი (ჰამბურგი), ფილიპ ლამი (ბაიერნი), კრისტოფ მეტცელდერი (რეალი), კრისტიან პანდერი (შალკე), სერდარ ტასკი (შტუტგარტი), ჰაიკო ვესტერმანი (შალკე);

**ნახევარმცველები** - ტომას ჰიტცლშპერგერი (შტუტგარტი), მარკო მარინი (ბორუსია მ.), სიმონ როლფესი (ლევერკუზენი), ბასტიან შვაინშტაიგერი (ბაიერნი), ანდრეას ჰინკელი (სელტიკი), პიოტრ ტროხოვსკი (ჰამბურგი);

**თავდამსხმელები** - მარიო გომესი (შტუტგარტი), პატრიკ ჰელმესი (ლევერკუზენი), მიროსლავ კლოზე (ბაიერნი), კევინ კურანი (შალკე), ლუკას პოდოლსკი (ბაიერნი).

ჰოლანდია

# ვან მარვიიკმა მაკედონიისთვის ჩამოწერა

ჰოლანდიის ნაკრების თავკაცმა **ბერტ ვან მარვიიკმა** სექტემბრის მატჩებისათვის 20-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. 6 სექტემბერს ჰოლანდია ავსტრალიას ამხანაგურად შეხვდება, ხოლო 10 სექტემბერს მაკედონიაში მუნდიალის პირველ საკვალიფიკაციო მატჩს გამართავს. ამ გუნდების გარდა მეცხრე შესარჩევ ჯგუფში ისლანდია, ნორვეგია და შოტლანდიაც ითამაშებენ.

**მეკარეები** - მაარტენ სტეკელენბურგი (აიაქსი), ჰენკ ტიმერი (ფეიენოორდი);

**მცველები** - ხალიდ ბულარუზი (შტუტგარტი), ტიმ დე კლერი (ფეიენოორდი), ჯონ ჰეიტინგა (ატლეტიკო), იორის მატიისენი (ჰამბურგი), ანდრე ოოიერი (ბლექბერნი);

**ნახევარმცველები** - იბრაჰიმ აფელეი (ეინდჰოვენი), მარკ ვან ბომელი (ბაიერნი), ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (ფეიენოორდი), ორლანდო ენგელაარი (შალკე), ნაიჯელ დე იონგი (ჰამბურგი), რაფაელ ვან დერ ვაარტი (რეალი), დემი დე ზეეუვი (ალკმაარი);

**თავდამსხმელები** - კლაას იან ჰუნტელაარი (აიაქსი), დირკ კაიტი (ლივერპული), რობინ ვან პერსი (არსენალი), არიენ რობენი (რეალი), იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (სელტიკი), რაიან ბაბელი (ლივერპული).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიური საქართველო

# ოლიმპიური ციკლის სტენოგრამა

## 2004-2008 წლები

ATHENS 2004

Beijing 2008

*დასაწყისი ლელო №204*

### მილიონი ჩემპიონისთვის

დევიზი: „პეკინში უკეთ, ვიდრე ათენში!" ფაქტობრივად, ათენიდან ჩვენი დელეგაციის შინ დაბრუნებისთანავე ამოქმედდა. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შესასვლელში ძველი ტრანსპარანტი ახლით, ზემოხსენებული დევიზით, უმალვე შეიცვალა. და დაიწყო მზადება პეკინისთვის.

ახალი ნაბიჯები იდგმებოდა ათენის ოლიმპიადის შედეგების ანალიზის პარალელურად. მსჯელობდნენ ფედერაციებში, მსჯელობდნენ სპორტის დეპარტამენტში და ოლიმპიურ კომიტეტში. ჩვეულებრივ, სპეციალისტებს იშვიათად, რომ გააჩნდეთ ცალკეულ საკითხებში აზრთა ერთიანობა, მაგრამ განსხვავებული მიდგომები კი არ თიშავდა ადამიანებს ერთმანეთისგან, არამედ აერთიანებდა ერთი ამოცანის გარშემო. წინ პეკინი იყო. დასამალი არ არის, რომ ათენის შემდეგ, ნაკრებ გუნდებში შესაძლო საკადრო ცვლილებებზეც ალაპარაკდნენ. კიდევ კარგი, რომ მყისიერად არ მიუღიათ გადაწყვეტილება. იმსჯელეს, იკამათეს და შეთანხმდნენ. განსაკუთრებით ჭიდაობებში სავარაუდო საკადრო ცვლილებები იწვევდა საზოგადოებრივ ინტერესს. ძიუდოსა და ჭიდაობაში მთავარი მწვრთნელები მაშინ არ შეუცვლიათ და ეს გადაწყვეტილება რომ სწორი იყო, დრომ და, რაც მთავარია, პეკინის ოლიმპიადამ ყველაზე უკეთ დაადასტურა.

2004 წლიდან, ანუ ათენის ოლიმპიადის შემდეგ, ყველა მიმართულებით დაიწყო ქართულ სპორტში რეფორმა. როგორც იქნა, ოდინდელი დევიზი: „მასობრიობიდან - ოსტატობისკენ!" პირდაპირ ამ სიტყვებით თუ არა, რაც მთავარია, საქმით და მნიშვნელობით ჩადგა ქართული სპორტის სამსახურში. ბარემ აქვე ვთქვათ, იმ პერიოდიდან მოყოლებული 600 საფეხბურთო მოედანი, 100 საჭიდაო და ძიუდოს დარბაზი, სხვა უამრავი სპორტული ობიექტი აიგო ქვეყანაში. გეოგრაფია კი ფართოა - ნინოწმინდა, ახალქალაქი, გორი, მესტია, გურჯაანი, სენაკი, დუშეთი, ჭიათურა, ზუგდიდი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ლაგოდეხი, სოფლები თამარაშენი და გლდანი, რაღა თქმა უნდა, მსხვილი ქალაქები: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი...

განსაკუთრებით უნდა ითქვას სპორტის საწყლოსნო სახეობებზე. საცურაო აუზები ამუშავდა ჭიათურასა და საჩხერეში, საგარეჯოსა და გურჯაანში, ლანჩხუთსა და თელავში, თამარაშენში... შეკეთდა ძველი ბაზები, სპორტული სკოლების შენობები.

ოლიმპიადებისთვის მზადების ციკლში, ანალოგიური დასახელებით, ადრეც მიუღიათ დადგენილებები. ასე რომ, პრეზიდენტის განკარგულებაში „პეკინის ზაფხულის XXIX ოლიმპიური თამაშებისთვის საქართველოს სპორტსმენთა მომზადების ხელშეწყობის შესახებ", ისეთი გარანტიები იდო სპორტსმენთა და მწვრთნელთა წასახალისებლად, ცხოვრების მაშინდელი დონისთვის ბევრს წარმოუდგენლად შეიძლება მოსჩვენებოდა.

იმავე განკარგულებით შეიქმნა ოლიმპიადისთვის საქართველოს სპორტსმენთა მზადების ხელშემწყობი სამთავრობო კომისია, რომელსაც შესაბამისი სამინისტროს, სპორტის დეპარტამენტისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აქტიური ურთიერთთანამშრომლობის კოორდინაცია დაევალა.

პეკინის ოლიმპიადისთვის ეფექტური მომზადების ყველა საკითხი დეტალურად გაიწერა, რომელთაგან უმთავრესი იყო ნაკრები გუნდების საერთაშორისო ტურნირებში აუცილებელი მონაწილეობა, მათი უზრუნველყოფა საწვრთნელი ბაზები თავისთავად. რაღა თქმა უნდა, კარგია მასობრიობა, მაგრამ ყველაფრის გვირგვინი მაინც ოსტატობა და ის შედეგებია, რაც მაღალი რანგის სპორტულ ტურნირებში მიიღწევა. ოსტატობაზე როცა ვლაპარაკობთ, წინა პლანზე უპირველესად, ცხადია, ბაზებთან ერთად, გამოდის კადრების საკითხი. მასობრიობა უდავოდ მოიტანდა უკეთეს შედეგს სპორტული თვალსაზრისითაც, ისევე როგორც სოციალური კუთხით მოიტანა, პრაქტიკულად ადგილებზე სრულად რომ განხორციელებულიყო 2 ათასი ხელფასიანი მწვრთნელის დასაქმების იდეა.



პეკინი, 7 აგვისტო. ოლიმპიურ სოფელში საქართველოს ეროვნული დროშის აღმართვის წინ

ფოტო ავტორისა

2005 წლის 12 აგვისტო. ამ დღეს პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** ხელი მოაწერა განკარგულებას, რომელიც ქართული სპორტის ისტორიაში უპრეცედენტო მოვლენა იყო. უპრეცედენტო სპორტსმენთა წახალისების თვალსაზრისით, თორემ განვლილი პირობებით, ინვენტარის ჩათვლით.

ჩვენ კი ვთქვით, სპორტსმენთა და მწვრთნელთა მატერიალური წახალისება შთამბეჭდავი იყოო, მაგრამ დრო გავიდა, ცხოვრების დონე შეიცვალა და პეკინის ოლიმპიადის წინ საპრიზო თანხა, ვთქვათ, ოლიმპიური ჩემპიონისთვის, კიდევ უფრო სოლიდური და მეტად მასტიმულირებელი რომ ყოფილიყო, საქართველოს პრეზიდენტმა პეკინში დელეგაციის გაცილებისას, საპრემიო თანხა... გააათმაგა. მილიონი - ჩემპიონისთვის!

პეკინში სამჯერ აფრიალდა საქართველოს ეროვნული დროშა და სამჯერ აჟღერდა ჩვენი სახელმწიფო ჰიმნი. ეს უკვე დიდი მიღწევა და წინგადადგმული ნაბიჯი იყო ათენთან შედარებით.

*გაგრძელება იქნება*

**თენგიზ გაჩეჩილაძე**
პეკინი-თბილისი

---

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი სამძიმარს უცხადებს სახელოვან ფალავანს, ათენის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორს გიორგი გოგშელიძეს**
**მამის**
**გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი სამძიმარს უცხადებს პეკინის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსანს გიორგი გოგშელიძეს**
**მამის**
**გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია უსამძიმრებს ეროვნული ნაკრების წევრს თავისუფალ ჭიდაობაში, ოლიმპიური თამაშების პრიზიორს გიორგი გოგშელიძეს**
**მამის**
**გარდაცვალების გამო.**
**დაკრძალვა 2. IX. ქ. გორში**

---

რაგბი. ლეგიონერები

# ბოლო რეპეტიცია



გიორგი ჩხაიძე

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის მეორე დივიზიონში მოასპარეზე ქართველი მორაგბეების კლუბებმა გათამაშების დაწყებამდე ბოლო საწვრთნელი შეხვედრები გამართეს.

საკმაოდ მინორულ ნოტაზე შეხვდება ახალ ჩემპიონატს **ლევან დათუნაშვილის, მალხაზ ურჯუკაშვილისა** და **გიორგი ჟღენტის** „ორიაკი". ჩვენებურთა გუნდმა ბოლო საწვრთნელი შეხვედრა „სტად დე მედიტერანეზე" გამართა და პირწმინდად დამარცხდა 6:33. ქართველთაგან თამაშში მონაწილეობა მხოლოდ ურჯუკაშვილმა და ჟღენტმა მიიღეს. წინასწარი დასკვნების გაკეთება, ცხადია, ძნელია, მაგრამ თუ ამხანაგური მატჩების შედეგებით ვიმსჯელებთ „ბეზიემ" რეალურად უნდა იბრძოლოს ელიტარულ პირველ დივიზიონში გადასასვლელად, რასაც ჯერჯერობით ვერაფრით ვიტყვით „ორიაკზე".

საკმაოდ მძაფრი ბრძოლა მოუწევს მეორე დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად, დივიზიონის დებიუტანტ **ავთანდილ კოპალიანის** „კოლომიეს". კოლომიელებმა გათამაშების დაწყების წინ შინ დათმეს შეხვედრა **ირაკლი მაჩხანელისა** და **ანტონ ფეიქრიშვილის** „აჟენთან" 15:22. აჟენელთა შორის მაჩხანელი ძირითად შემადგენლობაში იყო და მეორე ტაიმში შეცვალეს. მეორე ნახევრიდან ჩაერთო შეხვედრაში „კოლომიეს" რიგებში კოპალიანი. ფეიქრიშვილს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

შინ გაიმარჯვა თავის ყოფილ კლუბ „ოშთან" შეხვედრაში **მამუკა მაგრაქველიძის** „ტარბმა 16:10. „კირვანა" გუნდის შემადგენლობაში მეორე ტაიმში გამოჩნდა.

**გიორგი ჩხაიძის** „მეტრო რასინგმა" კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ღირსია ელიტარულ პირველ დივიზიონში ასპარეზობდეს. პარიზელებმა მოსამზადებელი ეტაპის ბოლო მატჩში სრულყოფილი რეპეტიცია გაიარეს. იტალიური „ვენეცია" ბინგომ და კომპანიამ უსაშველოდ მოსრა 77:6. ჩხაიძეს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

**ბესიკ ჯანგავაძე**

---

სოლიდარობა

# სოლიდარობის ასოციაცია კოლექტივი

საქართველოში მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის სპეციალიზებული სპორტული სკოლის გახსნის იდეა საფრანგეთიდან იქაურ „ნანტში" მოთამაშე, საქართველოს ნაკრების ყოფილმა წევრმა ილია მაისურაძემ ჩამოიტანა. ის საფრანგეთში არსებული სოლიდარობის ასოციაცია „კოლექტივის" ერთ-ერთი დამფუძნებელია. გუშინ თბილისში ამ ორგანიზაციის პრეზიდენტი სტეფან რიშარი და სამი წევრი: მიშელ ფუზე, ფაბიენ ბერნარი და ერვე პავალაჟი გვეწვია.

- ამ იდეის ხორცშესხმა სწორედ ამ დროისთვის გვქონდა განზრახული - გვიამბობს ილია მაისურაძე - მაგრამ ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა თითქმის ყველაფერი ჩაგვიშალა. თუმცა იდეის განხორციელებაზე ხელი არ აგვიღია. ასოციაციის წარმომადგენლები დღეს ჩვენთან ერთად იმყოფებიან. ისინი სოლიდარობას უცხადებენ ჩვენს ხალხს და თან ადგილზე ეცნობიან მდგომარეობას. აგროვებენ ინფორმაციას რა გზები, რა სახსრები შეიძლება გამიონახოს.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის სპეციალიზებული სპორტული სკოლის გახსნისათვის მოსამზადებელი სამუშაოები მუკვე დაწყებულია?**

- დიახ, საფრანგეთში ჩვენს დასახმარებლად რამდენიმე საქველმოქმედო ღონისძიება გაიმართა. ნანტთან ახლოს, ღონისძიებაში ფრანგული სპორტის ცნობილი სახეები მონაწილეობდნენ. ღონისძიებიდან შემოსული სახსრები ჩვენს ორგანიზაციას „მომავალი თაობა, ზრუნვა და თანადგომა კავშირს" გადაეცა.

**- როდისთვის იგეგმება სკოლის გახსნა?**

- გადავწყვიტეთ 2009 წლის ივნისში თბილისში საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩი მოვაწყოთ, რომელშიც მონაწილეობას ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი **მარსელ დესაი** და სხვა ცნობილი ფრანგი ფრენბურთელები, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები მიიღებენ. მათ გარდა თბილისს სხვა ცნობილი ფრანგი სპორტსმენებიც ეწვევიან. მინდა ცნობისთვის გითხრათ, რომ ამ ორგანიზაციამ ანალოგიური პროექტი უკვე განახორციელა ბრაზილიაში, სადაც ქუჩას 750 უპატრონო ბავშვი მოსწყვიტეს და სპორტში ჩააბეს. საქართველოში ჩვენი მიზანია ობოლ და ფინანსურად ხელმოკლე ოჯახების ბავშვებს საშუალება მივცეთ სპორტით დაკავდნენ და კარგი განათლება მიიღონ, რის მეშვეობითაც მოხდება მათი სრულფასოვანი ადაპტაცია საზოგადოებაში.

**სტეფან რიშარი**, სოლიდარობის ასოციაცია „კოლექტივის" პრეზიდენტი:

*„ჩვენი ვიზიტის მიზანია მაქსიმალურად სრულყოფილი ინფორმაცია შევაგროვოთ. დავადგინოთ, რა სახის დახმარება იქნება საჭირო. გვინდა გავეცნოთ ქვეყანაში ამჟამინდელ მდგომარეობასაც. ჩვენ თან გვახლავს ჟურნალისტი, ჩვენი ასოციაციის წევრი ერვე პავალაჟი, რომელიც არსებულ ვითარებას პრესის ფურცლებიდან დასავლეთ საფრანგეთის მოსახლეობას გააცნობს.*

*გადავწყვიტეთ, საქველმოქმედო მატჩი ჩავატაროთ. იმისთვის, რომ დავანახვოთ აქაურებს ამ პროექტის მნიშვნელობა, ჩამოვიყვანთ მრავალ ცნობილ პიროვნებებს. მათ შორის მარსელ დესაის, რომელიც ჩვენი ორგანიზაციის სიმბოლოა. ეს არის ადამიანი, რომელიც აფრიკაში დაიბადა, სილარიბეში გაიზარდა და იმდენს მიაღწია, რომ საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტანი გახდა. ამით ჩვენ გვინდა დავანახვოთ მათ, ვინც სხვადასხვა სახის დახმარება უნდა გაგვიწიონ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ პროექტის განხორციელება საქართველოსთვის.*

*და რაც მთავარია, ყოველივე ამით საფუძველი ჩაეყრება ქართველი და ფრანგი სპორტსმენების სოლიდარობასა და მეგობრობას".*

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# ქართველთა გარეშე ღარიბად ვართ




ქართველთათვის გაწყობილი დაფები

მსოფლიოს ჩემპიონატი ქალთა შორის, რომელსაც ნალჩიკი მასპინძლობს, ნელ-ნელა გახურდა. პირველი წრე დასრულდა და გუშინ მეორე, მეთექვსმეტედფინალური ეტაპი დაიწყო. პირველი წრის შედეგები გუშინ მოგახსენეთ, თუმცა ერთხელაც დავუბრუნდებით. საქმე ის არის, რომ ჩემპიონატის სააპელაციო კომიტეტს სამუშაო მიეცა: პოლონელი **მონიკა სოჩკოს** და რუმინელი **საბინა ფოიშორს** შორის ტაიბრეიკის ბოლო საფეხურზე, რომელსაც „არმაგედონი" ანუ სხვანაირად „უცაბედი სიკვდილიც" ჰქვია, საკამათო ვითარება შეიქმნა: თეთრებით სოჩკო იყო და მიუხედავად იმისა, რომ ის ობიექტურად ვერ მოიგებდა, რადგანაც საჭირო მატერიალი არ გააჩნდა, ბოლომდე იბრძოლა. შავებით მოთამაშე ფოიშორმა დრო ვერ გააკონტროლა და ალამი ჩამოუვარდა. წესის თანახმად, რუმინელს წაგება ჩაეთვალა, თუმცა მთავარმა მსაჯმა სხვაგვარად განსაჯა და ყაიმი დააფიქსირა. მოტივად ის დაასახელა, რომ მეფით და ერთი მხედრით პოლონელი მოჭადრაკე შამათს ვერ ჩასვამდა, მით უმეტეს, როცა მეტოქესაც ზუსტად ისეთივე მატერიალი გააჩნდა: მეფე და ერთი მხედარი. ჭადრაკის მოყვარულმა კარგად იცის, რომ ერთი მხედრის დახმარებით შამათი არ ისმება და ყაიმი ფიქსირდება. აქედან გამომდინარე, ყაიმი ფიქსირდება ყველა იმ შემთხვევაში, სადაც, თეორიულად, ყველაზე არაკვალიფიციური თამაშის შემთხვევაშიც კი არ არსებობს შამათის შესაძლებლობა. თითქოს რა უნდა ჰქონოდა პოლონელ დიდოსტატს სადავო, მაგრამ სააპელაციო კომისიაში პროტესტი მაინც შეიტანა და ამისთვის წესით განსაზღვრული 500 დოლარიც გადაიხადა. უცნაურია, მაგრამ მონიკა სოჩკოს პროტესტი დაკმაყოფილდა. აღმოჩნდა, რომ პრობლემის გასაღები სწორედ იმ „არაკვალიფიცირებულ თამაშშია". სააპელაციო კომისიის განმარტებით, როცა ორივე მხარეს მხოლოდ მეფე და ერთი მხედარი ჰყავს, რომელიმეს წაგება შესაძლებელია. თუმცა ასეთი პოზიციის მიღწევა მხოლოდ ხელოვნურად ან არაკვალიფიციური თამაშით არის შესაძლებელი. თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ თუკი თეთრები მეფეს C-7 უჯრაზე დააყენებენ, მხედარს B-6-ზე, ხოლო შავების მეფე A-8-ზე აღმოჩნდება, მხედარი კი - A-7-ზე, თეთრები აშამათებენ მეტოქეს! თუკი ამ პოზიციას დაფაზე დაალაგებთ, აღმოჩნდება, რომ შავების მეფისთვის საკუთარი მხედარი უპირველესი მტერი ანუ ხელისშემშლელი ყოფილა. ცხადია, რომ რუმინელს ასეთი პოზიცია ფიქრადაც არ გაუვლია და ამიტომაც მოეშვა - პოზიცია საყაიმოა და გამარჯვება მე მომენიჭებაო, დაიარხეინა თავი. შეგახსენებთ, „არმაგედონის" დროს ყაიმის შემთხვევაში გამარჯვება შავებს მიეკუთვნებათ.

ფოიშორს მწარე სიმართლისთვის მოუწია თვალის გასწორებამ, თუმცა მანაც და სხვებმაც საკმაოდ კარგი გაკვეთილი მიიღეს. სიმართლე იყო ისიც, რაც აქამდე ვთქვით - ქართველ ქალბატონთა არყოფნას რუსები გამოეხმაურებოდნენ და სინანულსაც გამოთქვამდნენ. ჩემპიონატის ოფიციალურ საიტზე დიდოსტატმა **ილია ოდესკიმ** სპეციალურ რეპორტაჟში ქართველთა არყოფნა ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატზე საფრანგეთის ნაკრების არყოფნას შეადარა - ფრანგები ბრაზილიელების დარად ნომერ პირველი ფავორიტები არასოდეს არიან, მაგრამ მათ გარეშე ტურნირს ეშხი და ლაზათი ეკარგებაო. არა უშავს შედარებაა, მაგრამ ქართველი მოჭადრაკე ქალები, ფრანგ ფეხბურთელთაგან განსხვავებით, ათეული წლების განმავლობაში ითვლებოდნენ უმთავრეს ფავორიტებად და თუკი ტიტული დავკარგეთ, სულაც არ ნიშნავს, რომ მეორე რიგის ფავორიტებად დავრჩით - ბოლო წლების ჩავარდნის მიუხედავად, ქართველი მოჭადრაკეების შიში და რიდი ყველას აქვს...

ცხადია, ჩვენებურთა ჩაუსვლელობაზეც ითქვა. 2004 წლის მსოფლიოს ჩემპიონის ბულგარელი **ანტუანეტა სტეფანოვას** პასუხში, ჩემდა გასაკვირად, წერია: *„მაშინ, როცა საქართველო რუსეთთან ომშია ჩართული, ქართველებს უამრავი პრობლემა შეექმნათ და ვფიქრობ, რომ მათი ნალჩიკში ჩამოსვლა შეუძლებელიც კი იყო..."* როგორც ხედავთ, ბულგარელმა მოვლენათა სხვაგვარად განვითარება ვერ წარმოიდგინა, სამაგიეროდ, კარგად წარმოუდგენია გერმანიის სახელით მოასპარეზე **ქეთინო კახიანი-გერშინსკას**. რუსი ჟურნალისტი **ევგენი სუროვი** ვრცლად ესაუბრა გერმანელ ქართველს და ძირითადად ქართულ-რუსულ კონფლიქტზე დაეკითხა. ქეთინომ ზუსტად ის გაიმეორა, რაც ერთი კვირის წინ „ლელოსთან" ინტერვიუში თქვა - სპორტი და პოლიტიკა ჩემი საქმე არ არის, ამას პოლიტიკოსებმა უნდა მიხედონ; მე სპორტსმენი ვარ და ჩემი საქმე უნდა ვაკეთოო. ქეთინომ ქართველთა თამაში შესაძლებლად მიიჩნია, მხოლოდ აღნიშნა: ასეთი მძიმე ფსიქოლოგიური ტვირთით თამაში რთული იქნებოდაო. არა მგონია, ჩვენი ქალბატონები ნალჩიკში ფსიქოლოგიურად იმაზე მეტად ყოფილიყვნენ დამძიმებული, ვიდრე ქართველი ოლიმპიელები პეკინში. აქ მიზეზი სხვა რამ არის და უცნაურია, რომ კახიანი ვერ ხედავს რეალურ სურათს ან არ სურს დაინახოს...

სამწუხაროდ, კახიანმა პირველივე ეტაპზე დაასრულა მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში: ჩინელ **შენ იანგთან** 0.5:1.5 დამარცხდა.

მეთექვსმეტედფინალის პირველ შეხვედრებში რამდენიმე თანაბარძალოვანი წყვილია. შედეგიანად მხოლოდ 6 პარტია დასრულდა, რაც დაძაბულობასაც უსვამს ხაზს. სენსაციად ვერც ერთს მივილებთ, მაგრამ **სვეტლანა მატვეევას** მიერ ჩინელი **სიუ იუჰუას** დამარცხება მოულოდნელობად შეიძლება ჩაითვალოს. ასევე ანტუანეტა სტეფანოვას ყაიმი ჩინელ **ჟუ ვენიუნთან**; **პია კრამლინგის** მშვიდობით გაყრა ასევე ჩინელ **ტან ჟონკუისთან**. თუმცა თანამედროვე ჭადრაკში ჩინელთა კარგი თამაში, ვგონებ, მოულოდნელობად არ უნდა აღვიქვათ.

რამდენად უცნაურად შეიძლება გამოჩნდეს სხვა შედეგები, ამას მკითხველი თავად განსაზღვრავს - პირველი წრის შედეგთა სრულ ნუსხას აქვე გთავაზობთ.

**ზვიად შათირიშვილი**

**პირველი წრის შედეგები**

| | |
|---|---|
| სვეტლანა მატვეევა (რუს. 2412)-სიუ იუჰუა (ჩინ. 2483) | 1:0 |
| **ბაჰტიანგ მონგონტუული** (მონ. 2406)-**ჰოუ იფანი** (ჩინ. 2557) | 0:1 |
| ანტუანეტა სტეფანოვა (ბულ. 2550)-ჟუ ვენიუნი (ჩინ. 2389) | 0.5:0.5 |
| ტან ჟონკუი (ჩინ. 2387)-პია კრამლინგი (2544) | 0.5:0.5 |
| **ანა გარიკი** (პოლ. 2211)-**ლილიტ მკრტჩიანი** (სომ. 2436) | 0.5:0.5 |
| შენ იანგი (ჩინ. 2445)-**ჟაო სიუ** (ჩინ. 2522) | 1:0 |
| **ტატიანა კოსინცევა** (რუს. 2511)-**ანა ზატონსკიხი** (აშშ. 2446) | 1:0 |
| **ვიქტორია ჩმილიტე** (ლიტ. 2508)-**ნადეჟდა კოსინცევა** (რუს. 2460) | 0.5:0.5 |
| **ჰარიკა დრონავალი** (ინდ. 2461)-**ანა მუზიჩუკი** (სლოვ. 2504) | 0.5:0.5 |
| **ჟუან ლუფეი** (ჩინ. 2499)-**კლაუდია ამურა** (არგ. 2345) | 0.5:0.5 |
| **ინა გაპონენკო** (უკრ. 2468)-**ეკატერინა როჰონიანი** (აშშ. 2321) | 1:0 |
| **თჰან ნგუენი** (ვიეტ. 2323)-**ელენა სედინა** (იტ. 2344) | 0.5:0.5 |
| მონიკა სოჩკო (პოლ. 2473)-**თჰანგ ჰოანგი** (ვიეტ. 2487) | 0.5:0.5 |
| **ელიზაბეტ პეტცი** (გერ. 2481)-**ანა უშენინა** (უკრ. 2476) | 0:1 |

*ინდოელ **ჰამპი კონერუს** და რუს **ალექსანდრა კოსტენიუკს** მეორე წრეში მეტოქეები არ ჰყავთ.*

# იზმირსაც ესტუმრნენ...

ქართველ მოჭადრაკეთა თურქული ვოიაჟები გრძელდება. რამდენიმე დღის წინათ სტარტი აიღო იზმირის საერთაშორისო ტურნირმა, რომელიც წლეულს მეშვიდედ ტარდება. ამჯერად ათმა ქართველმა მოისურვა თურქეთში წასვლა. ესენი არიან: **მალხაზ სულაშვილი** (2499), **დავით ჯოჯუა** (2488), **თორნიკე სანიკიძე** (2486), **დავით მალალაშვილი** (2480), **ბაჩანა მორჩიაშვილი** (2477), **ნინო ბაციაშვილი** (2349), **არმენ გრიგორიევი** (2314), **მაკა ფურცელაძე** (2300), **ანა გავაშელი** (2230 და **თეონა მესხი** (2085). ქართველთა და მასპინძელთა გარდა შეჯიბრებაში აზერბაიჯანელი, თურქმენი, სირიელი, ირანელი, ესტონელი, ლიბანელი და იორდანიელი მოჭადრაკეებიც ასპარეზობენ. სულ 271 მონაწილე შეიკრიბა. დიდი უმრავლესობა, რა თქმა უნდა, თურქები არიან. უცხოელთა რაოდენობა მხოლოდ 27-ია, თუმცა მათი კვალიფიკაცია მასპინძლებისას, ძირითადად, სჯობნის. მხედველობაში მისაღებია ერთი მომენტი: რეიტინგფავორიტები ნატურალიზებული თურქები არიან, თუმცა გახლავან - ერთი რუსი ებრაელი **მიხეილ გურევიჩი**, რომელიც ბელგიის მოქალაქეც კი გახლდათ ერთ დროს და **სუათ ათალიკი**, ვინც ბოსნიაშია დაბადებული და ამ ქვეყნის სახელით განვლო კარიერის უმეტესი ნაწილი. გურევიჩის რეიტინგი 2631-ია და პირველია ტურნირზე, ათალიკის მარაგი კი 2585 რეიტინგქულას უდრის და მეორეა. მესამე რეიტინგი ქართველ მალხაზ სულაშვილს აქვს - 2499, მეოთხეა დავით ჯოჯუა - 2488; მეხუთეზე თორნიკე სანიკიძეა - 2486 და მეექვსეზეც ჩვენებურია - დავით მალალაშვილის მაჩვენებელი 2480 ქულას უდრის.

ტურნირი შვეიცარიული სისტემით, 10 ტურად ტარდება. დრო კლასიკურია: მთელ პარტიაზე 90 წუთი, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით. მონაწილეებმა სამი ტურის თამაში მოასწრეს. ფავორიტები ჯერჯერობით უპრობლემოდ მიიწევენ წინ, თუმცა მალხაზ სულაშვილმა მესამე ტურში მოულოდნელად წაიბორძიკა: 2193-რეიტინგიან თურქ **ჩენგიზ სენლულთან** შავი ფერით ვერ მოიგო და ყაიმს დასჯერდა.

სიმართლე ითქვას, ქართველთაგან 4-5-ს ფავორიტებად მოვიაზრებთ, ამიტომ მათი ნებისმიერი შეფერხება გამოსარჩევია. უსიამოვნო კი იყო, მაგრამ თვალს ვერ დავხუჭავთ მეორე ტურში ბაჩანა მორჩიაშვილის მარცხზე: შავებით თურქ **კაან კომუტთან** გააჩერა საათი. თურქის რეიტინგი „სასაცილოა" - 1813. რა გახდა ბაჩანას მარცხის მიზეზი, სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია. ალბათ მოეშვა და ბოლომდე ყურადღებით არ მიუდგა შეხვედრას, რის გამოც უხეშად შეცდა. თურქების საჭადრაკო დონე რომ იზრდება, ფაქტია და „უზრუნველად" ქულების მოხვეჭა აღარ ხერხდება... ბაჩანას სამი ტურის შემდეგ ორი ქულა აქვს.

ლიდერთა ჯგუფი საკმაოდ მრავალრიცხოვანია: 24 მონაწილეს აქვს მაქსიმალური სამი ქულა. ჩვენებურთაგან ამათ რიცხვში ექვსნი არიან: დავით ჯოჯუა, თორნიკე სანიკიძე, დავით მალალაშვილი, ანა გავაშელი, არმენ გრიგორიევი და მაკა ფურცელაძე. მალხაზ სულაშვილს და ნინო ბაციაშვილს 2.5 ქულა აქვთ; თეონა მესხს -1.5.

**ზვიად შათირიშვილი**

ჩოგბურთი

# ჩახნაშვილი საფრანგეთში ფრანგით იწყებს

25 წლის **მაკა ჩახნაშვილი** საფრანგეთის ქალაქ დენაინში ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს, რომლის საპრიზო ფონდი 75 ათასი ამერიკული დოლარია. კენჭისყრამ საქართველოს პირველი ჩოგანი ტურნირზე მე-4 ნომრად განთესილ ფრანგ **ოლივია სანჩესს** შეჰყარა, რომელიც მსოფლიოს 104-ე ჩოგანია.

ჰოლანდიის ქალაქ ალპენში 25-ათასიანი ტურნირი დაიწყო, რომლის ძირითად ბადეში გაღწევას ორი ქართველი ლამობდა – **სოფიო ქვაცაბაია** მე-9 ნომრად იყო განთესილი, **ეკა გორგოძე** კი – მე-10-ედ. პირველ საკვალიფიკაციო წრეში ორივე ჩვენებური ისვენებდა, მეორეში სოფიომ იოლად დაამარცხა ბელგიელი **ანუკ დელეფორტრი** – 6:1, 6:1. არც გორგოძეს გასჭირვებია გერმანელი **ფრედერიკე ფუტჰოფის** დამარცხება – 6:1, 6:2. ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში ორივე ჩვენებური დამარცხდა – გორგოძემ მე-4 ნომრად განთესილ უკრაინელ **ლესია ცურენკოსთან** წააგო – 4:6, 6:4, 3:6, ხოლო ქვაცაბაიამ მე-2 ნომრად განთესილ რუს **ელიზავეტა ტოჩილოვსკაიასთან** დათმო – 2:6, 5:7.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სუმო

# კოკაი ელიტიდან გავარდნას გადაურჩა



კოკაი

გუშინ ტოკიოში სუმოს ახალი რეიტინგ-ლისტი ანუ ბანძუკე გამოქვეყნდა. პირველად ისტორიაში **ლევან ცაგურია (კოკაი)** აღარ არის ყველაზე მაღალი რანგის მატარებელი რიკიში ქართველთა შორის, მას 20 წლის **ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)** გადაუსწრო. ტოჩინოშინს, კოკაისგან განსხვავებით, ივლისში წარმატებული ბაშო ჰქონდა და ის მე-14-დან აღმოსავლეთის მე-10 მაეგაშირობამდე დააწინაურეს. კოკაიმ კი დიდი უკუსვლა განიცადა: დღეისათვის აღმოსავლეთის მე-16 მაეგაშირაა. ელიტაში რანგით მასზე ქვემოთ მხოლოდ ერთი სუმოისტია... ელიტაში კოკაი ასე დაბლა კარიერაში პირველად დაეშვა. სექტემბრის ბაშოზე წარუმატებლობა ქართველს უმაღლეს დივიზიონს დაატოვებინებს. სექტემბრის ბაშო ტოკიოს გიმნაზიუმში 14-28 რიცხვებში გაიმართება.

დიდი ჩემპიონი (იოკოძუნა) კვლავ ორია, მონღოლები **ჰაკუჰო** და **ასაშორიუ**. არ შეცვლილა ოძეკების შემადგენლობაც: **კოტომიცუკი, კაიო, კოტოოშუ** და **ჩიოტაიკაი**. სექტემბრის ბაშოზე სეკივაკე ორია: **ამა** და **ტოიონოშიმა**, ხოლო ესტონელი **ბარუტო** კარიერაში პირველად კომუსუბი გახდება, კომუსუბია მონღოლი **ასასეკირიუც**.

მესამე დივიზიონ მაკუშიტაში **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)** რანგით 43-ეა.

გუშინ შედგა სუმოისტთა ოფიციალური აწონაც, კოკაი 146 კილოგრამს იწონის, ხოლო ტოჩინოშინი – 149-ს. მოკლედ, ახალგაზრდა ქართველმა უფრო გამოცდილს რანგშიც და წონაშიც პირველად გაასწრო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ოლიმპიადის შემდეგ

# ერთხელ პეკინში



**მაიკლ ფელპსისა და უსაინ ბოლტის ფენომენალური გამოსვლის დარად, პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე შთამბეჭდავი სანახაობა კალათბურთელებმა გვაჩუქეს. დღეს გავიხსენებთ ამერიკელების გენიალურ თამაშს, ესპანელების გმირობას, ლიტველების არნახულ მიღწევას, ტურნირის გმირებსა და აღმოჩენებს...**

## მედროშეები

პირველად ოლიმპიური თამაშების ისტორიაში, გახსნის ცერემონიაზე საკალათბურთო სამყაროს ხუთ წარმომადგენელს ჩააბარეს თავიანთი ქვეყნის დროშები. არგენტინის, გერმანიის, ჩინეთის, ლიტვისა და რუსეთის ოლიმპიური ნაკრებების მედროშეები შესაბამისად **მანუ ჯინობილი, დირკ ნოვიცკი, იაო მინი, შარუნას იასიკიავიჩუსი** და **ანდრეი კირილენკო** იყვნენ.

ამ შემთხვევაშიც ამოქმედდა ძველი დაუწერელი წესი: თურმე ისინი, ვისაც სტადიონზე დროშის ჩატარებას ანდობდნენ, ხშირად სამშობლოში მედლების გარეშე ბრუნდებოდნენ. ამ ხუთეულიდან ერთადერთი, ვინც შინ მედალი წაიღო, არგენტინელი ჯინობილი იყო, თანაც მას მე-3 ადგილისთვის მატჩში მონაწილეობა არ მიუღია. არგენტინის ნაკრებმა თავისი ლიდერის გარეშე მოუგო ლიტვას.

## კერპი

თუ **ლებრონ ჯეიმსს** ამერიკაში მეფეს უწოდებენ, **კობი ბრაიანტი** ჩინეთის ახალ იმპერატორად მოგვევლინა. პოპულარობით მან არა მარტო თანაგუნდელებს აჯობა, ჩინელების კერპს იაო მინსაც კი გაასწრო. "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მცველისადმი სიყვარულით ჩინელები აბსურდამდეც კი მივიდნენ. ბრაიანტის ყოველი გასეირნება იმით მთავრდებოდა, რომ კობი პეკინის ქუჩებში ხან საყურეს ტოვებდა, ხან სამაჯურს და ხანაც რაიმე წვრილმან ნივთს. აღფრთოვანებული გულშემატკივრები კალიფორნიელ ვარსკვლავს წამით არ შორდებოდნენ და კლეპტომანიურ მიდრეკილებებს ამჟღავნებდნენ. *"დროა, კობი ჩინეთში გადავიდეს საცხოვრებლად,* - ხუმრობდა **კარმელო ენტონი**. - *დარწმუნებული ვარ, პრემიერ-მინისტრობა ან პეკინის მერობა გარანტირებული ექნება".*

ბრაიანტის თავგადასავლები მისი ჩინეთში ჩასვლისთანავე დაიწყო. კობი პეკინში კერძო თვითმფრინავით ჩაფრინდა, მაგრამ ერთი საათი არ აძლევდნენ იქიდან გადმოსვლის საშუალებას. თურმე აეროპორტის შეფი საავტომობილო საცობში ჩარჩენილ თავის ვაჟს ელოდებოდა, რომელიც მთელი ცხოვრება ოცნებობდა კალათბურთელის ავტოგრაფზე.

"ლეიკერსის" ლიდერს უშუალოდ მოედანზე შედარებით მოკრძალებული როლი ჰქონდა. ოლიმპიადების ისტორიაში, ამერიკის ნაკრებებიდან ყველაზე მეტად 1956 წლის გუნდი იყო ერთ მოთამაშეზე დამოკიდებული. ეს არც არის შემთხვევითი, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს კალათბურთელი **ბილ რასელი** იყო. მართალია, ამერიკის დღევანდელი ნაკრები კოლორიტული მოთამაშეების ნაკლებობას არ განიცდიდა, მაგრამ ბრაიანტის ნიჭი ნამდვილად არ ჩაკარგულა კაშკაშა ვარსკვლავებში. შეიძლება კობი ისეთი შედეგიანი არ ყოფილა, როგორიც "ლეიკერსში", მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში სწორედ ის მიათრევდა პარტნიორებს, სამქულიანებით უმოწყალოდ ბომბავდა ესპანელებს, არგენტინელებს და ავსტრალიელებს. ასევე ნიშანდობლივი იყო დაცვაში მისი იდეალური შეთამაშება ლებრონ ჯეიმსთან და **ჯეისონ კიდთან**.

კობის როლი გუნდში ისეთი არ ყოფილა, როგორიც 52 წლის წინ რასელს ჰქონდა. "დრიმ თიმის" დღევანდელი შემადგენლობიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელიც იყო. პეკინის თამაშებმა ერთი რამ დაგვანახვა: ამ სეზონში კობი, როგორც არასდროს მიუახლოვდა მთავარ მიზანს - მან თითქმის ამოავსო ის ვაკუუმი, რომელიც მსოფლიოს კალათბურთში **მაიკლ ჯორდანის** წასვლის შემდეგ გაჩნდა. როგორც ჩანს, ჩინელები პირველები მიხვდნენ, რომ პლანეტის საუკეთესო კალათბურთელთან ჰქონდათ საქმე.

## აღმოჩენა

ოლიმპიადამ საკალათბურთო სამყაროს ახალგაზრდა ვარსკვლავი აჩუქა. ეს არის ესპანელი ვუნდერკინდი **რიკი რუბიო**. *"არ ვიცი, კიდევ მომეცემა თუ არა ოლიმპიადის ფინალში თამაშის საშუალება. ეს სიზმარს ჰგავს. ოთხი თვის წინ არ ვიცოდი, შემიყვანდნენ თუ არა ოლიმპიურ გუნდში. ბევრ მოთამაშეს არ ეძლევა ასეთი შანსი",* - თქვა რიკიმ ფეერიული ფინალის შემდეგ, სადაც მან არანაირი პატივი არ სცა ჯეისონ კიდის ასაკს და სახელოვანი ვეტერანი შავ დღეში ჩააგდო.

კარგი იყო "მემფისის" ახალწვეული **მარკ გასოლიც**, რომელმაც თავისი გმირული თამაშით, ერთი პირობა ბრაიანტიც კი დააბნია. უმცროსი გასოლის თამაშის შემხედვარე, კობი სინანულს ვერ მალავდა იმის გამო, რომ "ლეიკერსმა" ორივე გასოლის ხელში ჩაგდება ვერ მოახერხა.

ესპანელების გარდა, თამაშების მთავარ აღმოჩენათა სიაში უნდა შევიყვანოთ ავსტრალიელი მცველები: 20 წლის **პატრიკ მილსი** და 23 წლის **ბრედ ნიული**. სწორედ მათ შეალამაზეს პეკინში ავსტრალიის ნაკრების უფერული გამოსვლა. "სენტ-მერის" კოლეჯის მეორეკურსელი გენიალური დრიბლინგებით დაგვამახსოვრდა, რამაც ამერიკელი მცველებიც კი გააკვირვა. ბერძნული "პანელინიოსის" ლეგიონერი კი სტაბილური სნაიპერული თვისებებით გამოირჩა. ის თამაშიდან ტყორცნების 70 პროცენტს აგდებდა, სამქულიანის ხაზიდან კი 50-პროცენტიანი სიზუსტით ისროდა.

დაბოლოს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ "მემფისის" კიდევ ერთი ახალწვეული, 23 წლის ირანელი **ჰამედ ჰადადი**. ის ლომივით იბრძოდა თავისი ქვეყნის ღირსებისთვის და მოხსნებში ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე გახდა. მაგრამ ჰადადის მთავარი მიღწევა ის იყო, რომ მან ამერიკულ კანონმდებლობას კბილებით გამოსტაცა NBA-ში თამაშის უფლება. ამერიკული კანონების მიხედვით, ამ ქვეყანაში იკრძალება ირანელებთან ყოველგვარი საქმიანი კონტაქტი.

## ხელმოცარული

არავინ კამათობს იმაზე, რომ ტურნირის მთავარი იმედგაცრუება გერმანიის ნაკრები გახდა, რომელმაც აქცენტი დირკ ნოვიცკისა და **კრის კამანის** ტანდემზე გააკეთა. გაგერმანელებულმა ამერიკელმა საერთოდ ჩააგდო ეს ოლიმპიადა, დირკმა ბოლომდე კი იბრძოლა, მაგრამ, როცა მიხვდა, რომ მარტო ვერას გახდებოდა, მოიწყინა და მისი ცნობა შეუძლებელი გახდა. NBA-ის ვარსკვლავის ემოციური დაღლილობა ყველაზე კარგად ჩინეთის ნაკრებთან მატჩის ბოლოს გამოჩნდა. ამ შეხვედრას გერმანიის ნაკრების ბედი უნდა გადაეწყვიტა. ბოლო წუთზე ნოვიცკიმ ორი შეტევა გააფუჭა, რამაც მასპინძლებს პლეი ოფის საგზური მოუტანა. დირკი ჯერ შეტევაში შეცდა, როცა ბურთი მეტოქეს ჩააბარა. ამით **იი ძიანლიანმა** ისარგებლა და თავისი გუნდის უპირატესობა სამ ქულამდე გაზარდა. ამის შემდეგ, "დირკ-თიმის" ლიდერმა საფინალო სირენამდე 18 წამით ადრე ხელსაყრელი სიტუაციიდან ვერ ჩააგდო სამქულიანი.

## იუბილე

რა თქმა უნდა, ცალკე უნდა აღინიშნოს ის ფენომენალური მიღწევა, რაც ლიტვის ნაკრებმა დააფიქსირა: უკვე ზედიზედ მეხუთე ოლიმპიადაა, 3.6-მილიონიანი ლიტვა ოთხ საუკეთესო საკალათბურთო ქვეყანას შორის ხვდება.

*"ლიტვაში კალათბურთი რელიგიასავითაა,* - ასე ხსნის ამ ფენომენს **რობერტას იავტოკასი**. - *ვერ წარმომიდგენია, რომ რომელიმე სხვა ქვეყანაში მსგავსი რამ ხდებოდეს".*

მართალია, ლიტვის ნაკრებს არც ამჯერად გაუმართლა და მედლების გარეშე დარჩა, მაგრამ მისი არაჩვეულებრივი მიღწევა ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი იყო ტურნირზე.

## მატჩი

ტურნირის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მატჩი არგენტინისა და საბერძნეთის ნაკრებებს შორის შედგა. ეს გუნდები მეოთხედფინალურ ეტაპზე შეხვდნენ ერთმანეთს. ამ მატჩში იყო ყველაფერი: ლამაზი დრიბლინგები, სწრაფი კონტრშეტევები, შორეული ტყორცნები და მახვილგონივრული პოზიციური შეტევები. მოთამაშეები ბრძოლის არანორმალური სურვილით გავიდნენ მოედანზე და არც ერთ გუნდს არ სურდა მეტოქის სამ ქულაზე მორს გაშვება.

ბერძნები, რომლებისთვისაც ეს მატჩი საუკეთესო იყო ტურნირზე, ბოლო წამებამდე იბრძოდნენ, არ შეუშინდნენ არგენტინელი სნაიპერების სამქულიან "ბომბებს". მაშინაც კი, როცა ჯინობილიმ კიდევ ერთხელ ისროლა და არგენტინა ხუთი ქულით გაიყვანა წინ (80:75), საბერძნეთი ბოლო შტურმზე გადავიდა და **პანაიოტის ვასილოპულოსმა** ურთულესი პოზიციიდან ჩააგდო სამქულიანი. ყველაფერს აქვს დასასრული და ბერძნების იმედი ბოლო წამებზე **ვასილის სპანულისის** მიერ პერიმეტრიდან გაფუჭებული ტყორცნით დასამარდა.

მიუხედავად ამ წაგებისა, საბერძნეთის ნაკრები ტურნირის ერთ-ერთი მთავარი სიუპრიზი გახდა. ეს გუნდი ევროპის ჩემპიონატზე განცდილი ფიასკოს შემდეგ ისევ გაცოცხლდა.

## დაპირება

ჯგუფურ ეტაპზე ამერიკის ნაკრებთან განადგურების შემდეგ, ესპანეთის ნაკრების მცველმა **რუდი ფერნანდესმა** აღნიშნა, რომ ქულათა ასეთი დიდი სხვაობა დაუმსახურებელი იყო: *"რა თქმა უნდა, რთულია ისეთ გუნდთან ბრძოლა, როგორიც ამერიკის ნაკრებია. ამ მატჩში დაშვებული შეცდომებით ბევრი რამ ვისწავლეთ და დარწმუნებული ვარ, მას აღარ გავიმეორებთ. თუ ამერიკას ფინალშიც შევხვდებით, ყველაფერს გავილებთ გამარჯვებისთვის".*

ამ სტანდარტული სიტყვების მიღმა უფრო მეტი იგულისხმებოდა და ეს ფინალურ მატჩშიც დავინახეთ. გადამწყვეტი შეხვედრა გახდა პეკინის ოლიმპიადის მშვენება და ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი დაპირისპირება ოლიმპიადების ისტორიაში. სწორედ 23 წლის ფერნანდესის სამქულიანებმა და გარღვევებმა მისცა ესპანეთის ნაკრებს იმის საშუალება, რომ ბოლომდე ებრძოლა, ეჩვენებინა დიდი კალათბურთი და დამარცხების მიუხედავად, თავაწეული დაეტოვებინა მოედანი.

## სიმბოლო

ეს თამაშები ამერიკის ნაკრების დაბრუნებად იქცა. მართალია, აშშ-ის ნაკრების დღევანდელი წევრები უარს ამბობენ "დრიმ-თიმის" ვარსკვლავების სტატუსზე, მაგრამ მათი გუნდი მაინც "ოცნებაა", უბრალოდ იმიტომ, რომ ორი კვირის განმავლობაში დაუვიწყარი სანახაობა აჩვენეს მსოფლიოს.

დღეს ბევრი ადარებს ერთმანეთს 1992 და 2008 წლების ნაკრებებს, მაგრამ ასეთი შედარება უპერსპექტივოა, რადგან ისტორიული მომენტი არ მეორდება. იმ გუნდის როლი უდიდესი იყო, რადგან მისმა ფანტასტიკურმა გამოსვლამ შეცვალა კალათბურთზე წარმოდგენა და იმ თამაშის დაბადების მომენტად იქცა, რომელსაც დღეს ვხედავთ.

დღევანდელ ნაკრებს აღორძინებული ამერიკული კალათბურთის სიმბოლოდ ასახელებენ. მწვერვალამდე მიმავალ მის რთულ გზას, ოლიმპიადაზე ამ გუნდის საუკეთესო მოთამაშის დუეინ უეიდის ბედს ადარებენ. ორი ულიმღამო სეზონის, სერიოზული ტრავმებისა და ჩაძირული "მაიამის" შემდეგ, ეს კალათბურთელი ფლორიდული გაუგებრობიდან სრულიად შეცვლილი გამოვიდა და ერთი თვის განმავლობაში სტაბილურად შინაარსიან და შედეგიან კალათბურთს აჩვენებდა.

**გია თვალაბეიშვილი**



რიკი რუბიო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

### ჯინობილი რეგულარულის სტარტს გამოტოვებს

"სან ანტონიო სპურსის" არგენტინელი ვარსკვლავი **ემანუელ ჯინობილი** ამ კვირას ოპერაციას გაიკეთებს. ქირურგიული ჩარევის მიზეზი მარცხენა ფეხის ტრავმა გახდა, რომელიც მანუმ პეკინის ოლიმპიადაზე ამერიკასთან ნახევარფინალურ მატჩში მიიღო. სწორედ ამ დაზიანების გამო არ ითამაშა არგენტინელმა ლიტვასთან მესამე ადგილისთვის მატჩში. თუმცა სამხრეთამერიკელებმა მანუს გარეშეც მოახერხეს ბრინჯაოს მედლების მოპოვება.

ექიმების ვარაუდით, აღდგენითი პროცესი 3-4 თვეს გასტანს და შესაძლოა, ჯინობილის NBA-ის მომავალი რეგულარული ჩემპიონატის სტარტის გამოტოვებამ მოუწიოს.

### ელისი სამ თვეს დაისვენებს

სამი თვე ვერ შეძლებს ვარჯიშს "გოლდენ სტეიტ უორიორზის" მცველი **მონტა ელისი**. სააგენტო "როიტერის" ცნობით, კალათბურთელმა შინ ინდივიდუალური ვარჯიშის დროს ფეხი ისე დაიზიანა, რომ ოპერაციის გაკეთება მოუხდა.

გასულ წელს ელისმა სეზონის ყველაზე პროგრესირებადი კალათბურთელის პრიზი მიიღო. ამ ზაფხულს, მონტამ "მეომრებთან" ახალი, ექვსწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც ჯამში 66 მილიონს მიიღებს.

### უმცროსი იუინგი ნიქსში ითამაშებს

"ნიუ იორკ ნიქსის" ხელმძღვანელობამ "ჰიუსტონ როკეტსიდან" ცენტრალური თავდამსხმელი **პატრიკ იუინგ-უმცროსი** (24 წლის, 203 სმ) შეიძინა. ეს გახლავთ "ნიქსის" ლეგენდარული ცენტრის, NBA-ის 90-იანი წლების ვარსკვლავის **პატრიკ იუინგის** ვაჟი.

ახალგაზრდა კალათბურთელის სანაცვლოდ "როკეტსმა" ფრანგი ცენტრი **ფრედერიკ ვაისი** მიიღო, რომელიც 1999 წლის დრაფტზე იყო არჩეული. თუმცა ეს კომპენსაცია სიმბოლურ ხასიათს ატარებს: 31 წლის ფრანგი კალათბურთელის საუკეთესო წლები ჩავლილია და მისი NBA-ში დებიუტის შანსი პრაქტიკულად ნულის ტოლი გახლავთ.

### მაგლოირი მაიამის დარჩა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვეტერანი ცენტრი **ჯამალ მაგლოირი** (30 წლის, 211 სმ) "მაიამი ჰიტში" გააგრძელებს კარიერას. NBA-ში რვაწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში კალათბურთელი "შარლოტის", "მილუოკის", "პორტლენდის", "ნიუ ჯერსისა" და "დალასის" ღირსებას იცავდა. მისი საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები 8.6 ქულასა და 7.3 მოხსნას შეადგენს.

"მაიამი" მაგლოირის დამატებით არ ასრულებს სატრანსფერო მოღვაწეობას. ფლორიდული კლუბი გამთამაშებელს ეძებს იმ შემთხვევისთვის, თუ თავისუფალი აგენტი **კრის ქუინი** კლუბთან ხელშეკრულების გაგრძელებას არ მოისურვებს.

### კლივლენდი ჰოვარდს უმიზნებს

"კლივლენდ კავალიერზი" აგრძელებს მომავალი სეზონისთვის შემადგენლობის გადახალისებას. **მო უილიამსის** ხმაურიანი შეძენის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობა NBA-ის რამდენიმე ცნობილ მოთამაშესთან აწარმოებს მოლაპარაკებებს.

ერთ-ერთი მათგანია "დალას მავერიქსის" ფორვარდი **ჯუვან ჰოვარდი**. აგრეთვე "კავალიერსის" ხელმძღვანელობა ცენტრ **ლორენცენ რაიტის** ხელში ჩაგდებას ლამობს. ამ კალათბურთელმა შარშანდელი სეზონი "ატლანტას" შემადგენლობაში ჩაატარა.

"კლივლენდს" **ჯეი არ სმიტის** დამატებაც სურდა, მაგრამ ამ მცველმა "დენვერში" დარჩენა გადაწყვიტა და კლუბთან კონტრაქტი გააგრძელა.

### დენგი ევრობასკეტზე ითამაშებს

"ჩიკაგო ბულზის" ერთ-ერთი ლიდერი **ლუოლ დენგი** ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ბრიტანეთის ნაკრების რიგებში ითამაშებს. როგორც ტელეკომპანია ESPN იუწყება, ბრიტანეთის კალათბურთის ფედერაციამ "ჩიკაგოს" ხელმძღვანელობასთან კალათბურთელის დაზღვევის საკითხები მოაგვარა და "ხარები" დენგს ნაკრებში გაუშვებენ.

შეგახსენებთ, რომ "ჩიკაგოს" სადაზღვევო კომპანია დამატებით 250 ათას დოლარს ითხოვდა და ფედერაცია გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვერ ახერხებდა ამ თანხის გადახდას.

### მაციაუსკასი ისევ დაიმტვრა

ბოლო არ უჩანს საბერძნეთის "ოლიმპიაკოსის" ლიტველი მცველის **არვიდას მაციაუსკასის** უიღბლობას. კალათბურთელი ახალი სეზონისთვის ლიტვის "ნეპტუნასის" შემადგენლობაში ემზადებოდა და ბოლო ვარჯიშის დროს ფეხი მოიტეხა. მაციაუსკასს ოპერაცია ფინეთში გაუკეთეს და ის მინიმუმ სამი თვე ვერ გავა მოედანზე.

NBA-დან დაბრუნების შემდეგ ლიტველს თითქმის არ უთამაშია დიდი კალათბურთი. ორი სეზონის განმავლობაში ევროტურნირებზე მან მხოლოდ 14 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

გამორიცხული არ არის, რომ ბოლო ტრავმამ "ოლიმპიაკოსის" ხელმძღვანელთა გაღიზიანება გამოიწვიოს. ლიტველი ბერძნულ კლუბში წელიწადში 2 მილიონ ევროს იღებს და თითქმის მთელ დროს ტრავმების მკურნალობას ახმარს. ვნახოთ, გაუშვებს თუ არა "ოლიმპიაკოსის" შეფიცა ლიტველ ლეგიონერს.

### კიდი ოქროს თმობს

პეკინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი **ჯეისონ კიდი** თავის ოქროს მედალს ვინმე **ელეინ უინს** აჩუქებს. ეს ქალბატონი ლას-ვეგასის ერთ-ერთი კაზინოს მფლობელის **სტივ უინის** მეუღლე გახლავთ.

კიდი ელეინს გასულ ზაფხულს, ბანკეტის დროს შემთხვევით გამოელაპარაკა და გაოცებული დარჩა იმით, თუ რამდენად კარგად ერკვევა მისის უინი კალათბურთში. ჯეისონი სწორედ მაშინ დაჰპირდა მას - თუ ჩვენი გუნდი პეკინში პირველ ადგილს დაიკავებს, ჩემს ოქროს მედალს თქვენ გაჩუქებთო. ახლა, "დალასის" გამთამაშებელს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დანაპირების შესრულება.

ნუ დაგვავიწყდება, რომ კიდის მდიდარ კოლექციაში 2000 წელს, სიდნეის ოლიმპიადაზე მიღებული ოქროც მოიპოვება. ასე რომ, NBA-ის ვარსკვლავი უმედლოდ მაინც არ დარჩება.

### იყიდეთ იაო მინის საწოლი

იყიდება საწოლი, რომელზეც პეკინის თამაშების დროს ჩინელ კალათბურთელ **იაო მინს** ეძინა. ეს იქნება სპეციალურად ორგანიზებული აუქციონის ყველაზე ძვირად ღირებული ნივთი. იაოს საწოლთან ერთად გასაყიდად გამოიტანენ ავეჯს, ელექტრომოწყობილობებს და 20 მილიონამდე სხვა ნივთს, რომელსაც პეკინის ოლიმპიადასთან აქვს კავშირი.

იაო მინის საწოლის სიგრძე 2 მეტრი და 31 სანტიმეტრია. ის 226-სანტიმეტრიანი გიგანტისთვის სპეციალურად იყო დამზადებული.

ექსპერტების ვარაუდით აუქციონი 2 წელს გაგრძელდება და მისგან შემოსული თანხა დაახლოებით 100 მილიონ ევროს მიაღწევს.

## ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა

# პირველი განუთესავი მეოთხედფინალში

ამერიკის ღია პირველობაზე ყველაზე საინტერესო ნაწილი დაიწყო. ტურნირი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა და შესაბამისად, უფრო ხარისხიან ჩოგბურთს ვუყურებთ. მატჩებიც გაცილებით დაძაბულ ორთაბრძოლებში მიმდინარეობს.

როგორც ჩანს, წარსულს ჩაჰბარდა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნის, **როჯერ ფედერერის** პრობლემები. შვეიცარიელი, რომელიც ამერიკის ღია პირველობის ზედიზედ მეხუთე ტიტულს უმიზნებს, ჯერჯერობით დამაჯერებლად ამარცხებს მეტოქეებს. როჯერის მორიგი მსხვერპლი ჩეხი **რადეკ შტეპანეკი** გახდა.

„ფლეშინგ მედოუს" ცენტრალურ კორტზე შეკრებილი 23 ათასი მაყურებელი ფედერერის თითქმის უნაკლო თამაშის მოწმე გახდა. შვეიცარიელმა 96 წუთი იკმარა მერვედფინალში გასასვლელად და სამ სეტში მხოლოდ 8 გეიმი დაუთმო მეტოქეს.

როჯერმა ამ ტურნირზე ზედიზედ 30-ე მატჩი მოიგო და ახლა ამ სერიის გაგრძელებას რუს **იგორ ანდრეევთან** შეხვედრაში შეეცდება.

ამ ეტაპზე პრობლემები არ ჰქონია ადგილობრივი პუბლიკის მთავარ იმედს **ენდი როდიკს**. ამერიკელმა **ანდრეას სეპის** ჩაუტარა ჩოგბურთის გაკვეთილი. აქ ბრძოლა მხოლოდ მესამე სეტში შედგა, როცა სეპიმ საქმე ტაიბრეიკამდე მიიყვანა, მაგრამ იქ ოდენ ოთხი ქულის აღება შეძლო. დანარჩენ შემთხვევებში როდიკი იოლად უსწორდებოდა მეტოქეს.

ამერიკელის გამარჯვება მოწოდებაზე ბრწყინვალე თამაშმა განაპირობა. ენდიმ 19 ეისი ჩააწოდა და პირველი მოწოდების 73 პროცენტი მომგებიან ქულებად აქცია.

თუ როდიკმა მერვედფინალის საგზური მოიპოვა, მისი თანამემამულე **მარდი ფიში** ფრანგი **გაელ მონფილსის** დამარცხების შემდეგ მეოთხედფინალში გასვლას ზეიმობდა. ვარაუდობდნენ, რომ წინა ეტაპზე **დავიდ ნალბანდიანის** მძლეველი, როლან გაროსის ნახევარფინალისტი მონფილსი დიდ ბრძოლას გაუმართავდა ფიშს, მაგრამ ფრანგმა მეტოქეს მხოლოდ პირველ სეტში გაუწია წინააღმდეგობა, შემდეგ კი ჯამში ოთხი გეიმის აღება მოახერხა. სხვათა შორის, გუშინ მონფილსს დაბადების დღეს ჰქონდა - ის 22 წლის გახდა.

განუთესავმა ფიშმა გაიმეორა კარიერაში „დიდ სლემზე" თავისი საუკეთესო შედეგი - 2007 წელს ავსტრალიის ღია პირველობაზე მეოთხედფინალში ითამაშა. ძნელი სათქმელია, რამდენად შორს წავა სატურნირო ბადეში ფიში. ნებისმიერ შემთხვევაში, ის კარგ ხასიათზე ხვდება საკუთარ ქორწილს - მარდი 28 სექტემბერს მოდელ **სტეისი გარდნერს** ირთავს ცოლად.

წინა დღეებში დაფიქსირებული რამდენიმე სენსაციის შემდეგ, ამჯერად ქალთა ბადეში ყველაფერი ლოგიკურად განვითარდა. **ანა ივანოვიჩისა** და **სვეტლანა კუზნეცოვას** ადრეულ ეტაპებზე გავარდნამ, მნიშვნელოვნად ასწია **ელენა იანკოვიჩის** აქციები. სერბმა ფავორიტის სტატუსი დანიელ თინეიჯერ **კაროლინ ვოზნიაჩკისთან** მერვედფინალურ დაპირისპირებაში დაამტკიცა.

ამ ტურნირზე იანკოვიჩს თითქმის ყველა შეხვედრის დებიუტში ჰქონდა პრობლემები, მაგრამ შემდეგ საკუთარ თამაშს პოულობდა და შეუჩერებელი ხდებოდა. ასე მოხდა ამჯერადაც. პირველი სეტის წაგების შემდეგ, ელენამ მეორე და მესამე პარტიებში მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო ვოზნიაჩკის და აშშ-ის ღია პირველობის პირველი მეოთხედფინალისტი გახდა. ახლა ელენა ნახევარფინალის საგზურისთვის ავსტრიელ **სიბილ ბამერს** უნდა გაეჯიბროს, რომელმაც თავის მხრივ ფრანგ **მარიონ ბარტოლის** აჯობა.

ბამერმა აშშ-ის ღია პირველობაზე რამდენიმე რეკორდი დაამყარა. ბარტოლისთან შეხვედრა 3 საათსა და 5 წუთს გაგრძელდა - ეს იყო ამერიკის ღიას ისტორიაში ქალებს შორის ყველაზე გრძელი მატჩი. გარდა ამისა, ავსტრიელი, რომელმაც 2001 წელს ქალიშვილი გააჩინა, 1991 წლიდან მოყოლებული პირველი დედა გახდა, ვინც „დიდი სლემის" ტურნირის მეოთხედფინალში გასვლა შეძლო. დაბოლოს, ბამერი მეექვსე ავსტრიელია, რომელიც ამ კატეგორიის ტურნირის რვა საუკეთესოთა შორის მოხვდა, ხოლო თუ ნახევარფინალის საგზურს მოიპოვებს, ამ ეტაპზე გასული პირველი ავსტრიელი იქნება.



ფიშის საცოლე სტეისი გარდნერი

#### კაცები

**1/16 ფინალი**

**ენდი როდიკი (აშშ, 8)**-ანდრეას სეპი (იტა, 31) 6:2, 7:5, 7:6 (4); **ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 11)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 7:5, 6:4, 6:7 (3), 6:1; **ტომი რობრედო (ესპ, 15)**-ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 19) 7:6 (2), 6:2, 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-მარინ ჩილიჩი (ხორ, 30) 6:7 (7), 7:5, 6:4, 7:6 (0); **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 5)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 26) 6:2, 7:6 (3), 6:3; **ჟილ მიულერი (ლუქ)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 18) 6:7 (3), 3:6, 7:6 (5), 7:6 (6), 7:5; **იგორ ანდრეევი (რუს, 23)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 13) 6:2, 6:4, 6:4; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 28) 6:3, 6:3, 6:2.

**1/8 ფინალი**

**მარდი ფიში (აშშ)**-გაელ მონფილსი (საფ, 32) 7:5, 6:2, 6:2; **რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-სემ კუერი (აშშ) 6:2, 5:7, 7:6, 6:3.

#### ქალები

**1/8 ფინალი**

**ფლავია პენეტა (იტა, 16)**-ამელი მორესმო (საფ, 32) 6:3, 6:0; **დინარა საფინა (რუს, 6)**-ანა-ლენა გრონეფელდი (გერ) 7:5, 6:0; **ელენა დემენტიევა (რუს, 5)**-ნა ლი (ჩინ) 6:4, 6:1; **პატი შნიდერი (შვეიც, 15)**-კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ, 26) 4:6, 6:3, 6:3; **სიბილ ბამერი (ავსტრია, 29)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 12) 7:6 (3), 0:6, 6:4; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 2)**-კაროლინ ვოზნიაჩკი (დან, 21) 3:6, 6:2, 6:1.

## ATP-ის ტური

# ფედერერს ფული არ ჰყოფნის

მსოფლიოს მეორე ჩოგანი **როჯერ ფედერერი** თვლის, რომ "დიდი სლემის" ტურნირებზე ჩოგბურთელების ჰონორარები აუცილებლად უნდა გაიზარდოს.

*"ვიცი, რომ თითქმის ყველა ტურნირზე იზრდება საპრიზო ფონდი და ეს ძალიან გვახარებს. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ბოლო 40 წლის განმავლობაში ჩოგბურთმა შესამჩნევი პროგრესი განიცადა. ამავდროულად მიმაჩნია, რომ "დიდი სლემის" ტურნირებზე საპრიზო ფონდი უნდა გაიზარდოს"*, - განაცხადა შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა 2009 წლის სეზონის კალენდრის კომენტირებისას.

ATP-ის ტურის ახალი ლიდერს **რაფაელ ნადალს** სხვა საზრუნავი აქვს. მას არ მოსწონს ევროპის სათიხნარო სეზონის ზედმეტად გადატვირთული გრაფიკი.

*"ერთმანეთის მიყოლებით ტარდება მონტე-კარლოს, ბარსელონის და რომის ტურნირები. თიხნარზე თამაშის სპეციალისტებისთვის ეს ძალიან რთული გამოცდაა. მხოლოდ ჩემს თავზე არ ვლაპარაკობ, იმავე აზრისანი არიან სხვა ესპანელი ჩოგბურთელები და ლათინური ამერიკის წარმომადგენლები"*, - აღნიშნა ნადალმა.

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის კალენდარმა 2009 წლისთვის რამდენიმე ცვლილება განიცადა. მთავარი სიახლე ის არის, რომ წლის შემაჯამებელი ტურნირი ლონდონში გაიმართება, ხოლო შანხაიში, რომელიც წელს უკანასკნელად უმასპინძლებს "მასტერსის თასს", მომდევნო წლიდან მასტერსის სერიის ერთ-ერთი ტურნირი ჩატარდება.

თარიღს შეიცვლის მადრიდის მასტერსი - ის ოქტომბრის ნაცვლად მაისში, როლან გაროსის წინ გაიმართება. გარდა ამისა, 13-წლიანი შესვენების შემდეგ, დიდი ჩოგბურთი სამხრეთ აფრიკაში ბრუნდება. იქ თებერვალში ATP-ის ტურნირს იოჰანესბურგი უმასპინძლებს.

გაისად მამაკაცთა ტური 5 იანვარს დოჰას (კატარი), ჩენაის (ინდოეთი) და ბრისბენის (ავსტრალია) ტურნირებით გაიხსნება. სეზონის შემაჯამებელი ჩემპიონატი ლონდონში 23 ნოემბერს აიღებს სტარტს.



გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## სხვადასხვა

ფორმულა 1

### ფერარი ძველებს ენდობა

"ფერარის" პრეზიდენტმა **ლუკა დი მონტეძემოლომ** გუშინ დაადასტურა, რომ 2009 წლის სეზონში გუნდის შემადგენლობა არ შეიცვლება და სკუდერიას ფინელი **კიმი** რაიკონენი და ბრაზილიელი **ფელიპე მასა** წარმოადგენენ.

შეგახსენებთ, რომ რაიკონენს იტალიურ საჯინიბოსთან 2009 წლის ბოლომდე აქვს ხელშეკრულება, მასას კონტრაქტი კი 2010 წლის ბოლომდე მოქმედებს.

### ჰემილტონი ბელგიაში ირბოლებს

წლევანდელი სეზონის ლიდერმა **ლუის ჰემილტონმა** ბოლომდე მოირჩინა კისრის ტრავმა და მომავალ კვირას ბელგიის გრან პრიში მიიღებს მონაწილეობას - წერს სააგენტო "როიტერი".

შეგახსენებთ, რომ "მაკლარენის" პილოტი კისრის არეში ტკივილებს უჩიოდა და სერიოზული საშიშროება არსებობდა იმისა, რომ ჰემილტონს მონაწილეობა ვერ მიეღო ევროპის გრან პრიში.

საბოლოოდ, ბრიტანელი პილოტი ტრასაზე მაინც გავიდა და იქ მოპოვებულმა მეორე ადგილმა ჩემპიონატში ლიდერობის შენარჩუნების საშუალება მისცა.

ჰოკეი

### მონრეალი რუას დააფასებს

"მონრეალ კანადიენსის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, სათანადოდ დააფასოს ლეგენდარული მეკარის **პატრიკ რუას** წვლილი. ამ მიზნით, ნოემბერში მონრეალის დარბაზის თაღზე საზეიმო ვითარებაში აღმართავენ რუას 33-ნომრიან მაისურას.

რუა "მონრეალმა" 1984 წლის დრაფტში 51-ე ნომრად აირჩია. ეს გოლკიპერი ამ გუნდის რიგებში 1994-95 წლებში თამაშობდა და სულ მის შემადგენლობაში 551 მატჩი ჩაატარა. 1986 და 1993 წლებში პატრიკმა "კანადიენსს" ორჯერ მოაგებინა სტენლის თასი.

ფორმულა 1

# შუმი ისევ დააჯარიმეს



ფორმულა 1-ში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი **მიხაელ შუმახერი** კიდევ ერთ სკანდალში გაეხვია. გერმანელმა ავტომრბოლმა 75 ევროს ოდენობის ჯარიმა გადაიხადა სიჩქარის გადაჭარბებისთვის.

გერმანული პრესის ინფორმაციით, შუმახერი საათში 140 კილომეტრი სიჩქარით მოძრაობდა იქ, სადაც ზღვრული მაჩვენებელი 100 კილომეტრს შეადგენდა. უნდა აღინიშნოს, რომ მიხაელს კიდევ 6 კილომეტრი-საათით რომ გადაეჭარბებინა სიჩქარე, გერმანული პოლიცია მართვის მოწმობას ჩამოართმევდა.

*"ამ ინციდენტის გამო ბოდიშს ვიხდი. ასეთი რამ არ მახასიათებს. ვცდილობ, მაღალი სიჩქარე მხოლოდ ტრასაზე განვავითარო"*, - განუცხადა გაზეთ "ბილდს" შუმიმ.

# უკმაყოფილო ფანებს ფულს დაუბრუნებენ

ესპანეთის ქალაქ ვალენსიაში გამართული ევროპის გრან პრის ორგანიზატორები იძულებულნი არიან, მაყურებლებს ბილეთებისთვის გადახდილი ფული უკან დაუბრუნონ. საქმე ისაა, რომ რბოლის დროს ყველა ტრიბუნიდან არ ჩანდა ტრასაზე მიმდინარე პერიპეტიები.

ევროპის გრან პრის შემდეგ, ბილეთების მფლობელმა ასობით ადამიანმა პროტესტით მიმართა Valmor Sports-ს (რბოლის პრომოუტერი). ისინი იმის გამო ჩიოდნენ, რომ გადახდილი ფულის სანაცვლოდ ის სიამოვნება ვერ მიიღეს, რასაც მათ რბოლის ორგანიზატორები ჰპირდებოდნენ. ეს იმიტომ არ მომხდარა, რომ ეტაპი იყო მოსაწყენი: უბრალოდ, ზოგიერთი ტრიბუნიდან ტრასა თითქმის არ ჩანდა.

Valmor Sports-ის პრეზიდენტი **ხორხე მარტინეს ასპარი** შეცდომას აღიარებს, ბოდიშს უხდის გულშემატკივრებს და მათ ფულის დაბრუნებას ჰპირდება. ამასთან, ასპარი ამტკიცებს, რომ მთლიანად ევროპის გრან პრი წარმატებით ჩატარდა: *"რა თქმა უნდა, შემდეგ ჯერზე ყველაფერი უკეთ იქნება ორგანიზებული. მიუხედავად ამისა, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ვალენსიას ქუჩებში ზეიმი შედგა"*.

ცურვა

# ტინტო ბრასმა ოლიმპიურ ჩემპიონს დაუმიზნა



ეროტიკული კინოს საკულტო რეჟისორი **ტინტო ბრასი** 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ოლიმპიური ჩემპიონით, იტალიელი **ფედერიკა პელეგრინით** დაინტერესდა.

ვენეციაში მიმდინარე საერთაშორისო კინოფესტივალზე ტინტო ბრასმა დაუფარავად განაცხადა, რომ სიამოვნებით გადაიღებდა მოცურავეს თავის ახალ ფილმში.

*"ფედერიკა პელეგრინის ფილმში მიწვევა ჩემი ოცნებაა. ის ცოტა ხნის წინ გავიცანი და დავმეგობრდით კიდეც. უბრალოდ, ჭკუიდან ვიშლები, ისე მსურს მისი კინოში გადაღება. საშუალება რომ მქონდეს, დღესვე დავიწყებდი გადაღებებს და პელეგრინის მთავარ როლს მივცემდი. ბრწყინვალე ქალბატონია: ლამაზი, მაღალი... სიტყვები არ მყოფნის"*, - ემოციებს ვერ იკავებდა ქალის სხეულის დიდი მცოდნე იტალიელი რეჟისორი.

თავად პელეგრინიმ ჯერ არაფერი იცის ბრასის დაინტერესების შესახებ, მაგრამ რეჟისორი გვპირდება, რომ უახლოეს ხანში კონკრეტული წინადადებით მიმართავს მოცურავეს. ჯერჯერობით არც ის არის ცნობილი, რას ფიქრობს ამ პროექტზე ფედერიკას ბოიფრენდი **ლუკა მარინი**.

პეკინში პელეგრინიმ 200-მეტრიან დისტანციაზე მსოფლიოს რეკორდით გაიმარჯვა. მისი დრო იყო - წუთი და 54.82 წამი.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ველოსპორტი. ვუელტა. III ეტაპი

| ხაენი-ქორდობა (168,6 კმ) | |
|---|---|
| 1. ტომ ბოონენი (ბელგია, "ქუიქ სტეპი") | 4.25,24 |
| 2. დანიელე ბენატი (იტალია, "ლიკიგასი") | იგივე დრო |
| 3. ერიკ ცაბელი (გერმანია, "ტიმ მილრემი") | იგივე დრო |
| 4. ფდეს დე ლარეა (ესპანეთი, "ეუსკალტელი") | იგივე დრო |
| 5. ნიკოლას როუჩი (ირლ., "კრედიტ აგრიკოლი") | იგივე დრო |
| 6. გრეგ ვან ავერმაეტი (ბელგია, "საილენს ლოტო") | იგივე დრო |
| 7. ლეონარდო დუკე (კოლუმბია, "კოფიდისი") | იგივე დრო |
| 8. სებასტიან ინო (საფ., "კრედიტ აგრიკოლი) | იგივე დრო |
| 9. ტომ სტამსნიიდერი (ჰოლ., "გეროლშტაინერი") | იგივე დრო |
| 10. ლოიდ მონდორი (საფრანგეთი, AG2R) | იგივე დრო |

| საერთო ჩათვლა | |
|---|---|
| 1. დანიელე ბენატი (იტალია, "ლიკიგასი") | 8.56,27 |
| 2. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, "კეს დეპარნი") | +0,7 |
| 3. ტომ ბოონენი (ბელგია, "ქუიქ სტეპი") | +0,10 |
| 4. ფილიპო პოცატო (იტალია, "ლიკიგასი") | +0,20 |
| 5. ეგოი მარტინესი (ესპანეთი, "ეუსკალტელი") | +0,22 |
| 6. დავიდე რებელინი (იტალია, "გეროლშტაინერი") | +0,26 |
| 7. ინიგო ლანდალუსი (ესპანეთი, "ეუსკალტელი") | +0,26 |
| 8. ერიკ ცაბელი (გერმანია, "ტიმ მილრემი") | +0,27 |
| 9. მაურისიო არდილა (კოლუმბია, "რაბობანკი") | +0,27 |
| 10. იგორ ანტონი (ესპანეთი, "ეუსკალტელი") | +0,28 |

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ბარი-ტრიესტინა | 1:1 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ფრაიბურგი-ჰანზა | 1:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| მონპელიე-მეცი | 1:2 |
| **პორტუგალია** | |
| მარიტიმუ-გიმარაეში | 0:1 |
| ბრაგა-სპორტინგი | 0:1 |
| **დანია** | |
| მიდტიულანდი-ვეილე | 1:1 |
| **ნორვეგია** | |
| ლილესტრიომი-სტაბეკი | 1:1 |
| **შვედეთი** | |
| იურგორდენი-ერებრუ | 0:0 |
| ელფსბორგი-ლიუნგსკილე | 4:0 |
| ჰელსინგბორგი-ჰამარბიუ | 5:1 |
| გიოტებორგი-გაის | 0:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ენჩოპინგი-ბრომაპიოკარნა | 1:2 |
| ლანდსკრონა-ბუნკეფლო | 0:0 |
| **ფინეთი** | |
| ინტერი-კოტკეპე | 3:0 |
| **შვეიცარია** | |
| ციურიხი-ბელინცონა | 3:0 |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ვინტერტური-ლოზანა | 4:1 |
| **თურქეთი** | |
| ბეშიქთაში-ქონია | 2:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ალთაი-ქართალი | 3:2 |
| **კვიპროსი** | |
| ანორთოსისი-აპეპ | 3:0 |
| აპოელ-დოხა | 3:2 |
| ენოსისი-ომონია | 0:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ბანიკი-სლავია | 2:3 |
| **უკრაინა** | |
| დნიპრო-მეტალისტი | 2:0 |
| **სლოვენია** | |
| ინტერბლოკი-ნაფტა | 3:1 |
| **რუმინეთი** | |
| სტიაუა-პანდური | 1:0 |
| **ისრაელი** | |
| ჰაპოელი (ი)-მაკაბი (ფ-თ) | 0:0 |
| მაკაბი (რ-გ)-ჰაპოელი (თ-ა) | 2:2 |
| **არგენტინა** | |
| ინდეპენტიენტე-ხიმნასია (ლ) | 1:1 |
| **ბრაზილია** | |
| კრუზეირო-კურიტიბა | 1:1 |
| ფლამენგო-ფლუმინენსე | 2:2 |
| პორტუგეზა-ატ. მინეირო | 1:1 |
| **აშშ** | |
| ჰიუსტონი-ჩიკაგო | 2:1 |
| **ჩილე** | |
| უნ. კატოლიკა-აუდაქსი | 2:4 |
| **კოლუმბია** | |
| ონსე კალდასი-სანტა ფე | 0:0 |
| ტოლიმა-ატ. ხუნიორი | 2:1 |
| ბუკარამანგა-ატ. უილა | 1:1 |
| ენვიგადო-ჩიკო | 1:2 |
| დეპ. კუინდიო-დეპ. პერეირა | 2:0 |
| ინდეპენდიენტე-დეპ. პასტო | 3:1 |
| **პერუ** | |
| ბოლონეზი-სპ. კრისტალი | 0:1 |
| ალ. ლიმა-ხუან აურიჩი | 1:0 |
| **მექსიკა** | |
| ამერიკა-ტიგრესი | 1:3 |

## TV სპორტი

**2 სექტემბერი. სამშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გასული კვირის ჰიტაღლუმი.
**14:10** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**15:10** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**16:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:25** გასული კვირის ჰიტაღლუმი.
**18:15** 90 წუთი - საფეხბურთო ტოქშოუ.
**19:45** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:05** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**21:05** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:05** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**22:20** ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ლივერპული.
**00:10** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**08:30** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ატლეტიკო-პალმეირასი.
**10:20** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:15** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**12:10** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-აინტრახტი.
**13:55** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-მალიორკა.
**15:40** სპორტის სამყარო.
**16:10** სპორტკლუბი.
**16:25** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-ინტერი.
**18:10** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ტოტენჰემი.
**20:00** ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. მიმოხილვა.
**20:30** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**21:35** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:35** პეკინი 2008. მშვილდოსნობა.
**00:55** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ნიუკასლი.
**02:45** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-აინტრახტი.
**04:30** სპორტდოსიე.
**05:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-მალიორკა.
**06:45** სპორტის სამყარო.

**EUROSPORT**

**05:00** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. VIII დღე (LIVE).
**07:00** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. VIII დღე.
**13:30** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
**13:45** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**14:30** რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ახალი ზელანდია.
**16:00** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. VIII დღე.
**18:00** ველოსპორტი. ვუელტა. IV ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
**19:30** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IX დღე (LIVE).
**20:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**20:15** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IX დღე (LIVE).
**03:00** ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IX დღე (LIVE).

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სან მარინოს გრან პრი.
**13:00** ახალი ამბები.
**13:30** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი.
**14:30** ახალი ამბები.
**16:00** მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სან მარინოს გრან პრი.
**17:45** პლაჟის ფეხბურთი. ევროლიგა. სუპერფინალი. ფინალი. პორტუგალია.
**18:45** ახალი ამბები.
**19:00** ექსტრემალური სპორტი.
**20:00** ავტოსპორტი. ახალი სარბოლო სერია. "ფორმულა სუპერლიგა". დონინგტონი. ბრიტანეთი.
**21:00** ავტოსპორტი. ლე მანის ამერიკული სერია. აშშ.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** მძლეოსნობა. IAAF-ის სუპერგრან-პრი. ლოზანა. შვეიცარია.
**00:00** ნარდი. მსოფლიო სერია. დანია.
**01:00** ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო ერთიანია!

















ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტორეპორტაჟი